პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76; მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № [illegible]
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ.,
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- სამედიატორო სასამართლოების არჩევნების დროს პარიზში კომუნისტებმა გაიმარჯვეს.
- კუნძულ იავაზე აჯანყება გრძელდება.
- მოსკოვში ჩავიდა ავღანისტანის ახალი რწმუნებული მირზა-მუხამედ-ხანი.
- ამერიკის პრესა კანტონის მთავრობის სიმტკიცეს აღიარებს.
- საკავშირო პროფსაბჭომ 650.000 მან. გაუგზავნა ინგლისელ მემაღაროებს.
- პარიზში შესაძლებლად თვლი ან პუანკარეს კაბინეტის კრიზისს.
- ინგლისზე დიდმა გრიგალმა გადაიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 17 ნოემბერი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 263 (1718)

ოთხშაბათს, ა. წ. ნოემბრის 17, საღამოს 6 საათზე შესდგება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება პრეზიდიუმის ყველა წევრისა და კანდიდატის სავალდებულოა

ცაკის მდივანი ს. თოდრია.

საბოლოო გადაწყვეტილების წინ

ეხლა მემაღაროეთა შორის სწარმოებს მთავრობის წინადადებებისათვის კენჭის ყრა სანახშირო კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. ეს წინადადებანი ამ დღეებში დასრულებულმა მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციამ ხმების უმრავლესობით მიიღო; არამც თუ მიიღო, არამედ კიდეც ურჩია რაიონულ ორგანიზაციებს დასთანხმდენ მთავრობის პირობებზე.

მთავრობის „შეთანხმების" პირობები პირდაპირ საშინელია და ნიშნავს მემაღაროებისაგან სრული კაპიტულაციის მოთხოვნას, მრეწველთა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ბრძოლა წარმოებდა სამი მთავარი საკითხის გარშემო: რაიონული შეთანხმებები, სამუშაო დღის ხანგრძლივობა და სამუშაო ხელფასი. სამივე საკითხში მემაღაროეთა ალმასკომმა და სადელეგატო კონფერენციამ დასთმეს.

მაღაროთა პატრონები მოითხოვდენ საერთო ინგლისურ ხელშეკრულებათა სისტემის გაუქმებას და მის მაგივრად რაიონულ შეთანხმებათა პრინციპის მიღებას. ამაზე დათანხმება ნიშნავს მემაღაროეთა ფედერაციისათვის ლახვარის ჩაცემას. მემაღაროეთა ფედერაცია ინგლისის პროლეტარიატის ყველაზე უფრო მძლავრი რაზმია. და ეს პირველ ყოვლისა და უმთავრესად იმიტომ, რომ მემაღაროები, სხვა დარგის მუშებთან შედარებით ორგანიზაციულად ერთ მთლიან რაზმს წარმოადგენენ. ზოგად ნაციონალურ შეთანხმებათა გაუქმება არსებითად ბოლოს უღებს ამ მთლიანობას. თავის თავად ცხადია, რომ თუ ხელფასი და სამუშაო დღის საკითხები გადაიჭრება ადგილობრივ შეთანხმებათა ნიადაგზე, მემაღაროეთა ზოგად ინგლისურ ფედერაციის ალმასკომის მონაწილეობის და სანქციის გარეშე, ამით ფედერაცია ფაქტიურად იშლება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს პირდაპირ დამღუპველია მემაღაროებისათვის; მათ დაქუცმაცებულ რიგებს უფრო ადვილად დაიმორჩილებენ და თავის ნებისყოფას უკარნახებენ მრეწველები.

სადელეგატო კონფერენციამ მიიღო მთავრობის და მრეწველების წინადადება რაიონულ შეთანხმებათა შესახებ. საქმეს არსებითად ვერ სცვლის ის გარემოება, რომ ეს შეთანხმებანი შემდეგში ე. წ. ზოგად ნაციონალურმა ტრიბუნალმა უნდა დაადასტუროს; ეს ტრიბუნალი, რომლის თავმჯდომარეც იქნება მთავრობის მიერ დანიშნული პირი და, მაშასადამე, მრეწველების მომხრე, ცხადია, საკითხს უკანასკნელთა სასარგებლოდ გადასწყვეტს.

სადელეგატო კონფერენცია დათმობაზე წავიდა სამუშაო დღის საკითხშიც. მართალია 7 საათის სამუშაო დღის პრინციპი თითქო რჩება, მაგრამ ამავე დროს ეს საკითხი რაიონებში უნდა მოწესრიგდეს ადგილობრივი მასშტაბით. მაშასადამე, ფაქტიურად სამუშაო დღე გადიდებული იქნება.

მემაღაროეთა ალმასკომი და სადელეგატო კონფერენცია დათანხმდენ აგრეთვე ხელფასის დაკლებაზე, საერთოდ 13 პროც. რაოდენობით, გაფიცვამდე არსებულ ხელფასთან შედარებით.

მთავრობის პირობების სიმძიმე ამით კიდევ არ ამოიწურება. კერძოდ აღსანიშნავია ის მუხლი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ მუშები სამუშაოზე უკან მიიღებიან „გარემოების მიხედვით". ამით მაღაროთა პატრონებს ფართე შესაძლებლობა ეძლევათ შური იძიონ და რეპრესიებს მიმართონ გაფიცულთა წინააღმდეგ.

რით აიხსნება მემაღაროეთა ალმასკომის ასეთი კაპიტულაცია? ჩვენ ვიცით, რომ მემაღაროები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან. არც საერთაშორისო რეფორმისტული ორგანიზაციები, არც ინგლისის დანარჩენი პროფკავშირები მოღალატე ლიდერების წყალობით გაფიცულთ არავითარ დახმარებას არ უწევენ. პირიქით, გენერალური საბჭო იმ თავითვე ყოველ ზომას ღებულობს გაფიცვის ჩასაშლელად. უკანასკნელ მოლაპარაკებაში მან ერთხელ კიდევ ითამაშა თავისი გამცემლური როლი; გენსაბჭოს ე. წ. საშუამავლო კომიტეტმა ყველაფერი მოიმოქმედა, რათა მემაღაროეთა ალმასკომი მთავრობის და მრეწველთა წინაშე წამოეჩოქებია. მეორე მხრივ მთელმა ინგლისის ბურჟუაზიამ გამოიყენა თავისი მატერიალური რესურსები, სახელმწიფოებრივი აპარატი და იდეური ზეგავლენა გაფიცულთა გასანადგურებლად. ბრძოლა აშკარად უთანასწორო იყო და არის.

მაგრამ უეჭველია, რომ თვით მემაღაროეთა ლიდერები ბოლოს და ბოლოს ვერ აღმოჩნდენ თავის მოწოდების სიმაღლეზე. ისინი კარგა ხანია მერყეობას იჩენენ. იმის მაგივრად, რომ თავისი სიმტკიცით გამარჯვების რწმენა შთაენერგათ მებრძოლ მუშებისათვის. გვახსოვს, რომ ისინი წამოეგენ „საეკლესიო მამების" ანკესზე და შესაძლებლად სცვნეს მათი წინადადებათა მიღება. მაშინ მემაღაროეთა მასსამ, რომელიც ამის ჟამო იქნა დაკითხული, უარყო ეკლესიის მიერ წამოყენებული პირობები. შემდეგ მემაღაროეთა ლიდერები აშკარად ვერ გაემიჯნენ გენსაბჭოს, გაურბოდენ მის მოღალატურ მოქმედების კრიტიკასაც კი და ბოლოს სრულიად მოექცენ ტომასების გავლენაში. ამ მერყეობამ უეჭველად დამშლელი გავლენა იქონია მემაღაროეთა მასსებზე და მისი ნაწილი სულიერად დასცა.

დღეს, როგორც ვსთქვით, მთავრობის წინადადებებს მემაღაროეთა ადგილობრივი ორგანიზაციები იხილავენ. ვიმეორებთ, უაღრესად მძიმეა გაფიცულთა მდგომარეობა. ისინი ყველასაგან მიტოვებული არიან, გარდა საბჭოთა კავშირის მუშებისა, რომელნიც თავიდანვე არაფერს იშურებენ მებრძოლ მემაღაროეთა ზურგის გასამაგრებლად და რომელთაც ეხლაც მორიგი დახმარება მიაწოდეს მათ. მაგრამ ეს ცოტაა. ამავე დროს მემაღაროეთა ერთი მეათედი უკვე თანდათანობით დაუბრუნდა სამუშაოს. ეჭვი არ არის, გაფიცულთა მასის ნებისყოფა ჯერ კიდევ მტკიცეა. ისინი მზად არიან იბრძოლონ უკანასკნელ შესაძლებლობამდე. მაგრამ მემაღაროეთა ალმასკომის და სადელეგატო კონფერენციის კაპიტულაციამ შეიძლება დეზორგანიზაცია შეიტანოს გაფიცულთა რიგებში.

თუ ინგლისის გაფიცვა დამარცხდა, ეს იქნება არა მარტო მემაღაროეთა და არა მარტო მთელი ინგლისის მუშათა კლასის, არამედ მსოფლიო პროლეტარიატის მეტად მნიშვნელოვანი დამარცხება. უეჭველია, რომ უფრო გაძლიერდება შეტევა მუშათა კლასზე როგორც ინგლისში, ისე მის გარეთ. და ამ დამარცხებისათვის, თუ ის ფაქტი შეიქნა, ვერასოდეს მოიხსნის პასუხისმგებლობას და მოღალატის სამარცხვინო სახელს ინგლისის და საერთაშორისო რეფორმიზმი, რომელსაც არაფერი დაუზოგავს იმისათვის, რომ ამ გრანდიოზულ ბრძოლიდან ბურჟუაზია გამოსულიყო გამარჯვებული.

მორიგი ამოცანა

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მე-15-ე პარტიული კონფერენცია უეჭველად იმ კონფერენციების რიცხვს ეკუთვნის, რომელთა პოლიტიკური როლი და იდეური კვალი პარტიის ისტორიაში ზოგიერთ პარტიულ ყრილობებზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

ეს მართალია არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ კონფერენციამ მოხაზა სოციალისტური მშენებლობის კონტურები და კონკრეტიული მიმართულება მისცა ეკონომიურ პოლიტიკას იმ გრდატეხის დროს, როცა აღდგენითი პერიოდიდან რეკონსტრუქტიულ პერიოდზე გადავდივართ,—ეს მართალია იმიტომაც, რომ მე-15-ე პარტკონფერენციაზე პრინციპიალურ სიმაღლემდე იყო აყვანილი პარტიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საერთო საკითხები.

თვითეულ პარტიულ კონფერენციაზე როდი ირჩევა ისეთი საერთო საკითხები, როგორიც არის ჩვენი რევოლიუციის ხასიათის და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის საკითხი, ან საკითხი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალების, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პრინციპების და სხვ. შესახებ.

პირველი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ კონფერენცია კონკრეტიულ პრაქტიკულ საჭირბოროტო საკითხების განხილვასთან ერთად არჩევდა აგრეთვე თითქმის აკადემიურ პრობლემებს.

მაგრამ ეს შეიძლება ასე მოგვეჩვენოს მხოლოდ ზერელე შეხედვით. პარტიამ, რომელიც სწყვეტდა პარტიული პოლიტიკის საერთო საკითხებს და იცავდა ლენინიზმს რევიზიის მოხდენის ცდებისაგან ოპოზიციის მხრივ, ახალ პირობებში, გარდატეხის პერიოდში, კვლავ გადაშალა რევოლიუციის საერთო პერსპექტივები ფართო მასშტაბით.

ამით მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ამ რევოლიუციონურ პერსპექტივებს ექვემდებარება პარტიის მთელი ყოველდღიური მუშაობა; ამით მან თავიდან აიცილა ვიწრო პრაქტიციზმსა და წვრილმან საქმეებში მომწყვდევის საფრთხე. ამითვე მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ის ერთგულად იცავს მარქსისტურ-ლენინურ დევიზს: „რევოლიუციონური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლიუციონური მოქმედება". ეს გარკვეული პერსპექტივები პარტიულმა კონფერენციამ დაუპირისპირა ოპოზიციური ბლოკის იდეურ არევ-დარევას, იდეურ მერყეობას და გადახვევას ლენინური თეორიისაგან.

კონფერენციამ უკუაგდო ლენინიზმის რევიზიის ცდები, უარჰყო ლენინიზმში სხვადასხვაგვარ შესწორებების შეტანის ცდები, გაარჩია ყველა ის იდეური გადამახინჯებანი და შეცდომები, რომელნიც ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებისაგან გამომდინარეობენ. კონფერენციამ გამოააშკარავა ამ შეცდომათა საერთო იდეური საფუძველი და ოპოზიციონერების დებულებები შეაფასა, როგორცისეთი იდეოლოგიის ელემენტები, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ გადახრას წარმოადგენს.

კონფერენციის რეზოლიუცია ოპოზიციური ბლოკის შესახებ წარმოადგენს უაღრესად პრინციპიალურ დოკუმენტს, რომელიც შესწავლილი უნდა იქნეს,—დოკუმენტს, რომელშიაც მოცემულია ოპოზიციური ბლოკის იდეური დახასიათებაც და რევოლიუციის პერსპექტივებიც ლენინიზმის თვალსაზრისით.

აუცილებელია იმის შეგნება, რომ პარტიული პოლიტიკის პრინციპების შესწავლა უსათუოდ უნდა შეიცავდეს მე-15-ე პარტკონფერენციის გადაწყვეტილებების და მასალების შესწავლას, ვინაიდან აქ პარტიული პოლიტიკის საკითხები საერთო პრინციპიალური სახით არიან დასმული.

არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოპოზიციის იდეოლოგებმა არსებითად პარტკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ისინი უარს არ ამბობენ თავიანთ პრინციპიალურ დებულებებზე, რომელნიც პარტიამ უარჰყო. ამიტომ აუცილებელია ოპოზიციური ბლოკის იდეოლოგიის შესწავლა არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე თანამედროვე პარტიული პოლიტიკის და პრაქტიკული ბრძოლის თვალსაზრისითაც. ამაოდ როდი აღუნიშნავს კონფერენციას ოპოზიციური ბლოკის შესახებ მიღებულ რეზოლიუციის პრაქტიკულ დასკვნებში, რომ „საჭიროა იმის მიღწევა, რათა ოპოზიციურმა ბლოკმა აღიაროს თავისი შეხედულებების სიყალბეო"; კონფერენციამ სთქვა, რომ პარტიის მორიგ ამოცანებში შედის „სასტიკი იდეური ბრძოლა სოციალ-დემოკრატიული გადახრის წინააღმდეგ" ჩვენს პარტიაში, რომ საჭიროა განემარტოს მასებს ოპოზიციური ბლოკის პრინციპიალურ შეხედულებათა სიყალბე და გამოაშკარავებულ იქნეს ამ შეხედულებათა ოპორტიუნისტული შინაარსი, რანაირ რევოლიუციონურ ფრაზებშიაც არ იყოს ის გახვეული".

ამ იდეურ ბრძოლაში პარტია გამობრძმედს თავის კადრებს და აღზრდის ახალგაზრდა პარტიულების ახალ რიგებს; ამ ბრძოლაში ის დაამტკიცებს თავის ერთგულებას ლენინურ იდეებისა და ტრადიციებისადმი; ამ ბრძოლით ის საბოლოოდ დასძლევს სოციალ-დემოკრატიულ გადახრას.

ეს ამოცანა სდგას დღის წესრიგში, პარტია მას შეასრულებს.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 16 ნოემბერი.

გ. ვ. ჩიჩერინისა და რუშდი-ბეის შეხვედრის შემდეგ

იმპერიალისტებს აზიური ერთა ლიგის შექმნის ეშინიათ

ოსმალეთის პრესა ესალმება მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას საბჭ. კავშირთან

სუნ-ჩუნ-ფანის მესამე დივიზია კანტონის არმიას შეუერთდა.—კანტონის ჯარებმა აიღო ქ. სიან-ფუ

უცხოეთის პრესა

ჩიჩერინისა და რუშდი-ბეის შეხვედრის შესახებ

საფრანგეთის გაზეთების აზრი

პარიჟი, 15 ნოემბერი. თითქმის ყველა ფრანგული გაზეთები უძღვნიან წერილებს ჩიჩერინის შეხვედრას ოდესაში ტევფიკ-რუშდი-ბეისთან.

„ტანს" აშკარად მიაჩნია ის, რომ ოსმალეთი მოექცევა მოსკოვის გავლენის ქვეშ და ამით სურს თავი დააღწიოს ინგლისის და იტალიის გავლენას. (ადს).

ავსტრიის პრესა

ვენა, 15 ნოემბერი. ავსტრიის პრესა სენსაციური სათაურით აქვეყნებს ცნობას ჩიჩერინის ტევფიკ-რუშდი-ბეისთან შეხვედრის შესახებ.

„ვინერ ნეისტე ნახრიხტენი" ამ შეხვედრას აფასებს როგორც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენას და ფიქრობს, რომ ჩიჩერინის შეხვედრა ტევფიკ-რუშდი-ბეისთან წარმოადგენს პასუხს იმ პოლიტიკისა, რომელსაც ერთა ლიგა აწარმოებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ჩიჩერინი,—სწერს გაზეთი—ისწრაფვის შექმნას ახალი ანტიინგლისური ფრონტი აზიაში. საბჭოთა კავშირს, რომელიც ანტიინგლისური პოლიტიკის ნიადაგზე არის შეკავშირებული ისლამის ქვეყნებთან, აზიის უდიდეს ნაწილში შეუძლია იმოქმედოს, როგორც უეჭველად რევოლიუციონურმა ფაქტორმა. ჩიჩერინის ტევფიკ-რუშდი-ბეისთან შეხვედრის პოლიტიკური შედეგი აუცილებლად ჰპოვებს გამოხატულებას ევროპაში. სადაც შეიძლება შეიქნას დიდი მნიშვნელობის ახალი ორიენტაციები". (ადს).

უნგრეთის პრესა

ვენა, 15 ნოემბერი. უნგრეთის მთავრობასთან ახლო მდგომი „პესტერ ლოიდი", უკეთებს რა კომენტარიებს ჩიჩერინის შეხვედრას ტევფიკ-რუშდი-ბეისთან, აცხადებს, რომ განხორციელება აზიური ქვეყნების კავშირისა, რომელიც ინგლისის წინააღმდეგ არის მიმართული, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. გაზეთი ფიქრობს, რომ შეხვედრა ოდესაში და აღმოსავლეთის დიპლომატების მოლაპარაკება ანგორაში წარმოადგენს რეაქციას მუსოლინის აღმოსავლეთის გეგმების წინააღმდეგ. (ადს).

ამერიკის პრესის აზრი

ნიუ-იორკი, 15 ნოემბ. გაზეთი „ჯორნალ ოფ კომერს" ეხება რა ამხ. ჩიჩერინის შეხვედრას რუშტი ბეისთან, შეუძლებლად სთვლის ამჟამად აზიურ ერთა ლიგის შექმნას, მაგრამ აღნიშნავს, რომ ჩიჩერინის და რუშტი ბეის შეხვედრა ოდესაში უსაფუძვლოთ არ იწვევს შიშს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში. გაზეთი აცხადებს: „რომ თავიდან აიცილონ კონფლიქტი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. დასავლეთის სახელმწიფოებმა უარი უნდა სთქვან იმპერიალისტური ექსპანსიის პოლიტიკაზე და აღმოსავლეთის სახელმწიფოებს უნდა მოეპყრან, როგორც თანასწორთ".

გაზეთი ფიქრობს, რომ ხმები აზიურ ლიგის შესახებ გავრცელებულ იქნა იმ მიზნით, რომ გაალვივონ აღმოსავლეთისადმი მტრული განწყობილება და დასძენს: „აღმოსავლეთის დამორჩილება ძალით უკვე შეუძლებელია". (ადს)

ოსმალეთის პრესა

ანგორა, 15 ნოემბერი. ოსმალეთის პრესა კვლავ გაცხოველებით განიხილავს ჩიჩერინის შეხვედრას ტევფიკ-რუშდი-ბეისთან ოდესაში. თითქმის ყველა გაზეთები სცნობენ, რომ ოსმალეთის დაახლოება საბჭოთა კავშირთან არის აუცილებელი შედეგი იმ აგრესიული პოლიტიკისა, რომელსაც დასავლეთის სახელმწიფოები აწარმოებენ ოსმალეთის წინააღმდეგ.

ოფიციოზური „ხაკიმიეტ მილლიე" სწერს: „ყველა საშუალებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებას, კარგია.

„ვაკიტი" წერილში: „ვინ არიან ჩვენი მეგობრები" ემყარება ჩემბერლენის შეხვედრას მუსოლინთან ლივორნოში და იმ ფაქტს, რომ საფრანგეთმა მანდატი სირიაზე გადასცა იტალიას, სწერს: „საკმაოა მხედველობაში მივიღოთ ეს ფაქტები, რომ ამ ორი მინისტრის შეხვედრა ბუნებრივად ვსცნოთ".

ოფიციოზი „მილლიე", რომელიც სტამბოლში გამოდის, ფიქრობს, რომ აღმოსავლეთის ერების დაახლოვება, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს შეხვედრა ოდესაში, სავსებით გასაგებია, თუ გათვალისწინებული იქნება დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტური მეთოდები". (ადს).

ანგორა, 15 ნოემბ. სტამბოლის პრესა, რუშტი ბეის ოდესაში გამგზავრების გამო, უარყოფს ევროპის პრესის ცნობას აზიის ერთა ლიგის დაარსების შესახებ და მიუღებლათ სთვლის ახალ ერთა ლიგის დაარსების იდეას, ისეთი ლიგის. რომელიც არაფრით არ განსხვავდება ჟენევის ლიგისაგან და დააშორებს ოსმალეთს ევროპას.

მიუხედავათ ამისა, გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის, ოსმალეთის და სპარსეთის მჭიდრო დაახლოება დიდ სარგებლობას მოუტანს იმპერიალიზმისაგან თავდაცვის საქმეს.

„ვაკიტ"-ის აზრით, ასეთი დაახლოვება არავითარ ზიანს არ მოუტანს ოსმალეთის დამოკიდებულებას დასავლეთ ევროპასთან.

სახალხო პარტიის ორგანო „ჯუმჰურიეტი" სასტიკათ აკრიტიკებს ერთა ლიგას და ცდილობს დაამტკიცოს აზიურ ლიგის შექმნის მიზანშეწონილობა.

დიპლომატიურ წრეებისა და უცხოელ ჟურნალისტებისათვის ჩიჩერინის და რუშტი ბეის შეხვედრა დიდი მოულოდნელობა იყო. შეხვედრამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. (ადს)

კანტონის ჯარების შეტევა

სიან-ფუ კანტონელების ხელში

პეკინი, 15 ნოემბერი. სხვადასხვა სააგენტოების ცნობებით შენსის პროვინციაში მდებარე ქალაქი სიან-ფუ კანტონის ჯარებმა აიღეს საბოლოოდ. (ადს).

პეკინი, 15 ნოემბერი. კანტონის ჯარებმა ნან-ჩანის მახლობლად ტყვედ ჩაიგდეს 30.000 კაცი, მათ რიცხვში ყველა ოფიცრები, თოფები, ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები და სხვა სამხედრო მოწყობილობა.

სუნ - ჩუან-ფანის ჯარები ნანკანის რაიონში ძიანზუს პროვინციაში აწარმოებენ საფორტიფიკაციო მუშაობას. დადასტურდა ცნობა სუნ-ჩუან-ფანის ჯარების მესამე დივიზიის კანტონის არმიის მხარეზე გადასვლის შესახებ.

ხუ-ბეის პროვინციაში კანტონელების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. სი-ჩუანის პროვინციის მმართველმა გენერალ იან-სენმა დაადასტურა თავისი შეერთება კანტონთან.

ფუ-ძიანის პროვინციაში კანტონელების წინსვლა წარმატებით მიმდინარეობს. (ადს).

კანტონის მთავრობის ცნობის წინ

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. „ნიუ-იორკ - ტაიმს" მოწინავე წერილში გაკვრით ლაპარაკობს კანტონის მთავრობის ცნობის შესაძლებლობაზე იმ შემთხვევაში, თუ კანტონის მთავრობა იკისრებს იმ დავალიანების დაფარვას, რომელიც ჩინეთს აქვს უცხოეთის სახელმწიფოებისადმი. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, პეკინის მთავრობის სისუსტეს და აუცილებლად სთვლის ჩინეთის პროვინციების ხელისუფალთა ცნობას.

„ამჟამად — სწერს გაზეთი — კანტონის ხელისუფლება ვრცელდება ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთის მეტ ნაწილზე. კანტონის მთავრობა დანარჩენ მთავრობებზე უფრო ძლიერია, მაგრამ მას არ სურს იკისროს თავის თავზე ჩინეთის საერთაშორისო და ფინანსიური ვალდებულებანი, რაც უსათუოდ ხელს შეუშლის მის ცნობას გარეშე სახელმწიფოების მხრივ". (ადს)

სუნ-იატ-სენის დაბადებიდან 60 წლის შესრულების დღე

პეკინი, 15 ნოემბერი. სუნ-იატ-სენის დაბადებიდან 60 წლის შესრულების დღის აღსანიშნავად, 12 ნოემბერს მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც ვრცელდება კანტონის მთავრობის გავლენა, გაიმართა საზეიმო დღესასწაულები.

ჩრდილოეთ ჩინეთში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, ვერ მოხერხდა საჯარო დღესასწაულის გამართვა. მაგრამ პეკინსა და სხვა ქალაქებში გაიმართა გომინდანის ორგანიზაციების მიერ მოწყობილი დახურული კრებები.

კანტონში გამართული ხალხური დღესასწაული იყო ერთი უდიდესი, ჩინეთში ოდესმე გამართულ დღესასწაულთაგან. დღესასწაულში 500.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ყველა წარმოებებმა, საზოგადოებრივი სარგებლობის მნიშვნელოვან წარმოებათა გამოკლებით, შესწყვიტეს მუშაობა. ასეული ორატორი გამოვიდა სიტყვით ქუჩებში გამსვლელ ხალხის წინაში მთელ ქალაქში გამართულ ტრიბუნებზე. ყველა ქუჩაში განუწყვეტლივ დადიოდინ საზეიმო პროცესიები. ხალხის არაჩვეულებრივი აღფრთოვანება გამოიწვია (ცნობამ კანტონის არმიის სამხედრო გამარჯვებების შესახებ ცზიან-სის პროვინციაში. (ადს).

მუსოლინი კმაყოფილია

პარიჟი, 16 ნოემბერი. „მატენის" ცნობით მუსოლინმა განაცხადა, რომ საფრანგეთ-იტალიის ინციდენტი მოწესრიგებულია. თავიდან აცილებულია აგრეთვე ის დაბრკოლებანი, რომლებიც დაკავშირებული არიან ტანჟერის საკითხთან. მუსოლინს იმედი აქვს, რომ იტალია შედის საფრანგეთთან საუკეთესო დამოკიდებულების ხანაში. მუსოლინის სიტყვით—ევროპის ჯანსაღი პოლიტიკა მოითხოვს იტალია-საფრანგეთის მჭიდრო შეთანხმებას. მუსოლინი ქებით იხსენიებს ბრიანის პოლიტიკას. (ადს).

ფაშისტების წინააღმდეგ

ანტიფაშისტური დემონსტრაცია

პარიჟი, 15 ნოემბერი. ყოფილ ჯარისკაცთა ადგილობრივმა რევოლიუციონურმა ასოციაციამ, მიუხედავათ სოციალისტ—ქალაქის თავის აკრძალვისა მოაწყო მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 4000 მუშამ. დემონსტრაციამ გაიარა ლილის ქუჩებში. სადაც სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტმა ორატორებმა, ყოფილ ჯარისკაცთა რევოლიუციონური ასოციაციის წევრებმა. ორატორები აყენებდენ ანტიფაშისტურ ლოზუნგებს. (ადს).

პარიჟი, 15 ნოემბ. ამ დღეებში პარიზში შესდგება ფრანგი და იტალიელი მუშების მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელიც მოწყობილი იქნა შრომის უნიტარულ ფედერაციის მონაწილეობით.

ორატორები შეეხენ იტალიის ეხლანდელ მდგომარეობას და აღნიშნეს, რომ ბრძოლა ფაშიზმთან არის ნაწილი საერთაშორისო პროლეტარიატის ბრძოლისა კაპიტალის წინააღმდეგ. ორატორები მოუწოდებდენ პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანებისაკენ.

მიტინგმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია მოწოდებით ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. (ადს)

არჩევნები საბერძნეთში

ათინა, 15 ნოემბერი. ოფიციალურად გამოქვეყნდა საბერძნეთის პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგები. ლიბერალების ბლოკმა მიიღო 108 დეპუტატის მანდატი. სახალხო პარტიამ—(მონარქიული პარტია, რომელშიაც შედიან მსხვილი მიწადმფლობელები და არისტოკრატია) 63, თავისუფალ მოაზროვნეებმა — (მონარქისტული პარტია, რომელიც ეყრდნობა მემამულეებს, კულაკებს და ოფიცრების რეაქციონურ ნაწილს) 54, რესპუბლიკანულმა კავშირმა — (მემარცხენე ბურჟუაზიული პარტია, რომელიც ეყრდნობა წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას, ინტელიგენციას და ოფიცრების პროგრესიულ ნაწილს) 18, კომპარტიამ მიიღო 9 ხმა (უწინდელ პარლამენტში კომპარტიას არც ერთი მანდატი არ ჰქონია) (ადს).

„ყველაფრის მცოდნე" ხიკსი

ლონდონი, 15 ნოემბერი. ბარნსტეპლოში შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯონსონ ხიკსმა თავის სიტყვაში პასუხი გასცა მემარჯვენე კონსერვატორებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს „შინაურ მტრებს, რომელთაც დავალებები აქეთ მიღებული ერთ-ერთ გარეშე სახელმწიფოსაგან". ჯონსონ ხიკსმა განაცხადა: „ამის პასუხისმგებლობა მეკისრება მე და არა თქვენ, ვინაიდან ჩვენ ვართ ვალდებული ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებების და საიდუმლო ცნობების შემწეობით ვიცოდეთ, თუ რა ხდება მოსკოვსა და ჩვენს ქვეყნის შუა გაბმულ ძაფებით, ჩვენ ეს კიდეც ვიცით". (ადს)

ფაშისტები სისინებენ

ლონდონი, 16 ნოემბერი. ლონდონში გაიმართა ფაშისტების დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 2.000 კაცმა. დემონსტრაცია თავის რეზოლიუციაში წინადადებას აძლევს მთავრობას: „ბოლო მოუღოს საბჭოთა კავშირის ჩარევას ინგლისის საქმეებში".

საქალაქო არჩევნები ინგლისში

(წერილი ინგლისიდან)

კაპიტალისტური პრესა სცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება მიაპყროს საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში, უელსში და შოტლანდიაში.

ყოველწლიურად ხდება ქალაქების თვითმმართველობაში დეპუტატების ერთი მესამედის გადარჩევა დაახლოებით 340 ალაგას. ამ არჩევნებს დიდ მნიშვნელობა ეძლევა; ის არის მაჩვენებელი საზოგადოებრივ ძალთა აზრის განწყობილების. წელს საერთო გაფიცვის შემდეგ და მემაღაროეთა გაფიცვის დროს, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ჩვეულებრივად პირველ რიგში მდგომი ადგილობრივ ინტერესის მქონე საკითხები დაჩრდილულ იქმნა საგაფიცვო კონფლიქტით და ბოლდუინის მთავრობის რეაქციონურ პოლიტიკის საკითხებით. ამათ გარშემო გაჩაღდა საარჩევნო ბრძოლა.

შედეგები უსათუოდ ამჟღავნებენ იმ უკმაყოფილებას, რომელსაც იწვევს მთავრობის პოლიტიკა. საარჩევნო ბრძოლაში მუშათა პარტიამ შეიმატა 153 ადგილი ინგლისში და უელსში და 47 შოტლანდიაში. გამარჯვება უფრო საგრძნობი იქნებოდა, მუშათა პარტიას რომ ეწარმოებია ნამდვილი მუშური პოლიტიკა, და კომუნისტების დევნის ნაცვლად მათთან შეეკრა კავშირი. ყოველ ეჭვს გარეშეა, მაგალითად, რომ მუშა კანდიდატების დამარცხება შოტლანდიის ზოგიერთ ინდუსტრიალურ რაიონებში გამოწვეული იყო მუშათა პარტიის გამთიშავი პოლიტიკით.

არჩევნების შედეგები საზარალოა ყველა ბურჟუაზიულ პარტიებისათვის; თუმცაღა ისინი თითქმის ყველგან გამოვიდნენ შეკავშირებული.

ბურჟუაზიული პრესა ცდილობს შეამციროს მუშათა პარტიის გამარჯვების მნიშვნელობა და განსაკუთრებით კი მიაფუჩეჩოს ის გარემოება, რომ ეს გამარჯვება გამოწვეული კრიზისით ქვანახშირის მრეწველობაში და ბოლდუინის მთავრობის გაკოტრებით. ყველა გაზეთები ერთსულოვნად გაიძახიან: მუშათა პარტიის გამარჯვება გამოწვეულია ბურჟუაზიულ ამრჩევლების გულგრილობით არჩევნებისადმი.

ეს არ არის მართალი. შეიძლება არასოდეს ასეთის თავგამოდებით არ ჩაბმულა ბურჟუაზია საქალაქო თვითმმართველობათა საარჩევნო ბრძოლაში. მას კარგად ესმის, რომ ადგილობრივ ხელისუფლების გადასვლა მუშათა კლასის ხელში მას დიდ საფრთხეს უმზადებს. „დეილი ტელეგრაფ"-ი კიდეც აღიარებს ამას. მუშათა პარტიის გაბატონება მუნიციპალიტეტებში მოასწავებს დიდ საფრთხეს მომავალი გაფიცვების შემთხვევაში.

მეორეს მხრივ „ტაიმს"-ი იძულებულია აღიაროს, რომ სამრეწველო კრიზისი იყო უმთავრესი მიზეზი ბურჟუაზიის უკანდახევისა დიდ სამრეწველო ქალაქებში.

მუშათა პარტიის გამარჯვება ყოველ ეჭვს გარეშე, არის მაჩვენებელი მუშათა კლასის ამხედრებისა მთავრობის წინააღმდეგ და ეს არა მარტო კონსერვატიულ, არამედ ყოველი ბურჟუაზიულ მთავრობის წინააღმდეგ საერთოდ, რომელმაც აშკარად გამოამჟღავნა თავისი ბუნება როგორც ბურჟუაზიის ბრძოლის იარაღმა მუშათა კლასის წინააღმდეგ. ასეთი თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ინგლისის მუშათა კლასმა გამოამჟღავნა ამ არჩევნებში.

აქედან მუშათა პარტიამ უნდა გამოიტანოს შესაფერი დასკვნები. საჭიროა და აუცილებელი კამპანიის გაძლიერება როგორც მუშათა კლასის მთლიანი ფრონტისათვის, ისე საპარლამენტო არჩევნებისათვის. ის უპირატესობანი, რომლებსაც იძლევა თვითმმართველობათა არჩევნებში გამარჯვება უნდა იქნან შენარჩუნებული და ამავ დროს რეაქციონურ მთავრობას არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა მიიღოს მუშათა კლასის საწინააღმდეგოთ მიმართული ღონისძიებანი, როგორიცაა ტრედ-იუნიონების უფლებათა შეზღუდვა და სხვა.

მუნიციპალური არჩევნების შედეგები არის მაჩვენებელი ბრძოლის წყურვილისა. ის აგრეთვე მაჩვენებელია კომუნისტური პროპაგანდის გავრცელებისა მასებში, პროპაგანდის, რომელიც მიმართულია მუშათა პარტიის რეფორმისტულ ბელადებისათვის სათაყვანებელ კლასთა თანამშრომლობის იდეის წინააღმდეგ.

კ. დავიდ.

ლონდონი, 4 ნოემბერი, 1926 წ.

საბჭოთა პრესა

წიგნი სოფლად

გათვითცნობიერებული გლეხობა მოწყურებულია წიგნს. მაგრამ ლიტერატურის გავრცელების საქმე სოფლად დღემდე არ არის ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად მოგვარებული. აქ განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია კოოპერატივს, რომელსაც ეკისრება სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებაც. ამ მიზნით მან უნდა მოაწყოს წიგნის თარო. თუ წიგნით ვაჭრობას კოოპერატივი გულმოდგინეთ შეუდგება, ეს არ იქნება საზარალო, პირიქით, ერთგვარ მოგებასაც დასტოვებს. „კოოპერატივნაია ჟიზნ"—ეხება ამ საკითხს და პირველ ყოვლისა მოგვითითებს სუმის ოლქის მაგალითზე:

> „ჩვენ გვაქვს კოოპერატივთან არსებულ წიგნის თაროს საშუალებით წიგნის გავრცელების გამოცდილება სუმის ოლქში. არ შეიძლება ვსთქვათ, რომ გლეხი თვითონ მოვა წიგნისათვის კოოპერატივში. არ შეიძლება წიგნით ვაჭრობა კარგად დავაყენოთ კოოპერატივში ნავთით, ტარანით და მარილის ვაჭრობასთან ერთად. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წიგნის თარო ვაქციოთ წიგნის ბაზად და აქედან წიგნი მიუახლოვოთ მომხმარებელს სუმის ოლქში ასეც იქცევიან. სუმელები სარგებლობენ თვითეულ ხელსაყრელ შემთხვევით, რომ წიგნი შესთავაზონ გლეხობას. კოოპერატივის მუშაკები ჰყიდიან წიგნებს ბაზარზე, იარმუკებზე და გლეხობის ყველა სხვა შესაკრებ პუნქტებში. შემდეგ, სუმელ კოოპერატორებს მჭიდრო კავშირი აქვთ გაბმული სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. კოოპერაციის საშუალებით წიგნის გავრცელებამ ასეთმა წესმა სუმის ოლქში მეტად თვალსაჩინო შედეგები მოგვცა".

ვიმეორებთ, თუ კოოპერატივმა ფხიანობა გამოიჩინა, წიგნით ვაჭრობა მას არ აზარალებს, მცირეოდენ მოგებასაც კი მისცემს. მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ კოოპერატივმა ამ საქმეს არ უნდა შეხედოს მარტო მომგებიანობის თვალსაზრისით. „კოოპერატივნაია ჟიზნ" სწერს:

> „საჭიროა, რომ ძირითად კოოპერატივების მიდგომა წიგნის თაროებისადმი ძირიან-ფესვიანად შეიცვალოს. წიგნით ვაჭრობას არ შეიძლება შევხედოთ, როგორც ვაჭრობას საერთოდ. სოფელი წიგნს საჭიროებს და კოოპერაცია უფრო ვინემ სხვა რომელიმე ორგანიზაცია დაინტერესებულია თავის მეპაიეთა კულტურულ დონის აწევით, ხოლო ეს შეიძლება მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით. ამ მხრივ წიგნის თაროები კოოპერაციისათვის ყველაზე უფრო მისაწვდომი საშუალებაა. აი რატომ კოოპერატიულ მუშაკთა ყურადღებითი დამოკიდებულება წიგნის თაროებისადმი ნიშნავს შეგნებულ დამოკიდებულებას კოოპერატივის წევრის კულტურულ დონის ამაღლების ამოცანისადმი".

სოფლად წიგნის გავრცელების საქმეში კოოპერატივმა თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს. ამ მხრივ ჩვენში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. (სახელგამის და ცეკავშირის შეთანხმება ძირითად კოოპერატივებთან წიგნით ვაჭრობის მოწყობის შესახებ). შემდეგში მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გაფართოვდეს. კოოპერაციამ წიგნის გავრცელების საქმე უნდა მიიჩნიოს თავის პირდაპირ მოვალეობად.

მემაღაროეები აღშფოთებული არიან

მთავრობის წინადადებებით

ლონდონი, 16 ნოემბერი. სანახშირო რაიონებიდან მიღებული ცნობებით, მემაღაროეთა რაიონული ფედერაციის აღმასკომები და საბჭოები ემორჩილებიან მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენციის დადგენილებებს და ურჩევენ მემაღაროეთ მიიღონ მთავრობის წინადადებები. „უორკერს უიკლის" მუშკორებისაგან სანახშირო რაიონებიდან დღემდე მიღებული ცნობებით, გაფიცულ მემაღაროეთა მასა აღშფოთებულია მთავრობის პირობებით. განსაკუთრებით ძლიერია ოპოზიცია დერგემსა, სამხრეთ უელსსა, იორკშირსა და შოტლანდიაში.

650.000 მანეთი მემაღაროებისათვის

მოსკოვი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ შემოსულ შენატანების ანგარიშში კიდევ გადაგზავნა ინგლისში 650.000 მანეთი—გაფიცულ ინგლისელ მემაღაროების სასარგებლოდ. (ადს).

ვაჭრობა ადგილებისათვის

ბერლინი, 15 ნოემბერი. პროფკავშირების მუშაკები, რომელნიც რეიხსტაგში ცენტრის, დემოკრატიულ და სოციალ - დემოკრატიულ პარტიების დეპუტატებს წარმოადგენენ. გაერთიანებულ თათბირზე არჩევდენ სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხს. თათბირს არავითარი გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღია.

კამათის დროს თათბირზე დამსწრეები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ სასურველია სოციალ - დემოკრატების მონაწილეობა მთავრობაში, რადგან ეს „უზრუნველყოფს საკითხის უფრო წარმატებით გადაჭრას".

პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ სოციალ - დემოკრატები ამ თათბირს გამოიყენებენ ბურჟუაზიულ პარტიებთან კოალიციის და მთავრობაში მათი მონაწილეობის აუცილებლობის ახალ „საბუთად". (ადს).

რევოლიუციონურ პროფკავშირების გამარჯვება

პარიჟი, 15 ნოემბერი. მოხდა ხელახალი არჩევნები საამშენებლო, მექანიკურ, ქიმიურ და საფეიქრო მრეწველობის კავშირის 10 დელეგატისა პარიტეტულ სამედიატორო კამერებში. ხელახალი არჩევნების დროს 7 დელეგატი არჩეული იქნა რევოლიუციონური პროფკავშირებიდან. დელეგატების საერთო რიცხვიდან—45-დან არჩეული არიან: უნიტარული პროფკავშირების წევრები—28 კაცი, რეფორმისტული პროფკავშირების წევრები—8 და შეუკავშირებელი მუშები—9 კაცი. (ადს).

ფაშისტების თარეში

ბერლინი, 15 ნოემბერი. იტალიიდან იტყობინებიან ახალი დაწვრილებითი ცნობებს ფაშისტურ ტერორის შესახებ.

„ფორვერტს"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის ქალაქებში მოწყობილი პოგრომები განსაკუთრებით სასტიკ ხასიათს ატარებდენ. ფაშისტები არბევდენ არა მარტო გაზეთების რედაქციებს, სტამბებს, სავაჭრო კანტორებს, არამედ არბევდენ და სცარცვავდენ კერძო ბინებსაც. პოლიციის ძლიერი რაზმები ხშირად იმყოფებოდენ პოგრომის ადგილზე, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდენ მის შესაჩერებლად, როგორც ეს იყო, მაგალითად ტრევიზოში, სადაც ერთი საავადმყოფოც კი დაარბიეს.

ფაშისტური მილიცია მრავალრიცხოვან დაპატიმრებებს გარდა, აწარმოებს აგრეთვე იმ პირთა გადასახლებას 24 საათის განმავლობაში, რომელნიც შეტანილი არიან ფაშისტების მიერ შედგენილ სიებში. პადუეში ქუჩაში გამოაკრეს ისეთი სია, რომელშიაც აღნიშნული იყო 38 ადგილობრივი მცხოვრები. სიის ბოლოში მილიცია აცხადებდა, რომ „თუ დასახელებული პირები განსაზღვრულ ვადაში არ დასტოვებენ ქალაქის საზღვრებს, პადუანის ფაშისტური მილიცია ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის აღნიშნულ პირთა დაცვის საქმეში".

იმავე პადუაში ადგილობრივ ფაშისტურმა ორგანიზაციამ პარტიის წევრებს სასტიკათ აუკრძალა „ყოველგვარი მსჯელობა უკანასკნელ დღეთა ამბების შესახებ".

დაპატიმრებები გრძელდება მთელს იტალიაში, უმთავრესად, კომუნისტებისა და მუშებს შორის. ვენეციის პროვინციაში მოსახლეობის საბოლოოდ დასაშინებლად მრავალ ქალაქებში აღმართულია სახრჩობელები. (ადს).

ფაშისტების ალვირახსნილობის ნაყოფი

ბერლინი, 16 ნოემბერი. „ფორვერტს"-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელ ფაშისტურ დარბევების დროს იტალიაში დაახლოვებითი გამოანგარიშებით დაჭრილია არა ნაკლებ 6000 კაცისა. დაპატიმრებულია ამაზე მეტი. მრავალ ქალაქებში მუშებს თავისი ოჯახებით აგდებდენ ბინებიდან, რომლებსაც შემდეგ სძარცვავდენ. იყო უამრავი შემთხვევა, რომ იმ სახლებს, სადაც მუშები სცხოვრობდენ, ცეცხლი წაუკიდეს. (ადს).

ომი „რევოლიუციონურ სახელებს"

ბერლინი, 16 ნოემბერი. როგორც იუწყება „როტე ფანეს" კორესპონდენტი, იტალიის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გამოსცეს დეკრეტი მოქალაქეობრივ მდგომარეობის აქტებში იმ დაბადებულთა ჩაწერის აკრძალვის შესახებ, რომელთაც დარქმეული ექნებათ „რევოლიუციონური სახელი". დეკრეტს ის შემთხვევები აქვს გათვალისწინებული, როცა მშობლები ახალ დაბადებულს დაარქმევენ ოპოზიციის ცნობილ მოღვაწეთა სახელებს. (ადს).

სავაჭრო ურთიერთობა გერმანიასთან

ბერლინი, 15 ნოემბ. 1925-26 სამეურნეო წელს გერმანიაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის სავაჭრო ბრუნვა ავიდა 374.100.000 მანეთამდე. ამ თანხიდან საბჭოთა კავშირში შემოტანილ იქნა 190.200.000 მანეთის საქონელი, ხოლო გატანილია 183.900.000 მანეთის.

წინა წელთან შედარებით სავაჭრო წარმომადგენლობის ოპერაციების ბალანსი გაიზარდა 1.070.000 მანეთით. (ადს)

აჯანყება კუნძულ იავაზე

„ტაიმსის" ცნობა

ლონდონი, 16 ნოემბერი. „ტაიმსის" ჰააგელი კორესპონდენტი აჯანყების შესახებ იტყობინება, რომ თითქოს, მეამბოხეები კომუნისტების ხელმძღვანელობით თავს დაესხენ ბატავიის ციხეს იმ მიზნით, რომ გაენთავისუფლებიათ დაპატიმრებულები. თავდასხმა მოგერიებული იქნა. შემდეგ მეამბოხეებმა დაიკავეს ტელეგრაფი, საიდანაც აგრეთვე განდევნილ იქნენ. აჯანყებამ იფეთქა აგრეთვე სხვა რაიონებშიც. (ადს).

ბრძოლა გრძელდება

ამსტერდამი, 16 ნოემბერი. ბატავიიდან მიღებული ცნობებით, სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნილია ჯარები აჯანყებულების წინააღმდეგ. იმ რაიონებში, სადაც იფეთქა აჯანყებამ, თავს უყრიან დიდძალ ჯარებს. ბანტამში გაგზავნილი ჯარები ბევრ ადგილებში წააწყდენ ბარიკადებს. მოხდა რამოდენიმე ახალი შეტაკება მეამბოხეებთან. დააპატიმრეს მრავალი პირები. აჯანყება, როგორც ჩანს, მშვენივრად იყო მომზადებული. მეამბოხეებს დიდძალი იარაღი მოეპოვება. (ადს)

ბერლინი, 15 ნოემბერი. კუნძულ იავიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობებით, ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება, განსაკუთრებით პროვინციალურ ადგილებში, ჯერ-ჯერობით ჩაქრობილი არ არის. ზოგიერთ პროვინციებში გაგზავნილია მთავრობის ჯარების მსხვილი ნაწილები. (ადს).

გერმანიის განიარაღება

ვანდერველდეს განცხადება

პარიჟი, 16 ნოემბერი. პარიზში ბრიანთან თათბირის შემდეგ ბრიუსელში დაბრუნებულმა ვანდერველდემ განაცხადა, რომ გერმანია თანახმაა იკისროს ისეთი ვალდებულებები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მის შეიარაღების შემცირებას. გერმანიის მიერ ამ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელს გახდის მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისია შეცვლილ იქნას ერთა ლიგის საკონტროლო კომისიით. (ადს).

ფრანგები კოლონიებში

პარიჟი, 15 ნოემბ. აფრიკის ნაპირებზე გიბრალტარსა და კანარის კუნძულებს შორის რამოდენიმეჯერ ადგილი ჰქონდა ადგილობრივ მცხოვრებთა თავდასხმას საფრანგეთის საფოსტო ჰაეროპლანებზე, რომელნიც ამ რაიონებში ეშვებოდენ. ადგილობრივ მცხოვრებლებმა დასწვეს 2 ჰაეროპლანი და მფრინავები წაიყვანეს ტყვედ. (ადს)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

პუანკარეს კაბინეტში

ბერლინი, 16 ნოემბერი. მკაცრი თავდასხმები საფრანგეთის პენსიების მინისტრ მორენზე შესაძლებლათ ხდის პუანკარეს კაბინეტის კრიზისს. (ადს).

ხანძარი იაპონიაში

ბერლინი, 17 ნოემბერი. ხანძარმა ტოკიოს ჩრდილოეთის მიდამოებში გაანადგურა 14 ფაბრიკა და 800 სახლი. ზარალი 250 მილიონ დოლარს აღემატება. (ადს).

მიწის დამმუშავებელ ორგანიზაციების კონფერენცია

ვარშავა, 17 ნოემბერი. პოლონეთის მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს მიწის დამმუშავებელ ორგანიზაციების კონფერენცია. (ადს).

ფრანკის გადადგომა

პარიზი, 17 ნოემბერი. დღეს ოფიციალურად გამოაქვეყნეს ცნობა ფრანკის გადადგომის შესახებ. უტარი ხელახლა უბრუნდება ფინანსთა სამინისტროს, ხოლო პიშე—ლიბერალური დეპუტატი ანტვერპენიდან—კოლონიათა სამინისტროს. (ადს).

საგანგებო წესების თანახმად

ლონდონი, 16 ნოემბერი. რეიმშაუში (დერბიშირი) დაიწყო მუშათა პარტიისა და პარლამენტის წევრების კირკვუდის საქმის გარჩევა. კირკვუდი პასუხისგებაშია მიცემული საგანგებო წესების თანახმად დერბიშირის საქვანახშირო რაიონში წარმოთქმული სიტყვისათვის. სასამართლოს სხდომას დაესწრნენ პარლამენტის და მუშათა პარტიის ზოგიერთი წევრები და კომუნისტი საკლატვალა. სასამართლოს შენობას იცავდა პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რომელიც აფანტავდა გაფიცულ მემაღაროეთა დემონსტრაციას. საქმე გადაიდო, რადგან საჭიროა კირკვუდი მოემზადოს თავის დაცვისათვის. (ადს).

ამხ. ჩიჩერინი კიევში

კიევი, 16 ნოემბერი. ჩამოვიდა ამხ. ჩიჩერინი, რომელიც ოდესიდან მოსკოვს მიემგზავრება. სადგურზე ამხ. ჩიჩერინს შეხვდენ პარტიული კომიტეტის, საბჭოთა, მუშების და პროფორგანიზაციების წარმომადგენლები. ამხ. ჩიჩერინმა საოლქო აღმასკომის და პარტკომის წარმომადგენელთა თანხლებით დაათვალიერა ქალაქი. ამხ. ჩიჩერინმა მადლობა გადაუხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს გულითადი მიღებისათვის და სთხოვა მათ გადასცენ გულწრფელი სალამი კიევშინის მშრომელთ. (ადს).

როგორ გაუსწორდნენ ფრიც კერბერს

ბერლინი. 16 ნოემბერი. სრულიად გერმანიის მოსამსახურეთა კავშირის ბერლინის ორგანიზაციამ დაადგინა თავმჯდომარის ადგილიდან მოხსნას საბჭოთა კავშირში გამოგზავნილ გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის თავმჯდომარე, ფრიც კერბერი „კავშირის შეუფერებელი საქციელისათვის“. (ადს).

ნახშირის ნაკლებობა

პარიზი, 16 ნოემბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, საკმაო რაოდენობით ნახშირის მომარაგების უფლება მიეცემათ მხოლოდ უცხოეთის იმ გემებს, რომლებიც ესპანეთის ნავთსადგურებში განიტვირთებიან. (ადს).

გერმანია და ინგლისი

ბერლინი, 17 ნოემბერი. ჩემბერლენმა აცნობა პარლამენტს, რომ გერმანიის მთავრობა იხილავს ინგლისის წინადადებას ინგლის-გერმანიის შორის მოგზაურობისათვის ნებართვების გაუქმების შესახებ. (ადს).

ერთა ლიგის სესიის წინ

ბერლინი, 17 ნოემბერი. ერთა ლიგის გენერალური მდივანი დრუმონდი ჩავიდა ლონდონში, სადაც ის ეთათბირება ინგლისის მთავრობას იმ საკითხების გარშემო, რომლებიც დაისმება ერთა ლიგის მომავალ სესიაზე. (ადს).

საიმპერიო კონფერენცია

ბერლინი, 17 ნოემბერი. საიმპერიო კონფერენციის გუშინდელ სხდომაზე განხილულ იქნა სინგაპურის საზღვაო-სამხედრო ბაზის საკითხი. მუშაობა დაჯდება 10½ მილიონი სტერლინგი. სამხრეთ-აფრიკამ და ირლანდიამ უარი სთქვეს მონაწილეობაზე ამ ბაზის მოსაწყობ ხარჯებში, რადგან ეს პროექტი მათ არ ეხება.

გერმანელი მენშევიკები

ბერლინი, 16 ნოემბერი. რეიხსკანცლერ მარქსსა და სოციალ-დემოკრატების ლიდერებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება „მუდმივი კავშირის საკითხში მთავრობის კოალიციასა და სოციალ-დემოკრატებს შორის მთავრობის მნიშვნელოვან კანონ-პროექტებისა და წინადადებათათვის სოციალ-დემოკრატების მიერ მხარის დაჭერის უზრუნველყოფის მიზნით“. (ადს).

პილსუდსკის სამფლობელოში

სასტიკი მარცხი

ვარშავა, 16 ნოემბერი. წინასწარი შედეგები ადასტურებენ პირველ ცნობებს გერმანელების სერიოზულ გამარჯვების შესახებ. გერმანელებმა ზემო-სილეზიის პოლონური ნაწილის კომუნალურ არჩევნებში მიიღეს ხმების 60% გაზეთი „პორანნა ვარშავსკა“ არჩევნების ასეთ შედეგებს მიაწერს დღევანდელი მთავრობის პოლიტიკას. პეპეესოველთა გაზეთი „რაბოჩი“ აცხადებს: „პოლონელთა დამარცხება გამოიწვია 8 საათის სამუშაო დღის შემოღებამ, სილეზიელ მემაღაროეთა ექსპლოატაციამ, სიძვირის ზრდამ და სხ.“ გაზეთ „კურიერ პორანნი“-ს ცნობით, შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე გადააყენა სილეზიის პოლიციის უფროსი ვრუბლევსკი, რაც გაზეთების აზრით დაკავშირებულია არჩევნების შედეგებთან. სეიმის წრეებში ცნობამ არჩევნების შედეგების შესახებ მეტად სასოწარმკვეთი შთაბეჭდილება დასტოვა. (ადს).

არასასიამოვნო სიურპრიზი

ბერლინი, 16 ნოემბერი. ზემო-სილეზიაში არჩევნების დროს გერმანელთა ხმების გადიდებას, მიუხედავათ 100.000 გერმანელის გადასახლებისა გასული წლის განმავლობაში, პოლონეთის პრესა ახასიათებს, როგორც არასასიამოვნო სიურპრიზს. „კურიერ ჩერვონი“ უწოდებს ამ გარემოებას ზემო-სილეზიაში პოლონეთის მმართველობის სამწუხარო შედეგებს. (ადს).

პილსუდსკი-მონარქისტი

ვარშავა, 16 ნოემბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობით პილსუდსკი მხარს დაუჭერს „ნაციონალურ უფლებათა“ ახალ პარტიას, რომელიც დაარსებულია თავადი იან როდზივილოვის მეთაურობით და აქვს მონარქისტული პროგრამა. (ადს).

ავღანისტანის რწმუნებული მოსკოვში

მოსკოვი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ახლად დანიშნული ავღანისტანის საგანგებო რწმუნებული, ავღანისტანის სრულუფლებიანი მინისტრი საბჭოთა კავშირში მირზა-მუხამედ-ხანი. მასთან ერთად ჩამოვიდა ავღანისტანის არმიის შტაბის უფროსი მუხამედ-ომარ-ხანი და ავღანისტანის მისიის სამხედრო ატაშე ალი-ამბერ-ხანი.

ავღანისტანის ახალ რწმუნებულს საბჭოთა კავშირში მირზა-მუხამედ ხანს ავღანისტანის რწმუნებულის თანამდებობა მოსკოვში უკვე ეჭირა 1920 წლიდან 1922 წლამდე. მან მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის და ავღანისტანის ხელშეკრულების ხელმოწერაში. საბჭოთა კავშირში დანიშვნის წინ მას ეჭირა ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა. (ადს).

ბელორუსიის სწავლულ ფილოლოგთა კონფერენცია

მინსკი, 16 ნოემბერი. გაიხსნა ბელორუსიის კულტურის ინსტიტუტის მიერ მოწვეული სწავლულ—ფილოლოგთა პირველი აკადემიური კონფერენცია. კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი მისასალმებელი დეპეშები პოლონეთში არსებულ ბელორუსულ კულტურულ ორგანიზაციებისაგან. ვილნოს ბელორუსულ სასწავლებელთა ამხანაგობის თავმჯდომარე იუწყება, რომ პოლონეთის ხელისუფლებამ აკრძალა პასპორტების მიცემა ამხანაგობის დელეგატებისათვის. ამხანაგობა გულწრფელ სალამს უგზავნის თავის განთავისუფლებულ, აღმოსავლეთელ ძმებს. ვარშავიდან გამოგზავნილ დეპეშით სეიმის დეპუტატი ტარაშკევიჩი იუწყება, რომ ბელორუსულ სამეცნიერო ამხანაგობის არც ერთ წარმომადგენელს, მათ რიცხვში სეიმის ორ დეპუტატს—ტარაშკევიჩს და რაკსაც, არ მისცეს მგზავრობის ნებართვა. „ბელორუსიის სამეცნიერო მუშაკები, ნათქვამია დეპეშაში, დარწმუნებული არიან, რომ ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს დაარღვიოს ბელორუსიის ხალხის კულტურული მთლიანობა“. (ადს).

პოლონეთის მთავრობა არ უშვებს დელეგატებს ყრილობაზე

ვარშავა, 15 ნოემბერი. ბელორუსიის აკადემიურ ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებად მინსკში გაემგზავრა კრაკოველი პროფესორი გოლემბეკი. პოლონეთის მთავრობამ მინსკში გამგზავრების ნებართვა არ მისცა ვილნოს სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელს, პირველ ბელორუსულ გრამატიკის ავტორს, დეპუტატ ტარაშკევიჩს. აგრეთვე არ მიეცათ ყრილობაზე გამგზავრების ნებართვა საზოგადო მოღვაწეთ ლიუცკევიჩს, ოსტროვსკის, დვორჩანინს, რაკს, მიხაილოვსკის და სხ. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

საროსკიპო სახლების ტრესტი იაპონიაში

თვითეულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აქვს თავისი ტრადიცია. იაპონიაც არ ჩამორჩება სხვებს. ერთი ასეთი ტრადიციათაგანია პროსტიტუციის დაკანონება. ლეგალური პროსტიტუციის კანონი არსებობს არა თვით როსკიპ ქალების, არამედ საროსკიპო სახლების პატრონების დასაცავად და აკანონებს ფაქტიურ მონობას ქალისას, რომელიც ხელში ჩაუვარდება ცოცხალი საქონლით მოვაჭრეებს.

იაპონიამ მშვენივრათ შეითვისა ევროპიული და ამერიკული კაპიტალიზმის ყველა ფორმები არა მარტო მრეწველობის დარგში. ქალის სხეულით ვაჭრობა იაპონიაში ფართო ნიადაგზე დაყენებული.

იაპონიაში არსებობს ლეგალურ მეძავ-ქალების 52 ათასიანი არმია, გარდა მრავალ ათას არალეგალურ სხეულით მოვაჭრე ქალებისა. ეს მონები მოთავსებული არიან 11.690 საროსკიპო სახლში. საროსკიპო სახლები იაპონიაში როდია გაფანტული ქალაქის სხვადასხვა ადგილებში. არა, მათ თითეულ ქალაქში მიჩენილი აქვთ ცალკე რაიონი. პროსტიტუციის ასეთი უბნების „იდეალს“ წარმოადგენს იოშივარა და ტოკიო. ყველა, ვინც კი ყოფილა იაპონიაში და სურს გაეცნოს მის შესანიშნავ ადგილებს, უსათუოდ ავა ფუძის მთაზე და იქიდან ჩავა იოშივარაში. შეიძლება ითქვას, რომ თითეული უცხოელი, რომელმაც მოიარა იაპონია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უსათუოდ მოიგონებს ამ შესანიშნავ „საცდურო“ ქალაქს.

იაპონიაში არსებობს ოფიციალური „საროსკიპო სახლების პატრონთა სრულიად იაპონიის გაერთიანება“, ნამდვილი ტრესტი. ტრესტს ყავს თავისი პრეზიდენტი, დირექტორები, მდივნები, ხაზინადრები და სხვ., ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი ახასიათებს მრეწველთა გაერთიანებებს. ტრესტებს ეს აპარატი სავსებით ამართლებს თავს, ტრესტს სახელმწიფოში აქვს 300 განყოფილება და მის ხელშია „ცოცხალი საქონლით“ ვაჭრობის მონოპოლია. ტრესტს (იაპონიურად მას ეწოდება „ძენკოკუ კაშიზაშიკი რენგოკაი“) აქვს თავისი ბეჭდვითი ორგანო „ტკიო კოშინ შიმპო“. საროსკიპო სახლების სრულიად იაპონიის გაერთიანებაში 6000 წევრია. მათ შორის ბევრია ქალაქების „პატივცემული მამები“, პარლამენტისა და სენატის წევრები. ეს როდია შემთხვევითი მოვლენა. საროსკიპო სახლების პატრონები იხდიან დიდძალ გადასახადს სახელმწიფოს სასარგებლოდ და ეს უფლებას აძლევს მათ არჩეულ იქნენ ყველა „დემოკრატიულ“ დაწესებულებებში. სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი იმ რამდენიმე მილიონ იენს, რომელსაც იხდიან საროსკიპო სახლების პატრონები.

უკანასკნელ ხანებში, ქვეყნის და უცხოეთის საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით, მთავრობამ წამოაყენა ლეგალური პროსტიტუციის მოსპობის საკითხი. მთავრობა ამ ნაბიჯის გადადგმაზე [illegible] იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ლეგალური პროსტიტუცია უკანასკნელი წლების განმავლობაში არ იძლევა შესაფერ შემოსავალს, უცხოეთში კი, მაგ. შეერთებულ შტატებში, იაპონიაში განვითარებული პროსტიტუციით მოხერხებულათ სარგებლობენ ანტი-იაპონური აგიტაციისათვის. შეერთებული შტატების პრესამ იაპონიაში არსებული ლეგალური პროსტიტუტიით ისარგებლა ამერიკაში იაპონელთა გადასახლების შეზღუდვის გასამართლებლად.

მაგრამ, ტრესტმა, როგორც კი იგრძნო, რომ მას შემოსავალს საფრთხე მოელის, მაშინვე მიიღო საჭირო ზომები. 9 სექტემბერს ტოკიოში ქალაქის ერთ-ერთ უდიდეს თეატრში გაიმართა საროსკიპო სახლების პატრონების ყრილობა. ყრილობას დაესწრო 2000 დელეგატი, მათ შორის 30 ქალი.

ყრილობის გახსნის დროს ტრესტის მდივანმა განაცხადა, რომ საროსკიპო სახლების პატრონები სიკვდილსაც კი არ დაერიდებიან თავისი უფლების დასაცავად.

„დაკანონებული პროსტიტუციის გაუქმების აზრი,—განაცხადა ტრესტის პრეზიდენტმა იჩიმიმ,—უტოპია არის. იგი უარყოფითი შედეგს მოიტანს. ამავე დროს პროსტიტუციით ცხოვრობს 15.000 კაცი და იგი მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევს სახელმწიფოს, თუ პროსტიტუცია გაუქმებული იქნა, 15.000 კაცი მთავრობის წინააღმდეგ გამოვა“.

იაპონიის პოლიცია იმდენათ შეაშინა ამ „რევოლიუციონურმა“ სიტყვებმა, რომ დაპატიმრებით დაემუქრა „კრამოლნიკებს“.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც საროსკიპო სახლების პატრონები, „უწევენ რა ანგარიშს ცხოვრების პროგრესს“, თანხმდებიან თავისი ინიციატივით ზოგიერთი რეფორმების გატარებაზე.

თავის მხრივ მთავრობამ ჩაატარა სპეციალური ანკეტა ამ საკითხზე გუბერნატორებს შორის. მხოლოდ 12 გუბერნატორმა (25 პროც.) დაუჭირა მხარი ოფიციალური პროსტიტუციის გაუქმებას. გუბერნატორების უმრავლესობამ კი წინადადება შეიტანა, რათა მთავრობა დაკმაყოფილებულიყო შემდეგი რეფორმებით: 1) უფლება მიეცეს მეძავ ქალებს თავისი ნებით მიატოვონ საროსკიპო სახლები, 2) შეიკვეცოს მეძავ ქალებისათვის მისაცემი ავანსების ჯამი. რაც ხელს შეუშლის საროსკიპო სახლების პატრონს ისარგებლონ ქალების დავალიანებით, 3) უზრუნველყოფილ იქნეს მეძავ ქალისათვის „სამართლიანი“ ხელფასი და სხვ.

ასეთია გუბერნატორების „ჰუმანიური“ წინადადებები. მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი იაპონიის წარმომადგენლებს კონფერენციაზე, რომელიც შესდგა ჟენევაში „ცოცხალი საქონლით“ ვაჭრობის „მოსაწესრიგებლათ“, მოეთხოვათ, რათა იაპონიისათვის დაეშვათ გამონაკლისი და მეძავ ქალებს ასაკათ იქ დაეწესებინათ 18 წელი 21 ნაცვლად. იაპონიის დელეგატებმა ამ შემთხვევაშიც „ტრადიციის“ დამცველის როლში გამოდიოდნენ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პოლონეთის ელჩი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. მოსკოვში შვებულებიდან დაბრუნდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში. (ადს)

„გროზნეფტ“-ის დელეგაცია

მოსკოვი, 16 ნოემბერი. „გროზნეფტ“-ის დელეგაციამ დაამთავრა ამერიკის ნავთის სამრეწველოების და ნავთის საწმენდ ქარხნების დათვალიერება.

დელეგაცია, რომელმაც 4 თვე დაჰყო ამერიკაში ბრუნდება საბჭოთა კავშირში. (ადს).

უკრაინა

მემამულეების და თავად-აზნაურთა გადასახლება

ხარკოვი, 16 ნოემბერი. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით უკრაინის 24 ოლქიდან უკვე გადასახლებულია ყოფილ მემამულეების 336 ოჯახი, რომელთა შორის 114 ოჯახი თავად-აზნაურებისაა. გადასახლებულ მემამულეებს რევოლიუციამდე ჰქონდათ 147.264 დეს. მიწა, ხოლო რევოლიუციის შემდეგ 3.769 დეს. ჩამორთმეული მიწა დაურიგდა საადგილმამულო თემებს. (ადს).

რუსეთის ცაკის სესია

კამათი ამხ. პოლუიანის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ცაკის სესიის 15 ნოემბრის დილის სხდომის პირველი ნაწილი მოუნდა კამათს საბჭოთა არჩევნების სამზადისის შესახებ. საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა პოლუიანმა. საკავშირო ცაკის წევრები კამათში აღნიშნავდენ მოსახლეობის მუშურ-გლეხურ ფენების აქტივობის ზრდას და საბჭოების ხელახალი არჩევნების განვლილი კამპანიის დადებით შედეგებს. დელეგატები საერთოდ და მთლიანად იწონებდენ საბჭოების ხელახალი არჩევნების შესახებ პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციის პროექტს.

ამხ. პოლუიანის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვაში პოლუიანმა აღნიშნა, რომ ცაკის წევრებს ინსტრუქციის წინააღმდეგ არსებითად არ გაულაშქრებიათ. ეს კი იმას ადასტურებს, რომ ინსტრუქცია სწორათ არის შედგენილი. სესიამ მთლიანად მოიწონა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის ღონისძიებანი საბჭოთა ხელახალი არჩევნების ჩასატარებლად.

ამხ. კურსკის მოხსენება

პოლუიანის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის მიღების შემდეგ, მოსმენილ იქნა კურსკის მოხსენება ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის კანონთა კოდექსის ახალი პროექტის შესახებ. კურსკიმ სთქვა, რომ საკავშირო ცაკის წინა სესიამ, მიიღო რა საფუძვლად ქორწინების და ოჯახის შესახებ კანონთა კოდექსის პროექტი, განსახილველად გადაიტანა ის მშრომელთა ფართო მასებში. პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 6.000-ზე მეტმა სასოფლო კრებამ. საბჭოთა კანონმდებლობა ქორწინების და ოჯახის შესახებ არსებითად განსხვავდება ბურჟუაზიულ კანონმდებლობისაგან. საბჭოთა კანონმდებლობა სცნობს მხოლოდ სამოქალაქო, საბჭოთა ქორწინებას და იურიდიულ უფლებებს ართმევს საეკლესიო წესით ქორწინებას. ქონებას, რომელიც დაქორწინებულთ დაქორწინებამდე ეკუთვნოდათ მათ ცალკე საკუთრებათ სცნობს ჩვენი კანონმდებლობა. ბურჟუაზიულ უფლებაში დაქორწინება დაკავშირებულია მეუღლის „დანაშაულის“ დამტკიცებასთან.

საბჭოთა ქვეყანაში გამოცხადებულია განქორწინების თავისუფლება, რომელიც შეიძლება ერთი მხარის განცხადების მიხედვითაც. ბურჟუაზიული კანონმდებლობა მეურვეობას აწესებს ინდივიდუალურ საფუძველზე, საბჭოთა კანონმდებლობა კი მეურვეთ ხდის პროფესიონალურ ორგანიზაციებს, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ამ განსხვავებათა გამო, საბჭოთა კანონმდებლობა ოჯახის შესახებ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დასავლეთში. სხვადასხვა საკავშირო რესპუბლიკებში საქორწინო და ოჯახის უფლების არსებით კითხვებში, საერთო გადაწყვეტილებანი არ არსებობს, მაგრამ სინამდვილე იძულებულს გვყოფს საერთო გადაწყვეტილებამდე მივიდეთ. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, ქორწინების შესახებ, რომ ერთიანი ნორმა არსებობდეს საკავშირო მასშტაბით. ადგილებზე პროექტის განხილვამ ასეთი სურათი მოგვცა: სას. კრებებზე სჭარბობდა მიდრეკილება, რათა დაცული ყოფილიყო პატრიარქალური და მრავალსულიანი ოჯახი. ძირითადი საშუალო ფენები სასოფლო კრებებზე მოითხოვდენ ქორწინების სავალდებულო რეგისტრაციას.

ასეთი ქორწინების რეგისტრაციის არასავალდებულოდ აღიარება გამოიწვევს გარყვნილებას, მხარეთა უპასუხისმგებლობას და სხ. სხვაგვარად შეხვდენ პროექტს ქალაქებში. აქ იცავდენ ურეგისტრაციო ქორწინებას. გარდა ამისა, დისკუსიის დროს ბევრს ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ კოდექსის პროექტი არ იძლევა ქორწინების საკმაოდ ნათელ და გარკვეულ განმარტებას, რომელიც აუცილებელია ბავშვთა უფლებების დასაცავად. პროექტი სისწორით არ კვეთს ქორწინების რეგისტრაციის ცნებას და თვით ქორწინების ცნებას. ცოლ-ქმრობის დამამტკიცებელ საბუთებს, როცა ქორწინება არ არის რეგისტრაციაში გატარებული, სასამართლოსათვის წარმოადგენს: ერთად ცხოვრების ფაქტი, საერთო მეურნეობა ერთად ცხოვრების დროს, ცოლ-ქმრული ურთიერთობის გამომჟღავნება მესამე პირთა წინაშე—პირად მიმოწერაში, სხვა დოკუმენტებში და სხ. პროექტის მიხედვით, ცოლ-ქმრობის დამტკიცება, როცა იგი არაა რეგისტრაციაქმნილი, იძლევა მხოლოდ ქონებრივ უფლებათა დაცვის საშუალებას. იმისათვის კი, რომ მიღებულ იქნეს სხვა უპირატესობანი: პოლიტიკური უფლებანი დიასახლის—ცოლისათვის და სხ., საჭიროა რეგისტრაციაში გატარება. ქორწინების რეგისტრაციისათვის სავალდებულოა განსაზღვრული ჰასაკი: ქალებისათვის—16 წელი, ვაჟებისათვის—18 წელი. რეგისტრაციის დროს საჭიროა ხელწერილი, რომ ორთავე მხარემ იცის ერთიმეორის ჯანმრთელობის მდგომარეობა. არსებითად არის საკითხი დაქორწინებულთა ქონებრივი ურთიერთობის შესახებ. ძველი კოდექსის მიხედვით, ქორწინების დროს ქონება არ ხდება საერთო. ახალი პროექტის მიხედვით კი ქონება საერთოა; თუ უთანხმოება წარმოიშვა ცოლ-ქმარს შორის ყოველი მათგანის წილს არკვევს სასამართლო. ალიმენტის უფლება რჩება იმ შემთხვევაშიაც, თუ ქორწინება რეგისტრაციაში არ იყო გატარებული.

სახელმწიფო ბანკის ხუთი წლისთავი

ამხ. რიკოვი ბანკის მორიგი ამოცანების შესახებ

მოსკოვი, 16 ნოემბ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ **ამხ. რიკოვმა** სახელმწიფო ბანკის ხუთ წლის თავის გამო განაცხადა:

„...ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც სახელმწიფო ბანკმა მოიპოვა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სოციალისტურ აღმშენებლობისათვის კაპიტალისტური მეურნეობის ერთ-ერთი ურთულესი იარაღი.

ჩვენი აღმშენებლობის ეხლანდელ გარდამავალ პერიოდში, როცა საკრედიტო აპარატისათვის საჭიროა ზედმიწევნით სწორი და ენერგიული მუშაობა, ჩვენ უკვე გვაქვს მუშაობის 5 წლის სტაჟი. ვეყრდნობით რა ამ გამოცდილებას, ჩვენ შეგვიძლია უფრო ადვილათ გამოვარკვიოთ, თუ რა და როგორ უნდა შეიცვალოს არსებულ საბანკო სისტემაში, რათა უკეთ უზრუნველყოფილ იქნეს მომავალი სამეურნეო აღმშენებლობა. ვალიუტის შემდგომი განმტკიცება, მრეწველობის საკრედიტო მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება, კრედიტის გაიაფება, საკრედიტო სისტემის მოქნილობის გაძლიერება ბანკის აპარატის რაციონალიზაციის საფუძველზე—აი, უმნიშვნელოვანესი და უძნელესი ამოცანები, რომელიც სდგანან სახელმწიფო ბანკის წინაშე. ვითვალისწინებ რა ჩვენი სამეურნეო განვითარების მდგომარეობას და სახელმწიფო ბანკის გამოცდილებას, მე გამოვსთქვამ სრულ რწმენას იმაში, რომ ეს უძნელესი ამოცანები სავსებით გადაჭრილ იქნება. (ადს)

ლენინგრადის უნივერსიტეტში

ლენინგრადი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს ურიცკის სასახლეში შესდგა ზინოვიევის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტის საზეიმო სხდომა უნივერსიტეტის ხუთი წლის იუბილეს გამო.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა **პოზერნმა.** მან თავის სიტყვაში დაახასიათა ის პირობები, რომელშიაც უნივერსიტეტს უხდებოდა მუშაობა. საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშისცემით არჩეულ იქნენ ამხ. **სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ტომსკი, მოლოტოვი და პეტროვსკი.**

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ჩრდილოეთ-დასავლეთის ბიუროს და ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტის სახელით მისალმებით გამოვიდა ამხ. **კიროვი.** საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასაგან მიღებულ მისალმების წაკითხვის შემდეგ, გამოვიდენ ლენინგრადის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარე **კომაროვი,** საგუბერნიო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების უფროსი **სტეცკი,** „კრასნი პუტილოვეც“-ის და „კრასნი ტრეუგოლნიკ“-ის მუშების წარმომადგენლები და სხვ.

ერთხმად იქნა მიღებული საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, ცეკას ჩრდილოეთ-დასავლეთის ბიუროს და საგუბერნიო კომიტეტის სახელზე გასაგზავნი მისასალმებელი დეპეშების ტექსტი; სხდომამ აგრეთვე შუამდგომლობა აღძრა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და საგუბერნიო კომიტეტის წინაშე, რათა ზინოვიევის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტს დაერქვას ლენინგრადის კომუნისტური უნივერსიტეტი. (ადს).

მუშათა მოძრაობა

ინდოეთი

ბომბეის ფეიქართა მდგომარეობა

ბომბეის საფეიქრო ფაბრიკების პატრონებმა მოსთხოვეს ინდოეთის სავაჭრო კომისიას მფარველობითი საბაჟო გადასახადების დაწესება შემოტანილ მანუფაქტურაზე (ე. ი. შემოტანილი მანუფაქტურის დაბეგვრა ისეთი დიდი გადასახადებით, რომ მან მეტოქეობა ვერ გაუწიოს ადგილობრივ ნაწარმოებს).

ამ კომისიაში ბომბეის ფეიქართა კავშირის მდივანმა ბეკხოლმა წარადგინა თავისი მოხსენება ფეიქართა მდგომარეობის შესახებ ბომბეის საფეიქრო ფაბრიკებში.

ბეკხოლი რეფორმისტია, მაგრამ ისიც კი იძულებული შეიქნა ხმა აღემაღლებია ფეიქართა მდგომარეობის შესახებ.

ბეკხოლის მოხსენება მოხდა აგრეთვე ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე და იგიც კი ალაშფოთა ფეიქართა საშინელმა მდგომარეობამ.

ბეკხოლის მოხსენების შინაარსი მოკლეთ ასეთია:

ბომბეის ფეიქართა ხელფასი არ აღემატება 70 რუპიის თვეში (რუპია დაახლოებით 70 კაპ. უდრის მუშების ხელფასის ნახევარი ქრთამებში და ჯარიმების გადასახდელად მიდის. თვითეული მუშა იძულებულია აძლიოს უფროს მუშას ან მის ცოლს განსაკუთრებული „გასამრჯელო“—1-დან 5 რუპიამდე, იმისდამიხედვით, თუ როგორია შრომის ხელფასი. ეს „გასამრჯელო“ ეძლევა უფროს მუშას გარეშე იმ ქრთამისა, რომელსაც ის იღებს ფაბრიკაში მუშის მიღების დროს.

ხელფასი მუშებს ეძლევათ მხოლოდ ერთხელ თვეში. მაგრამ მუშაობის პირველი ორი კვირა ანგარიშში არ შედის და მუშას ხელფასი ეძლევა ფაბრიკაში მიღებიდან მხოლოდ თვენახევრის გასვლის შემდეგ.

ინდოეთში დღემდე არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს მუშების დაჯარიმებას. ჯარიმების სისტემა ბომბეის ფაბრიკებში არაჩვეულებრივად არის გავრცელებული. თუ მუშა რაიმე მიზეზის გამო არ გამოვიდა სამუშაოზე, მას გარდა იმისა, რომ არ აძლევენ ამ დღის ხელფასს, აჯარიმებენ კიდევ ორი დღის ხელფასის რაოდენობით.

ინდოეთში არ არსებობს აგრეთვე კანონი, რომელიც კრძალავს ხელფასის გასტუმრებას საქონლით. მუშებს აიძულებენ წაიღონ ხელფასის ანგარიშში დაწუნებული მანუფაქტურა (ფასს ანგარიშობენ პირველხარისხოვანი საქონლის ღირებულების მიხედვით) და შემდეგ იგი იძულებული ხდება [illegible] მყიდველის ძებნას, რომ მას ნახევარ ფასში მიყიდოს ხელფასის ანგარიშში მიღებული საქონელი.

ბეკხოლი თავის მოხსენებას მრავალი ფაქტებით ასურათხატებს. ასე მაგალითად, მარტო ერთ ფაბრიკაში მიმდინარე წლის ივლისში მუშებს ძალით მისცეს ხელფასის ანგარიშში ორი მილიონ რუპიის უვარგისი საქონელი. მეორე ფაბრიკაში ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: მუშამ, რომელიც დღეში 80 ცხვირსახოცს ამზადებდა, დააპატარავა ორი მათგანი. ამისათვის იგი დააჯარიმეს ამ 80 ცხვირსახოცის ღირებულებით და არ მისცეს ამ დღის ხელფასი. როცა მან უჩივლა ფაბრიკის პატრონს, იგი დააჯარიმეს ერთი დღის ხელფასით და იძულებული გახადეს ეყიდა ორივე დაპატარავებული ცხვირსახოცი საბაზრო ფასებში.

ბეკხოლმა შეადგინა ცხრილი, რომლიდანაც სჩანს, რომ ჯარიმები შეადგენს მუშის ხელფასის ერთი მესამ. ზოგჯერ ნახევარს.

მაგრამ ამით არ განისაზღვრება მწარმოებლების მადაგახსნილობა. ფაბრიკების ბალანსში, მაგალითად, არის პირდაპირ სასაცილო მუხლი „გამოუთხოვი ხელფასი“: თუ მუშამ ვერ მოასწრო ხელფასის თავის დროზე წაღება (იმის გამო, რომ ავად იყო, ან თავის პატარა ნაკვეთ მიწაზე მუშაობდა), მისი მთელი თვიური ხელფასი ფაბრიკის პატრონის ჯიბეში რჩება.

თუ რას წარმოადგენს მუშათა საცხოვრებელი „ბინები“, ხის ყუთებით ფენის ადგილების ნაცვლად, „ბინები“, სადაც საშინელი სიბინძურე და სიბნელე სუფევს—ამის წარმოდგენა ძნელია. ასეთ „ბინებში“ კი მუშებს ახდევინებენ თვიური ხელფასის 25—35 პროც. ბომბეის ფეიქრების 97 პროც. თითო-თითო ოთახში ცხოვრობს. უკანასკნელი აღწერის დროს ბომბეიში აღრიცხული იქნა 135 შემთხვევა, როცა ერთ ოთახში ცხოვრობდა ექვს ოჯახზე მეტი.

ასეთი საშინელი საბინაო პირობები აძლიერებენ ბავშთა სიკვდილიანობას. ბეკხოლს თავის მოხსენებაში მოჰყავს ცხრილი, რომლიდანაც ნათლად სჩანს, როგორ მერყეობს ბავშთა სიკვდილიანობა იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ოთახი უჭირავს ფეიქარის ოჯახს.

აი ეს ცხრილი:

ოთახების რიცხვი	ათას ბავშზე კვდებოდა			
	1918	1919	1920	1921
1	767	831	631	838
2	499	565	304	322
3	375	358	295	191
4	239	189	289	133

1919 და 1921 წ. ბავშთა სიკვდილიანობა ერთი ოთახის მქონე ოჯახებში 80 პროც. უდრიდა.

სანიტარული პირობები ფაბრიკებში საშინელია. ფეხისადგილების რაოდენობა არ არის საკმაო. მუშებს უნებართვოთ არ უშვებენ ფეხისადგილებში. ნებართვებს კი განსაზღვრული რაოდენობით არიგებენ.

მწარმოებლები არ სცნობენ პროფკავშირებს. პროფკავშირების წევრებს სდევნიან.

ასეთ პირობებში გასაკვირი არ არის, რომ საფეიქრო ფაბრიკების მოგება 400—500 პროც. უდრის.

ასე ცხოვრობენ ბომბეის მუშები. მართალია, ინდოეთში არსებობს კანონი „შრომის დაცვის შესახებ“, რომელიც არ ტარდება ცხოვრებაში, მაგრამ ეს კანონი ფორმალურადაც არ ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატზე. არ არის აკრძალული აგრეთვე ბავშთა შრომა.

ამხ. ჩიჩერინი ოდესაში

სტუმრათ წითელფლოტელებთან

ოდესა, 16 ნოემბ. მეზღვაურებმა, რომლებიც ინახულა ჩიჩერინმა, აღფრთოვანებული შეხვედრა გაუმართეს მას. ჩიჩერინმა დაათვალიერა გემები, სადაც ის გაეცნო მეზღვაურთა მუშაობის და ყოფა-ცხოვრების პირობებს. „ნეზამოჟნიკის“ მეზღვაურებმა ნაპირიდან ხელით მიიყვანეს ჩიჩერინი ავტომობილამდე.

ოდესის გარნიზონის პოლიტშემადგენლობამ დიდის ყურადღებით მოისმინა ჩიჩერინის მოხსენება და მხურვალე ოვაცია გაუმართა მას. (ადს).

კინო-მუშაკთა კონფერენცია

მოსკოვი, 16 ნოემბ. მოსკოვში დამთავრდა კინო-მუშაკთა სრულიად რუსეთის კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა, რომ კინომშენებლობის ორ პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს სოფლის კინოფიკაცია და აგრეთვე საბჭოთა ფილმების დამზადება. კონფერენციამ საჭიროდ სცნო, რომ კომერციულ კინოებიდან შემოსული ყველა თანხები უნდა მოხმარდეს კინომშენებლობის განვითარებას. დადგენილ იქნა აგრეთვე აეკრძალოს კერძო პირებს კინო-მუშაობის წარმოება სოფლად. (ადს).

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ც. ბ. პლენუმი

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მეოთხე პლენუმმა, რომელიც ეხლახან დამთავრდა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტარიფის და უმუშევრობის საკითხებს.

პლენუმმა მოიწონა პროექტი ახალი სატარიფო ცნობარისა, რომელიც ემყარება სატარიფო ქსელს 26 თანრიგით შემდეგი შეფარდებით: 1:22. ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმს ევალება დაგზავნოს ადგილებზე სატარიფო ცნობები განსახილველად, რის შემდეგ მიღებულ მასალების მიხედვით ის საბოლოოდ დამუშავებული იქნება და გადაეცემა განსახილველად სათანადო ორგანოებს.

პლენუმმა აღნიშნა, რომ უმუშევრობა ლიტერატურულ მუშაკებს შორის მსხვილ ცენტრებში შეიძლება შემცირებული იქნეს ამ მუშაკების პროვინციაში დანაწილების გზით. ამისათვის საჭიროა დაუგვიანებლად აღრიცხულ იქნეს პროვინციალურ გამომცემლობათა მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშაკებზე. ბეჭდვითი სიტყვის დაწესებულებებში დღემდე უმუშევრობის ზრდასთან ერთად ხშირად ადგილი აქვს შეთავსების შემთხვევებს. ეს აძლიერებს უმუშევრობას და იწვევს მუშაკების ზედმეტ დატვირთვას. ბიუროებმა და ადგილკომებმა ადგილებზე სასტიკი ბრძოლა უნდა გაუწიონ ლიტერატურულ მუშაკების შეთავსებას, რაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაშია დასაშვები. ამასთან ერთად საჭიროა უმუშევართა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა, რისთვისაც მსხვილ ცენტრებში უნდა მოეწყოს სპეციალური კურსები. ამავე დროს საჭიროა უმუშევრების ჩაბმა არსებულ საგაზეთო და საწიგნო საქმის წრეებში. (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ქალებით ვაჭრობა

ბაქო, 16 ნოემბერი. ბაქოს საოლქო სასამართლოში დანიშნულია ორი სპარსელის საქმის გარჩევა, მათ ბრალად ედებათ სპარსეთიდან ქალების ჩამოყვანა და მათი გაყიდვა ბაქოსა და სხვა ქალაქებში. სულ გაუყიდიათ 24 ქალი. ქალებს ყიდდენ, როგორც საქონელს, 50 მანეთიდან 100 მანეთამდე. ამ საქმის გამო გამოწვე-

მუშათა უნივერსიტეტში

ბაქო, 16 ნოემბერი. დეკემბერში დაიწყება მეცადინეობა ახლად გახსნილ მუშათა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში მიღებულია 200 კაცი; ამათგან 80 თურქია. სწავლის ვადა გრძელდება ორნახევარ წელს. (ადს).

სომხეთი

დახმარება ლენინაკანს

ერივანი, 15 ნოემბ. მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების მიწოდების კამპანია ცენტრიდან მაზრებში იქნა გადატანილი. ყველგან მოეწყოს სამეულები.

სტეფანოვის სამაზრო აღმასკომმა შეწირა 1000 მანეთი. კამარლინის რაიონში შეგროვილია 1.930 მან. ქარალაგეზის რაიონში 1000 მან. სოფლებში სწარმოებს შემოწირულებათა შეგროვება. ვაგარშაპეტში შეგროვილია 700 მან. კურდუკლინსკის რაიონში 270 მან. ფულით და აგრეთვე რამოდენიმე ასი ფუთი ხორბალი და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. დახმარების კამპანია სხვა მაზრებშიაც წარმატებით მიმდინარეობს. (ადს).

სხვადასხვა

საყვედური პოლიციას

ლონდონი, 16 ნოემბერი. „დეილი მეილის“ ცნობით პოლიციის კომისარმა დეტროიტში (შეერთებული შტატები) გამოსცა ბრძანება რევოლვერით სროლის გაუმჯობესების შესახებ. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ პოლიციელები ვერ ისვრიან საკმაო სიმარჯვით. ტყვია დასჭრის ბანდიტს, მაგრამ არ ჰკლავს. პოლიციამ ესროლა 113 ბანდიტს—მოჰკლა 33. (ადს).

ქარიშხალი ინგლისში

ლონდონი, 16 ნოემბ. ინგლისზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა, რომელსაც თან სდევდა კოკისპირული წვიმა. ბევრ ადგილას ქარიშხალმა დიდი ზარალი გამოიწვია. შოტლანდიის ნაპირებთან დაიღუპა ორი გემი. მეზღვაურნი გადარჩენილ იქნენ. ფოლკსტონის ნავთსადგური დაკეტილი იყო და ამიტომ მიმოსვლა ლამანშის არხზე სწარმოებდა შუვრიდან. (ადს).

გამომჟღავნებული საიდუმლოება

ლონდონი, 16 ნოემბერი. „დეილი მეილის“ პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, ბელგიის მეფემ ალბერტმა წერილობით მიმართა მარშალ ფოშს ამ უკანასკნელის მიერ 11 ნოემბერს, დროებითი ზავის ჩამოგდების დღეს, „მატენში“ მოთავსებულ განცხადების გამო. ფოში აცხადებს, რომ 1914 წლის ნოემბერში ომის კრიტიკულ პერიოდში, მან ხანგრძლივი მოლაპარაკების საშუალების შემდეგ დაითანხმა გენერალი ფრენჩი და მეფე ალბერტი, რომ მათ არ მიეტოვებიათ იზერის ხაზი.

ალბერტი თავის პასუხში გამოსთქვამს გაკვირვებას გამოქვეყნებულ ცნობების გამო, და უცხადებს რა თავის პატივისცემას და მადლობას ფოშს, მოაგონებს მას, რომ წინადადებამ იზერიდან უკან დახევის შესახებ, როგორც თვით ფოშისთვისაც ცნობილია, არ მიიღო ალბერტის დასტური. „ჩემი ვალი—სწერს ალბერტი—დაიცვა ჩემი ოფიცრებისა და ჯარისკაცების მიერ დამსახურებული რეპუტაცია, იმ ოფიცრებისა და ჯარისკაცების, რომელთა გულადობასაც უნდა უმადლოდეთ იზერის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება“. (ადს).

დედოფლის ტურნე

ლონდონი, 16 ნოემბერი. ჩიკაგოდან მიღებული ცნობებით, რუმინეთის დედოფალი ბრუნდება ევროპაში.

თამბაქოს მონოპოლია ლიტოვეთში

კოვნო, 13 ნოემბერი. გაზეთ „ეკო“-ს ცნობებით, ლიტოვეთის ელჩი გერმანიაში აცხადებს, რომ წინასწარმა მოლაპარაკებამ ბერლინში მყოფ ამერიკელთა ფინანსიურ დელეგაციასთან, ამერიკელთათვის თამბაქოს მონოპოლიის გადაცემის შესახებ ლიტოვეთში, დადებითი შედეგები გამოიღო. (ადს).

სახიფათო თითები

ბერლინი, 12 ნოემბერი. თანახმად იტალიის ახალი საპოლიციო კანონისა პირადობის ბარათებს, ფოტოგრაფიულ სურათსა და ხელისმოწერას გარდა, კიდევ თან დართული ექნებათ თითების ანაბეჭდი. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

მხარს უჭერენ მე-XV-ე პარტკონფერენციის დადგენილებებს

სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ერევანი, 16 ნოემბერი. 15 ნოემბერს, საღამოს, კულტურის სახლის დარბაზში გაიხსნა სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი. ვრცელი მოხსენებით პარტკონფერენციის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. **ლუქაშინი.** მოხსენების გარშემო მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ლუქაშინის მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, სომხეთის კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, სომხეთის კომპარტიის ხაზ. ორგანიზაციების აქტივთან ერთად, მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს, და წინადადებას აძლევს სომხეთის კომ. პარ. ყველა პარტორგანიზაციებს ჩაატარონ ფართო კამპანია კონფერენციის მუშაობის შესასწავლად და მის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

პლენუმი და აქტივი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ სრულ იდეურ და პოლიტიკურ დამარცხებას, რომელიც იგემა ოპოზიციურმა ბლოკმა ტროცკისა, ზინოვიევისა და კამენევის მეთაურობით, რომელმაც როგორც კონფერენციამდე, ისე კონფერენციის შემდეგაც, მიუხედავათ ყველა ფარული და ყალბი გამოსვლებისა, გამოამჟღავნა თავისი აშკარა გადაცდენა ლენინიზმის პოზიციებიდან და სოციალ-დემოკრატიული გადახრა ჩვენი რევოლიუციისა და ჩვენი პარტიის საერთაშორისო და შინაური პოლიტიკის ყველა საკითხებში.

პლენუმი და აქტივი ადასტურებენ ამ გამოსვლების პორაჟენცულ, კაპიტულიანტურ ხასიათს. ოპოზიციას ეჭვი ეპარება ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ძლიერებაში, იმ მუშათა კლასის, რომელიც გლეხობასთან კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარებისა და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების განმანთავისუფლებელი მოძრაობის დახმარებით, აშენებს სოციალიზმს და მოიპოვებს ყველაფერს რომ „ააშენოს სრული სოციალისტური საზოგადოება“.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ როგორც 16 ოქტომბრის დეკლარაციაში, ისე მე-15 პარტკონფერენციაზედაც ოპოზიციის ხელმძღვანელები არ სთმობდენ ანტი-ბოლშევიკურ პოზიციებს, პლენუმი და აქტივი განსაკუთრებით აღნიშნავენ გადამწყვეტი იდეური ბრძოლის გაგრძელების საჭიროებას ოპოზიციის სოციალ-დემოკრატიულ გადახრის წინააღმდეგ, რომელიც „მემარცხენე“ ფრაზებით ეწევა პარტიას მის მიერ არა ერთხელ დაგმობილ ტროცკიზმის ჭაობისაკენ და რომელიც პარტიისათვის შესაძლებელ საგარეო და შინაურ ხიფათების მომენტში შეიძლება გადაიქცეს რეალურ საფრთხედ პროლეტარული დიქტატურისათვის ჩვენს ქვეყანაში და მთელი საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

მხოლოდ ასეთი გადამწყვეტი ბრძოლის გზით შეიძლება აუხსნათ ფართო მასებს ოპოზიციის პრინციპიალურ შეხედულებათა სიყალბე, შეხედულებათა, რომლებიც ამახინჯებენ ჩვენი ეპოქის, სახელმწიფოს მთელი ჩვენი მშენებლობის რევოლიუციონური პერსპექტივების ხასიათს, ისევე როგორც ძირს უთხრის მასსის რწმენას ჩვენს ქვეყანაში პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებაში, რომელიც მთელი საერთაშორისო რევოლიუციის გზის გამკაფავია. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ოპოზიციის ხელმძღვანელებმა აღიარონ თავისი შეცდარი შეხედულებები და მხოლოდ ამ გზით შეიძლება შინაპარტიული მთლიანობის შენარჩუნება და ფრაქციულ ბრძოლის განახლების და ლენინური პარტიის შიგნით. რკინისებური დისციპლინის დარღვევის ყოველგვარი ცდის აღმოფხვრა. (ადს).

ბაქოს პარტ-აქტივის რეზოლიუცია

ბაქო, 16 ნოემბერი. პარტიული აქტივის გაერთიანებულმა კრებამ მე-XV პარტკონფერენციის შედეგების შესახებ ამხ. მირზოიანისა და კარაევის მოხსენებების მოსმენის შემდეგ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს ორგანიზაციის გაერთიანებული აქტივი ბიუროების, უჯრედებისა, კოლექტივებისა, რაიკომების პლენუმებისა, ბაქოს და ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობით, მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს. ბაქოს პარტაქტივი განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს პარტიის რკინისებურ, უძლეველ ბოლშევიკურ სიმტკიცეს, რასაც განსაკუთრებით ადასტურებენ კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებული ყველა გადაწყვეტილებები. მე-15 პარტკონფერენციამ კიდევ ერთხელ მთელი სიმტკიცით დაამოწმა, რომ საკავშირო კომუნისტური პარტია (ბ) და მისი ხელმძღვანელი შტაბი—პარტიის ცეკა თავის მუშაობას აშენებენ ლენინური მოძღვრების ურყევ საფუძველზე, პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებაზე ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაზე. მხოლოდ სწორმა და გამობრძმედილმა ლენინურმა, ბოლშევიკურმა პოლიტიკამ, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი ატარებს, მიიყვანა პარტია და მუშათა კლასი, მუშათა კლასის გლეხობასთან კავშირის და პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებისაკენ. მე-15 კონფერენციამ, ლენინის მოძღვრებასთან სრული შეთანხმებით დაამტკიცა მთელი პარტიის უდიდესი რწმენა და იმედი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობაში, ჩვენს საბოლოო მიზნების მიღწევის შესაძლებლობაში. მე-15 პარტკონფერენციამ, რომელიც მთელი პარტიის ნებისყოფისა და ხაზის გამომხატველია, სწორად შეაფასა ოპოზიცია, როგორც ანტიბოლშევიკური, ანტილენინური და სოც.-დემოკრატიული გადახრა ჩვენს პარტიაში, და მოუწოდა წესრიგისაკენ ოპოზიციონურ ბლოკს მის მიერ წარმოებულ გამთიშავ და ანტიბოლშევიკურ მუშაობისათვის. პარტაქტივის საერთო კრება მთლიანად უერთდება კონფერენციის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ პარტიამ შემდეგში დაუნდობლათ და გადაჭრით უნდა აღმოფხვრას ყველა ცდა—საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდენ ისინი,—ბოლშევიკური რიგების მთლიანობის შერყევისა.

ოპოზიციამ, რომელმაც განაცხადა, რომ ის რჩება თავის პრინციპიალურ პოზიციებზე და შეეცადა კიდეც ამ შეხედულებების დაცვას მე-15 პარტკონფერენციაზე, ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ დაუდასტურა პარტიას თავისი სრული პრინციპიალური გაკოტრება. მე-14 პარტყრილობიდან დაქანდა რა ტროცკიზმისაკენ, ოპოზიციამ, მე-15 პარტკონფერენციაზე თავის ლიდერების გამოსვლით კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი იდეური კაპიტულიაცია ტროცკიზმის წინაშე, დაამახინჯა ლენინიზმის ძირითადი პრინციპები და უარჰყო ლენინის მოძღვრება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ. ეფარებოდა რა მემარცხენე ფრაზებს, ოპოზიცია პარტიასა და მუშათა კლასში სთესდა იჭვიანობას, სასოწარკვეთილებას, თავზარდაცემას და ექანებოდა ისეთ არაბოლშევიკურ, არალენინურ წინადადებისაკენ, როგორიც არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური მეთოდები, მაღალი ფასების პოლიტიკა; ბრალს სდებდა პარტიას გადაგვარებაში, აყენებდა დემაგოგიურ „მემარცხენე“, სოციალ-დემოკრატიულ ლოზუნგებს სამუშაო ხელფასის დაუყოვნებლივ გადიდების შესახებ, ცდილობდა პარტიის მთლიანობისა და დისციპლინის დარღვევას.

ბაქოს პარტაქტივის საერთო კრება მთლიანად ეთანხმება მე-15 პარტკონფერენციის მიერ ოპოზიციის პრინციპების სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) გადახრად აღიარებას და შემდეგში საჭიროდ სთვლის მთელი პარტიის მიერ დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას ოპოზიციის სოციალ-დემოკრატიულ გადახრასთან, მის სრულ დაძლევამდე.

მე-15 პარტკონფერენციამ თავის გადაწყვეტილებებში გამოხატა ლენინური პარტიის ურყევი სურვილი განაგრძოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობა და ბრძოლა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის. აქტივის კრება მოუწოდებს ბაქოს ორგანიზაციას გაერთიანდეს ლენინური პარტიის მებრძოლი შტაბის—ცენტრალური კომიტეტის გარშემო—პარტიის ძლევამოსილი, შემჭიდროვებული, ურყევი რკინისებური, მთლიანი რიგებით და შეუდგეს შემდგომ შემოქმედებით მუშაობას, სოციალიზმის აშენებას და ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის.

გაუმარჯოს ლენინური პარტიის უძლეველ მთლიანობას!

გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში!

გაუმარჯოს მომავალ მსოფლიო რევოლიუციას!“ (ადს).

ჩინეთის კომპარტია მხარს უჭერს ს. კ. პ. (ბ) ხაზს

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ვლადივოსტოკიდან მიღებული ცნობებით შანხაიში გაიმართა ჩინეთის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის აქტივის კრება. კრებას დაესწრო 100 კაცი. პოლიტბიუროს ერთ-ერთმა წევრმა გააკეთა მოხსენება საკ. კომ. პარ. (ბ) ოპოზიციის შესახებ. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც სასტიკად გმობს ოპოზიციის ტაქტიკას და იწონებს საკ. კომ. პარ. (ბ) პოლიტიკურ და საორგანიზაციო ხაზს. (ადს).

ოპოზიციის გამთიშველ მუშაობის წინააღმდეგ

ქართულ მუშფაკის ა. ლ. კ. კავშირის უჯრედის კრება, რომელიც 2 ნოემბერს შესდგა ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების შემდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია.

მოვისმინეთ, რა მოხსენება ამხ. ერქომაიშვილისა, შინა-პარტიული მდგომარეობაზე და ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ; ქართული მუშფაკის ა. ლ. კ. კავშირის ორგანიზაციის წევრები და კანდიდატები, რიცხვით, 500 კაცი, ერთხმად და სავსებით ვიწონებთ ცეკასა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებებს, იმ ამხ. წინააღმდეგ, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით დაარღვიეს კომუნისტური პარტიის დისციპლინა.

მუშფაკის კომკავშირის ორგანიზაცია ითვალისწინებს რა შექმნილ მდგომარეობას, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ 1) ოპოზიციამ თავისი გამოსვლებით კომუნისტურ პარტიაში შეიტანა არევ დარევა, რითაც ჩვენს პარტიას დიდი ზიანი მიაყენა. 2) რომ ოპოზიციას სურდა თავზე მოეხვია პარტიისათვის დისკუსია.

3) რომ ოპოზიციამ თავისი ფრაქციული მუშაობით აახმაურა ჩვენი შინაური და გარეშე მტრები, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებენ ოპოზიციის ფრაქციულ მუშაობაზე. ქართულ მუშფაკის კომკავშირის ორგანიზაციის წევრების და კანდიდატების კრება გადაჭრით ჰკიცხავს ოპოზიციას და აცხადებს, რომ ის მტკიცედ იბრძოლებს ლენინურ პარტიის მთლიანობისათვის.

ჰკიცხავთ ფრაქციონერებს

(ზუგდიდი)

საქ. ა. ლ. კავშირის ზუგდიდის სამაზრო კომის პლენუმი, თემკომების მდივნებთან და ქ. ზუგდიდის ორგანიზაციის აქტივთან ერთად, მოისმინა რა მან მოხსენება ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მესამე პლენუმის შედეგების შესახებ და ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ ცეკას ზოგიერთი პრეზიდიუმის წევრები შეეცადენ კ. კავშირის საქართველოს ორგანიზაცია ჩაეთრიათ ფრაქციულ მუშაობაში, რითაც ისინი არღვევდენ ორგანიზაციის მთლიანობას, დაიწყეს ფრაქციული მუშაობა და ცდილობდენ მომხრეების დაჯგუფებას, რითაც ენდოდათ მუშაობის გადატანა პროვინციაში, აგრეთვე ცეკას პლენუმზე მათ არ აღიარეს თავის შეცდომები, ერთხმად იწონებს ცეკას მიერ მიღებულ ზომებს მათ წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ საჭიროა ყოველგვარი ფრაქციულ მუშაობის და მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ სისტემატიური ბრძოლის წარმოება. ზუგდიდის მაზრის ორგანიზაცია გვერდში უდგას პარტიას მთლიანობის დასაცავად და არ ზოგავს ენერგიას შეიტანოს თავის წვლილი ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

სასტიკი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, რომელთაც არა სწამთ სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში!

გაუმარჯოს მთლიან კომუნისტურ პარტიას და მის კოლექტიურ ხელმძღვანელს საკავშირო კომპარტიის ცეკას!

ცეკას გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება ადგილებზე

მოსკოვი, 16 ნოემბერი. ცეკას გადაწყვეტილებათა შესრულების შესამოწმებლად ადგილებზე, საკავშირო კომპარტიის ცეკამ ცეკას ინსტრუქტორებს შორის დაანაწილა ადგილობრივი ორგანიზაციები.

ამხ. პშენიცინს დავალებული აქვს მუშაობა ამიერ-კავკასიაში. (ადს).

მასწავლებლები ესალმებიან ცეკას

(დეპეშა ქუთაისიდან)

საქ. კომპარტიის ცეკამ ქუთაისის მასწავლებელთა კონფერენციიდან მიიღო შემდეგი დეპეშა.

„ქუთაისის და სამტრედიის რაიონების მასწავლებელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 900 მასწავლებელი, მოისმინა რა მოხსენება ამხ. **სევერიანე მინდაძისა** სოციალიზმის მშენებლობისა და კულტურულ მუშაობის საკითხების შესახებ, მხურვალედ გესალმებათ თქვენ,—მუშათა კლასის ინტერესების საუკეთესო დამცველებს. ჩვენ კულტურული მუშაკები აღფრთოვანებული ვართ იმ დიდი მიღწევებით, რომელიც გვაქვს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ჩვენ სრულიად კმაყოფილნი ვართ იმ მტკიცე პოლიტიკით, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს კომპარტიის ხელმძღვანელობით, საბოლოო მიზნის მისაღწევათ. მასწავლებლობა არ ზოგავდა ენერგიას და არც მომავალში დაზოგავს მას მშრომელი მასების კულტურული დონის ასამაღლებლად, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნას. მასწავლებლობა ყველა მშრომელებთან ერთად ერთგულად არის ჩაბმული საბჭოთა აღმშენებლობაში.

გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას და ამ მშენებლობის ხელმძღვანელს,—კომპარტიას!

გაუმარჯოს სახალხო მასწავლებლობას!

უმხურვალესი სალამით, ქუთაისის და სამტრედიის რაიონის მასწავლებელთა კონფერენცია.

მე-60 კომუჯრედის საზეიმო სხდომა

კვირას, 14 ნოემბერს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგა საზეიმო სხდომა მე-60-ე კომუჯრედის ერთი წლის თავის აღსანიშნავად, რომელზედაც 300-მდე კაცმა და ქალმა და აგრეთვე წითელარმიელებმა მიიღეს მონაწილეობა.

სხდომა გაიხსნა საღამოს 7 ნახ. საათზე. საზეიმო კრებას თავმჯდომარეობდა მე-60-ე უჯრედის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **დალაქიანი.** პრეზიდიუმში შედიოდენ ამხანაგები: ტოროტაძე, ელიაძე, კაიტანჯიანი, გორგიაშვილი, კაკოევი და სხვ.

ამხ. დალაქიანმა გააცნო კრებას უჯრედის დაარსების მოკლე ისტორია და გააშუქა უჯრედის მუშაობა. მოხსენების შემდეგ უჯრედის ბიურომ გადასცა წითელი დროშა აღმასკომის სტამბის ადგილკომს.

კრებაზე მისალოცი სიტყვებით გამოვიდენ სხვა უჯრედებისა და რაიკომის წარმომადგენლები. უპარტიო ქალთა სახელით გამოვიდა ამხ. ო. ბაქრაძე, რომლის გულწრფელმა სიტყვამ მხურვალე ტაში გამოიწვია. კრებას მიესალმა აგრეთვე ამხ. სილია თოდრია, რომლის გამოსვლას მთელი კრება მხურვალე ტაშით შეეგება. საზეიმო სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი „ვინ არის დამნაშავე“. კრება სრულიად კმაყოფილი დაიშალა ღამის თორმეტ საათზე.

გ. ჯაბადარი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ნათლი-მამობა მომჭირნეობის მტერია

აპარატის ნორმალური მუშაობა ერთი ძირითადი პირობაა დაწესებულება - წარმოებაში მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებისათვის. აპარატის ნორმალური მუშაობა კი თავის მხრივ ბევრადაა დამოკიდებული მუშაკების შერჩევაზე.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში? მუშაკების შერჩევა ბევრ შემთხვევაში ხდება ყოველი სისტემის, მიზანშეწონილობის გარეშე. მუშაკები აყავთ საქმეზე მისი ვინაობის, საქმისათვის გამოსადეგობის და კეთილსინდისიერების საფუძლიანად შესწავლის გარეშე. და ეს უმთავრესად ხდება მიკერძოების, ნათლიმამობის გამო.

ამ სენზე არა ერთხელ მიუთითებია პრესას, პარტიული და სხვა საკონტროლო ორგანოებს. მიუხედავად ამისა ნათლიმამობას მაინც აქვს ადგილი, პროტექციობას ბოლო არ ელება.

ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ სენის აბსოლიუტურად აღმოფხვრა, რასაკვირველია, თავის მოტყუება იქნებოდა. სანამ არსებობს უმუშევრობა, ძნელია ლაპარაკი ნათლიმამობის მთლიანად აღმოფხვრაზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ეს სენი მინიმუმამდე დავიყვანოთ, გავაქარწყლოთ ის, როგორც მასიური მოვლენა, როგორც სოციალური ბოროტება.

ჩვენ ხომ მოვსპეთ მექრთამეობა, მეფის რეჟიმის ეს ერთი საზიზღარი სენთაგანი? ასევე შეგვიძლია ჩვენ ძვალი მოვტეხოთ პროტექციობასაც.

უმთავრესი ადგილი აქ პროფკავშირებს უჭირავთ. მათ სისუსტეს მიეწერება ნაწილობრივ ნათლიმამობის გაძლიერება ამა თუ იმ ადგილას. ამასთან ერთად მეტი სიფხიზლე მართებს ამ საქმეში მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, ჩვენ პრესას და საზოგადოდ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას. რაც შეეხება დამცველ ორგანოებს, მათ ერთი ათად უნდა გააძლიერონ ბრძოლა პროტექტორების წინააღმდეგ. ნათლიმამობიდან მფლანგველობამდე და შემდეგ აშკარა ქურდობამდე ერთი ნაბიჯია. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ბოროტებანი ყველა ერთი ძეწკვის რგოლებია.

მუშაკი.

რას ხმარდება მილიციის ცხენები

(ლეჩხუმი)

ლეჩხუმი ცნობილია უგზოობით. ამ უბედურებას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ აქაურ მუშაკებს სამგზავრო საშუალება მაინც ჰქონდეთ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ არ არის გზები, და არც სამგზავრო საშუალებანი. მაზრის მუშაკების მთელ ტრანსპორტს შეადგენს ორი კუდმილეული ცხენი, რომლებიც ხან აღმა დარბიან და ხან დაღმა.

ცხადია, ეს ორი „ბედაური“ მოთხოვნილებას ვერ აუდის. ხშირად ნახავთ რომ მაზრის პასუხისმგებელი მუშაკი მეთევზესავით დაკარწახებული ტოპავს ორღობეების ტალახებში. სასირცხვო და სათაკილო აქ, რა თქმა უნდა, არაფერია, რომ ამით საქმე არ შავდებოდეს. სად ფეხით მისვლა - მოსვლა თემებში და სად ცხენით!

სამაგიეროდ დიდ ლაღობაშია მილიციის უფროსი. მილიციას 15 ცხენი ყავს. ყველა ეს ცხენები, რასაკვირველია სახელმწიფოს ხარჯზე ინახება, მაგრამ რას იზამთ თუ ისინი ყოველთვის სახელმწიფო საჭიროებას არ ხმარდება?

დასჭირდა, ვსთქვათ, მილიციის უფროსის მეუღლეს აგარაკზე წასვლა. მილიციის ცხენი შეკაზმული კარზე გაჩნდება. რა უყოთ, რომ მაზრის მუშაკები ფეხით ლეჩხუმის წითელ ტალახებს ზელავენ, სამაგიეროდ მილიციის უფროსის მეუღლე ცხენით დაბრძანდება აგარაკებზე.

მაგრამ, როგორიც მღვდელი, ისეთი ერი. „თუ მილიციის უფროსს უყვარს ცოლის მოჯდომა სახელმწიფო ცხენის ზურგზე, არც მისი თანაშემწე რჩება გულნატკენი. სანამ უფროსის თანაშემწეს ცოლი არ ყავდა, საქმეს კიდევ არა უშავდა რა. მაგრამ, მოაჭახრაკა თუ არა მან ცოლის მოყვანის საქმე, ერთბაშად იყარა ჯავრი საბრალო ცხენებზე და ყველა კისრისტეხით გარეკა თავის ქორწილში.

ვიცი, ეს მხილება არ ესიამოვნება ლეჩხუმის მაზრის მილიციის ხელმძღვანელებს. ამიტომაც ვცდილობ გავამართლო ხალხური თქმულება: „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ყავდესო“; მაგრამ სად უნდა ვიშოვო ცხენი, თუ არ მილიციასთან. ასე რომ, სჯობს ჯერ ჯერობით ისევ ფსევდონიმს ამოვეფარო.

ტარხუნა.

გაუგებრობის გასაფანტავათ

(პასუხად „მებრძოლს“)

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 252 მოთავსებული იყო შენიშვნა სათაურით, „უკუღმა გაგებული მომჭირნეობა“., რომელსაც ხელს აწერს მუშკორი „მებრძოლი“. წერილის თანახმად, თითქოს მე თოფჩიშვილი უსაქმოთ წავსულვარ დრეზინით სად. მცხეთიდან სად. თბილისში და თან წამიყვანია ვიღაც ქალები. ჯერ ერთი დრეზინა მე არ მეკუთვნოდა, არამედ ის ეკავდა სალიანდაგო დარგის მეექვსე უბნის უფროსს, ინჟინერს და სალიანდაგო სამსახ. რევიზორ ამხ. სოლოვიოვს. ამ უკანასკნელს წაეყვანა თავისი ქალიშვილი. ასე რომ, აქ აშკარა გაუგებრობაა. მაგრამ მე მაინც მადლობას ვუძღვნი მუშკორს, რომ მომაწოდა უთავბოლობაზე ცნობა, რადგან მე მაქვს დაკისრებული ყოველგვარი უთავბოლობის და უწესრიგობის გამოკვლევა, რომელიც კი აღინიშნება მუშკორის მიერ ამა თუ იმ გაზეთის ფურცლებზე.

თოფჩიშვილი.

დამნაშავე დასჯილია

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 211-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, სათაურით: „სად კანტორა და სად ტელეგრაფი“-ს შესახებ, ა.-კ. რ. გზის [illegible] სამმართველო გაცნობებთ, რომ [illegible] ფ.-ტ. განყოფილებას და მის გამგე [illegible] ჩაბარებაში, როგორც გამორკვეულია საუწყებო გამოძიებამ, დანაშაულობა არ მიუძღვის. დამნაშავე აღმოჩნდა სხვა დაწესებულებაში, რომელიც დასჯილია ადმინისტრატიული წესით.

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ჩაის ფაბრიკის გაფართოება

ოზურგეთი, 16 ნოემბერი. დაწყებულია მუშაობა ზვანის ჩაის ფაბრიკის გასაფართოებლათ. გადაკეთების შემდეგ ფაბრიკა დაამუშავებს 150.000 გირ. ჩაის.

მიმდინარე წელს ფაბრიკამ დაამზადა 19.582 გირ. ნახევარ ფაბრიკატი, რომლიდგანაც 8.000 გირ. საკუთარ პლანტაციებზე შეკრებილი. ფაბრიკის გადაკეთება ჯდება 22.000 მანეთი. მუშაობა დამთავრდება მომავალი წლის დასაწყისში. (ადს).

აჭარისტანი

პალმები ოდესისათვის

ბათომი, 16 ნოემბერი. გემი „ლისკოვსკით“ ოდესაში ქალაქის ბაღისათვის გაიგზავნა 500 ცალი სუბტროპიკული მცენარეულობა (პალმები და სხვა). (ადს).

ბრძოლა კონტრაბანდასთან

ბათომი, 16 ნოემბერი. ოქტომბრის განმავლობაში აჭარისტანის ხუთმა საბაჟომ დააკავა 57.000 მანეთის კონტრაბანდა საქონელი. (ადს).

უცხოელი მეზღვაურები

ბათომი, 16 ნოემბერი. მეზღვაურთა ინტერნაციონალურ კლუბში შესდგა საუბარი უცხოეთის გემების მეზღვაურებთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ინგლისის გემის „ბიჩვუდის“, ჰოლანდიის „კატენდრეხტ“-ის და ნორვეგიის „გერმეს“-ის მეზღვაურებმა. საუბრის მთავარი თემა იყო საერთაშორისო მდგომარეობა, მსოფლიო პროფმოძრაობის ამოცანები, ინგლისის სამთა-მადნო მუშების გაფიცვა და სხვ.

უცხოელი მეზღვაურები სიამოვნებით დასთანხმდენ აჭარისტანის მეზღვაურთა კედლის გაზეთში მონაწილეობის მიღებაზე. (ადს).

წერილები

სასკოლო აღმშენებლობა

(წერილი სიღნაღის მაზრიდან)

სიღნაღის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილების კოლეგიამ ოქტომბრის პირველ რიცხვებში დაამტკიცა სამუშაო გეგმა 1926-27 სასწავლო წლისათვის.

ამ გეგმით უმთავრესი ადგილი უჭირავს ოთხ წლედების გამრავლების და გამაგრების საქმეს. მაზრის წლევანდელი ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც საქართველოს ს. ს. რ. მთავრობამ დაამტკიცა, საშუალებას აძლევს განათლების განყოფილებას რვა სოფელში გახსნას ოთხ წლედების პირველი ახალი ჯგუფები და გაადიდოს პარალელები არსებულ ოთხ წლედებში.

განყოფილებამ თავის დროზე მიიღო ზომები ოთხ წლედების უზრუნველსაყოფათ. წელს ხსენებულ სკოლებისთვის შეძენილი იქნა ახალი ფიზ-კაბინეტები.

8 სოფელში ახალი ჯგუფების გახსნამ გამოიწვია ახალი მასწავლებლების წინასწარ გამონახვის და გადამზადების საჭიროება, ამ მიზნით ჩატარებულ იქნა ერთ-თვიანი სამაზრო კურსები, ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის საჭირო პედაგოგიური და მეთოდიური დირექტივების მისაცემათ.

ამჟამად მაზრაში არსებობს 4 წლედები სრულ კომპლექტიანი—23 და არა სრულ კომპლექტებიანი—72. წელს 4 წლედებთან პარალელები გაიზარდა 30-ით.

გარდა ამისა მიმდინარე წელს დაარსებულ იქნა გლეხთა ახალგაზრდობის ორი ახალი სკოლა, ეს სკოლები უზრუნველყოფილნი არიან საჭირო ლაბორატორიით, პრაქტიკული სამუშაოებისათვის მიწის სათანადო ნაკვეთებით და იარაღებით. მომავალ მუშაობაში განყოფილებას აღებული აქვს გეზი 7-წლ. შრ. სკოლების თანდათან გლეხურ ახალგაზრდობის სკოლებათ გადაკეთებისაკენ.

განათლების კომისარიატის დახმარებით და განყოფილების ინიციატივით წელს მოწყობილი იქნა ერთი სამრეწველო ეკონომიური ტეხნიკუმი. მაზრაში არსებობს აგრეთვე ერთი პედაგოგიური ტეხნიკუმი, ერთი სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი და ორი დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლები. განყოფილებამ მიიღო ზომები 7 წლედებში, 9 წლედში და სპეც-ტეხნიკუმებში საზოგადო მეცნიერების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლათ.

განყოფილების კოლეგიის დადგენილების თანახმად ხშირათ იქნება მოწვეული მასწავლებელთა სარაიონო თათბირები, სადაც დამუშავდება სასკოლო აღმშენებლობის, პედაგოგიკის და მეთოდიკის პრაქტიკული კითხვები. სოფლის სკოლების პედაგოგიურ საბჭოებზე ცოცხალი ხელმძღვანელობის გაძლიერების მიზნით, გადიდებული და გაუმჯობესებული იქნა განყოფილების ინსტრუქტორთა კადრი. განყოფილებამ საჭიროთ სცნო სკოლების გამგეების განათლების განყ. კოლეგიის სხდომებზე დროგამოშვებით მოხსენებებისთვის გამოძახების პრაქტიკის შემოღება.

რაც უმთავრესია, წელს განყოფილებამ ყველა სკოლებში მტკიცეთ გაატარა სოციალური შერჩევის პრინციპი მოწაფეთა მიღება დათხოვნის დროს. ყოველგვარი შეღავათები გავრცელებული იყო ღარიბის გლეხობის წრიდან გამოსულ და ობოლ მოწაფეებზე. განყოფილებამ მიზნათ დაისახა, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს მოწაფეთა თვითმართველობის გაჯანსაღებას სკოლებში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს სამაზრო ხელისუფლების დაინტერესება სასკოლო აღმშენებლობის კითხვებით. სამაზრო აღმასკომმა სოფლის და თემის საბჭოებს გადაუდებელ ამოცანათ დაუსახა სკოლების მოვლა-პატრონობა. თვით მოსახლეობაშიც საგრძნობლათ გაიზარდა აქტივობა და თვითმოქმედება სასკოლო აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებათ.

თუ რამდენით გაიზარდა ახალი სკოლების და მოწაფეების რიცხვი შარშანდელთან შედარებით ამაზე შემდეგ.

ა. ჭოჭუა.

ტყე იწვება

(წერილი თელავიდან)

უკვე გაიხსნა ხანძარის სეზონი ტყეში. შემოდგომა და ზამთარი, ნამეტნავად თუ მშრალი და გვალვიანი ამინდებია, დიდ საფრთხეს წარმოადგენენ ჩვენი კუთხისათვის. რამდენიმე დღე მოსჩანდა თელავიდან კავკასიონის მთების კალთებზე დღისით ბოლი და ღამით ცეცხლი. იწვის ძვირფასი ტყე. სალამოობით შორიდანაც ამჩნევ როგორ მიიწევს ცეცხლი, როგორ ფართოვდება ხანძრის მოედანი. ეს მარდი ცეცხლია, მარდად მოირბენს მთელს მიდამოებს, სანამ არ შეაჩერებს მას რომელიმე ხეობა, უფსკრული, მოსწვავს ფოთოლს. მოთუთქავს ნორჩ ტოტებს, მწვანე მცენარეულობას და ხმას ჩაიწმენდს, გაჩუმდება, ჩაქრება.

მაგრამ ალაგობრივ ცეცხლი გაჯიუტდება, მოეკიდება მსხვილ ხეებს, ზანტად გადადის ერთიდან მეორეზე და არ ეშვება მანამდინ, სანამ კარგად არ იყრის ჯავრს, სანამ არ წააქცევს და არ გაათავებს ტყეს.

საიდან ჩნდება ტყეში ხანძარი?

უმრავლეს შემთხვევაში ცეცხლს აჩენენ მწყემსები და მონადირეები, თვიანთ შეუგნებლობით და გაუფრთხილებლობით. მაგრამ ხშირია, როდესაც ცეცხლს განზრახ აჩენენ. ასეთი „მეცეცხლურები“ უმთავრესად მეღორე მწყემსების წრიდან გამოდიან. შემოდგომაზე, როდესაც ხეებს ფოთოლი სცვივა, მათ ქვეშ იმალება კურკა, წაბლი, წიფლის ნაყოფი. ღორს ძებნა უძნელდება. ამიტომ უკიდებენ ცეცხლს ხმელ ფოთოლს, ფოთოლი დაიწვება, ტყის ნაყოფი გამოთუთქება და გაზაფხულზედაც არ გაღვივდება. ამგვარად შემოდგომა - ზამთარში ღორებს მშვენიერი საკვები აქვთ. მაგრამ ტყე ნადგურდება და უფრო და უფრო ამ წლებში, როდესაც მუხის (რკო) მოსავალი კარგია. კახეთის ტყეებში კარგი მოსავალი 4-5 წლიწადის გამოშვებით იცის ხოლმე. წელს მშვენიერი მოსავალია ტყისა, ამიტომ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ხანძარიც გაძლიერდება.

საინტერესო ისაა, რომ ჯერ კიდევ არ გვახსოვს შემთხვევა, როდესაც დამნაშავე აღმოეჩინოთ და პასუხში მიეცეთ. ეს მდგომარეობა ხელს უწყობს ხანძარის გავრცელებას და ტყის განადგურებას. ბრძოლის ერთი ზომათაგანი იქნებოდა წინდაწინვე სატყეოდან მესაქონლეობის მიერ ბილეთის აღების დროს მათზე პასუხისმგებლობის დაკისრება აღებულ ტყის ხანძრიდან დაცვის მიზნით. შემდეგ საჭიროებას წარმოადგენს განსაკუთრებული, სეზონური დარაჯების დანიშვნა ტყეში, რომელნიც თვალყურს ადევნებენ ბოროტმოქმედთ და დაიჭერენ მათ სასამართლოში გადასაცემად.

ჩვენში ტყე იწვება ყოველ შემოდგომით, დიდძალი ხალხი ცდება თავის ოჯახს, არის სოფლები, რომლებიდანაც ორი-სამი თვის განმავლობაში ათჯერ უხდებათ ტყეში ცეცხლის გასაქრობად გასვლა და იქ 20-25 დღე მუშაობა. ბოლოს და ბოლოს გლეხებმა დაჰკარგეს მოთმინება. ისინი ზოგჯერ თვითგასამართლებამდე მიდიან. შარშან ერთ უდანაშაულო მეღორეს 15 ღორი დახოცეს და შეუჭამეს. თვითონ მეღორემ ძლივს უშველა თავს გაქცევით.

რომ მოვსპოთ მისი გამომწვევი მიზეზები საჭიროა კიდევ მწყემსებზე და მეღორეებზე კულტურული გავლენის მოხდენა.

ესტატე კაკულია.

სოფლის ქრონიკა

— სენაკის აღმასკომი შეუდგა ქალაქის გამშვენიერებას.

— ზუგარა. ახალციხის აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს თემებში სავალდებულო საგზაო ბეგარის ჩატარების საქმის შემოწმება.

— შეკეთება. ბორჩალოს აღმასკომი ახლო ხანში შეაკეთებს სამაზრო საავადმყოფოს.

— ტელეფონი. სენაკის აღმასკომმა გადაწყვიტა ეკის თემში გაიყვანოს ტელეფონი.

— ჭაობების ამოშრობა. სენაკის აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია მაზრაში ჭაობების ამოსაშრობათ.

— ახალქალაქის აღმასკომი ადგენს გეგმას საკრედიტო ამხანაგობების ქსელის გასაფართოებლად.

— საფერშლო პუნქტი. ეკის თემში იხსნება საფერშლო პუნქტი.

აჭარისტანში

—შრომის ხელფასის მოსაწესრიგებლად აჭარისტანის სახ. კომისართა საბჭოსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია.

— თემაღმასკომების თავმჯდომარეთა მოსამზადებლად ბათომში იხსნება მოკლევადიანი კურსები.

— ქობულეთის ერთდროულ საკურორტო გადასახადიდან შემოსული თანხა გადაეცა ადგილობრივ კლუბს.

— ლენინაკანის მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ კომისართა საბჭომ გადასდო ხუთი ათასი მანეთი.

— აფთიაქების მუშაობის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად გადაიდო 15 ათასი მანეთი.

— სკოლა. ქობულეთის თემში ახალი სკოლის ასაგებათ კომისართა საბჭომ გადასდო 500 მან.

— საკავშირო აღწერის ჩასატარებლად დაარსდა სამეული ამხ. მემედ გოგიბერიძის თავმჯდომარეობით.

— უვადო შვებულებაში წასულ წითელარმიის უფროს შემადგენლობის სამუშაოებზე მოსაწყობათ კომისართა საბჭომ დაარსა ცალკე კომისია.

წითელ ჯარში

სკოლის გარეშე მუშაობა ქართულ ჯარში

სკოლის გარეშე (საკლუბო და საბიბლიოთეკო) მუშაობა ქართულ ჯარში თანდათან ფართოვდება და იღებს გარკვეულ სახეს. ამ მუშაობის ფორმები დღიდან ქართული ჯარის დაარსების მრავალჯერ შეიცვალენ, იყო ძიება ისეთი ფორმების, რომელნიც გამოსადეგნი იქნებოდნენ ქართველი წითელარმიელებისათვის და რომელნიც ხელს შეუწყობდნენ წითელარმიელის საერთო განვითარების, პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებას.

საერთოდ, სკოლის გარეშე განათლებას მთელ პოლიტსაგანმანათლებლო სისტემაში უკავია საპატიო ადგილი და სდგას პარტიის ყურადღების ცენტრში. იგი წარმოადგენს მძლავრ იარაღს წითელარმიელთა გათვითცნობიერების და განვითარების საქმეში.

წითელარმიელი ყაზარმაში მოსვლისთანავე ხდება ლენინის კუთხის მუშაობის მონაწილე. ლენინის კუთხე სხვადასხვა საშუალებებით და მეთოდებით სცდილობს დააინტერესოს წითელარმიელი საზოგადოებრივი ცხოვრებით, სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის შეძენით და სხვა ლენინის კუთხეში წითელარმიელი ეჩვევა კულტურულ ცხოვრებას, დისციპლინას, კოლექტიურ შრომას. აქ იგი ეცნობა მრავალ სხვადასხვა საგნებს და იძენს ისეთ ცოდნას, რომელიც მას უეჭველია გამოადგება შემდეგში.

სკოლის გარეშე მუშაობის შემდეგი დარგი—საწრეო მუშაობა, წარმოადგენს უფრო სერიოზულ მხარეს. წრეებში თავმოყრილია წითელარმიელთა უფრო აქტიური ძალები. საწრეო მუშაობა მოითხოვს ყოველ მონაწილისაგან მეტ დაკვირვებას, ენერგიას, შრომის სიყვარულს, თვით წრე წარმოადგენს ერთ კოლექტიურ ორგანიზაციას, სადაც ყველა წევრი ჩაბმულია რაიმე საქმეში და ასრულებს კოლექტივის დავალებას. წრეში წითელარმიელი იძენს გარკვეულ და მთლიან ცოდნას ამა თუ იმ დარგში. წრეები წითელ ყაზარმაში მრავალი ხასიათისაა! სამხატვრო-სააგიტაციო, საერთო განათლების, პოლიტიკური ხასიათის და სხვა.

სკოლის გარეშე მუშაობას არა ჰყავს დატოვებული უყურადღებოთ აგრეთვე მეთაურთა შემადგენლობა. სკოლის გარეშე განათლების საზამთრო პერიოდის პროგრამით გათვალისწინებულია მუშაობა მეთაურთა და მათ ოჯახების შორის. მასიურ მუშაობაში ყურადღება ექნება მიქცეული ისეთ საღამოების, მოხსენებების და ლექციების მოწყობას, რომელნიც აინტერესებენ მეთაურთა შემადგენლობას და დააკმაყოფილებენ მათ. შექმნილი იქნება აგრეთვე მაღალი ტიპის წრეები მეთაურთათვის. ბიბლიოთეკები შევსებული იქნება ისეთი წიგნებით, რომელნიც გამოსადეგნი იქნებიან მეთაურთა შემადგენლობისათვის.

ჯარის ნაწილების სკოლის გარეშე განათლების აპარატს ყოველთვის ჰქონდა კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციების კლუბებთან, კავშირი გამოიხატებოდა ურთი-ერთ მისვლა-მოსვლაში და მონაწილეობის მიღებაში მასიურ დადგმების დროს. ეს ხაზი შეცვლილი უნდა იქნეს. აუცილებელია შემოღება გაერთიანებული მეთოდიური თათბირების, სადაც ჯარში და სამოქალაქო ორგანიზაციებში მომუშავე ამხანაგები გაეცნობიან სკოლის გარეშე მუშაობის მეთოდებს, მის მსვლელობას და გაუზიარებენ ერთი-მეორეს გამოცდილებას და დაკვირვებებს. ეს, უეჭველია, წინ წასწევს სკოლის გარეშე მუშაობას და შედეგებიც სასურველი იქნება.

ი. ხუციშვილი.

დებულება წითელ არმიაში სამსახურის გავლის შესახებ

მუშურ-გლეხურ წითელი არმიის მთავარ სამმართველომ გამოიმუშავა პროექტი დებულებისა წითელ არმიაში სამსახურის გავლის შესახებ.

დებულება აწესრიგებს ყველა ბრძანებას, ცირკულიარებს, ინსტრუქციებს და სხვა მასალას, რომელიც ეხება მუშურ-გლეხური წითელი არმიის კადრის შემადგენლობის შევსებას, თანამდებობებზე დანიშვნას, გადაყვანას, დაპატიმრებას და სხვა.

დებულება საცდელი საცნობო მასალა სამხედრო კუთხეებისათვის და ქოხ-სამკითხველოებისათვის.

წვევამდე მზადება

1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდობის წვევამდე მზადება დაიწყება საქართველოში მიმდინარე წლის 1-ლ დეკემბრიდან. მზადებისათვის მოწყობილია სამოსწავლო წერტილები ისეთნაირად, რომ წვევამდელნი არ იქნენ ძალიან დაშორებულნი საცხოვრებელ ადგილებს.

1906 წელში დაბადებულნი გაივლიან წვევამდე მზადებას 1927 წლის 1 იანვრიდან.

ლენინაკანის რაიონის აღსადგენად

„კომუნისტი“-ს კანტორაში

(რუსთაველის პროსპ. № 34) მიიღება შემოწირულებები მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ

25.000 მანეთის გაგზავნა

ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების შესახებ.

პროფსაბჭომ მიიღო რა მხედველობაში დაავადმყოფების შემთხვევების ზრდა ლენინაკანში და მის რაიონში, უმუშევრობის სიმწვავე და ბინების უქონლობა, აუცილებლად სცნო მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები ლენინაკანის სოციალური დაზღვევის სალაროს ფონდის შესავსებად, რომ ამ უკანასკნელმა შესძლოს თავისი ფუნქციების დაუბრკოლებლივ და სრულად შესრულება.

ამ მიზნით ლენინაკანის სოცდაზღვევის სალაროს გადაეგზავნა 25.000 მანეთი.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს წინაშე, რათა გაღებული იქნეს სათანადო თანხები ლენინაკანში შენობის ასაგებად სამაზრო პროფბიუროსა და კავშირების სამაზრო განყოფილებებისათვის.

ამავე დროს აღძრულია შუამდგომლობა, რომ სომხეთის პროფკავშირებს მიეცეს დახმარება.

1.000 მან. განჯის სამაზრო აღმასკომისაგან

განჯა, 16 ნოემბ. განჯის სამაზრო აღმასკომმა ლენინაკანის დაზარალებულთა დასახმარებლათ გადასდო 1.000 მანეთი. პროფკავშირები ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ დახმარების შესაგროვებლათ. კოოპერატივ „ბირლიკმა“ 200 მანეთი გადასდო ლენინაკანის კოოპერატივის აღსადგენათ და დაადგინა ერთი კვირის განმავლობაში გადასდოს საერთო შემოსავლის 2 პროცენტი. (ადს).

გიწვევთ დასახმარებლად

თანახმად ამხ. ალ. ცინცაძის გამოწვევისა ამასთანავე გაახლებთ სომხეთში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ხუთ მანეთს (5 მ.).

ა. ინწკირველი.

ს. კ. პ. (ბ) ქალაქის რაიონის მთავარ ტელეგრაფთან არსებული კომუჯრედი № 55 სწირავს ლენინაკანის მცხოვრებთ 20 მანეთს და იწვევს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის (მეტ) რაიონის ყველა კომუჯრედებს.

ქუთაისის, ოსეთის და ზეკარის გზატკეცილების ადგილკომი გზავნის ლენინაკანის დაზარალებულთა დასახმარებლად 21 მ. 80 კ. და იწვევს თავის მხრივ ამიერ-კავკასიის გზა-ტკეცილების ყველა გზა-ტკეცილების დისტანციების ადგილკომებს.

ქუთაისის გზა-ტკეცილების კვანძის დისტანციის ადგილკომი.

საკავშირო აღწერის წინ

(რა გაკეთდა 16 ნოემბრამდი)

სამაზრო რუქები

საკალენდარო გეგმის თანახმათ 28 ოქტომბრისათვის უნდა დასრულებულიყო მაზრების სქემატიური რუქების შედგენა. რუქების შედგენა უკვე დასრულდა. რუქებზე აღნიშნულია ყველა დასახლებული ადგილები, საზღვრები და დასახლებულ პუნქტების სია.

რუქები არ გადმოუგზავნია აფხაზეთს და აჭარისტანს.

ქალაქების გეგმები

რესპუბლიკის ქალაქებში უკვე დასრულდა გეგმების შემუშავება. გეგმა არ წარმოუდგენია მარტო ქალ. სამტრედიას.

სპეციალურ კომისიამ გადასინჯა და დაამტკიცა აგრეთვე დასახლებულ ადგილთა სიები.

სახლთმფლობელთა სიები

სახლმფლობელთა სიების შედგენა უკვე დასრულდა მთელ რესპუბლიკაში, გარდა ზოგიერთ მაზრებისა.

სამეულები

ყველა მაზრებში და ავტონომიურ ერთეულებში უკვე დასრულდა აღწერის ხელის შემწყობ სამეულების მოწყობა. სამეულები თავიანთ მოქმედების ანგარიშებს სისტემატიურათ უგზავნიან ც. ს. სამმართველოს.

სააღწერო პერსონალის აღრიცხვა

ადგილებზე დაიწყო აღწერის ჩამტარებელ პერსონალის წინასწარი აღრიცხვა.

ქალაქთა სიები

უკვე დასრულდა რესპუბლიკის ქალაქების სიის შედგენა. სახკომსაბჭოს დადგენილებით ქალაქთა სიას მიემატა ორი ქალაქი: გუდაუთი და ოჩემჩირე.

კონფერენციები

20 ნოემბრისათვის თბილისში მოწვეულია მაზრებში აღწერის ხელმძღვანელთა კონფერენცია. კონფერენციისათვის მასალები უკვე დაეგზავნათ ადგილებს.

სამხედრო უწყებაში

დაწყებულია წინასწარი სამზადისი სამხედრო უწყებაში აღწერის ჩასატარებლათ საქ. ს. ს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

მასწავლებლები და აღწერა

სახალხო განათლების კომისარიატმა ც. ს. სამმართველოსთან შეთანხმებით ყველა მაზრებს დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობანი იმ მასწავლებელთა დროებით განთავისუფლების შესახებ სამსახურიდან, რომლებიც აღწერაში მიიღებენ მონაწილეობას.

რა კეთდება მაზრებში

მაზრებიდან მიღებული ცნობებით სააღწერო წინასწარი მუშაობა ყველგან წარმატებით მიმდინარეობს. ყველგან დროზე და მიზანშეწონილათ ასრულებენ ცენტრის განკარგულებებს.

დაბრკოლებებს ადგილი აქვს მხოლოთ თემებში, სადაც აგვიანებენ სახლისმფლობელთა სიების შედგენას. ეს დაგვიანება გამოწვეულია ტეხნიკურ ძალების ნაკლებობით და ხშირათ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას ხელს უშლის აგრეთვე სათანადო თანხების უქონლობა.

ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები და ამ დღეებში სტატბიუროებს დაუგზავნეთ პირველხანებში საჭირო თანხები.

არა ნაკლებ დაბრკოლებათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მაზრებში და განსაკუთრებით თემებში აღწერის სამუშაოთათვის საჭირო შესაფერი შენობების უქონლობა.

ტელეფონიზაცია

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ყველა სამაზრო აღმასკომებს მიეცათ გაფრთხილება, რომ სოფელში ტელეფონის ხაზების გასაყვანათ თემაღმასკომებმა არ მიმართონ უშუალოდ კავშირგაბმულობის სამმართველოს. არამედ ამის შესახებ შეატყობინონ სამაზრო აღმასკომის საშუალებით შინ. საქ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილებას.

ამასთანავე სამაზრო აღმასკომებმა უნდა მოახდინონ გამოკვლევა თუ სად, ან რომელ თემში უფრო აუცილებელია ტელეფონის ხაზის გაყვანა.

აღნიშნული ღონისძიება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ თემაღმასკომები უშუალო მიმართვით მიზანს ვერ აღწევენ და იწვევენ ზედმეტ ხარჯებს.

ხორცი

საბჭოთა კავშირის შინა - ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ამიერ - კავკასიის ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის საჭირო კრედიტის რაოდენობა 1926-27 წლის პირველ კვარტალში განსაზღვრა 298.000 მანეთით.

ამიერ - კავკასიის საგეგმო კომისიამ ეს თანხა არ სცნო საკმარისად და შუამდგომლობა აღძრა, რომ იგი გადიდებული იქნეს 455.000 მანეთამდე.

ამასთანავე საგეგმო კომისიამ აღნიშნა, რომ კრედიტების მიწოდების შეჩერება გამოიწვევს არევ - დარევას ხორცის ბაზარზე, ამიტომ საგეგმო კომისიამ სთხოვა ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სასწრაფოდ გადადებული იქნეს ამიერ - კავკასიისათვის 628.000 მანეთი.

კატასტროფა სად. წიფასთან

კომისიის მუშაობა

გუშინ დილით თბილისში დაბრუნდა კომისია, რომელიც იკვლევს წიფაში მომხდარ კატასტროფის მიზეზებს. კომისიამ კატასტროფის ადგილზე დაჰყო ხუთი დღე.. იგი ადგილობრივ ხელმძღვანელობდა მუშაობას პირდაპირი მიმოსვლის აღსადგენად და პარალელურად აწარმოებდა კვლევა-ძიებას.

ხაშურში სწარმოებდა კატასტროფის მოწმეთა დაკითხვა. ზოგიერთ მათგანის დაკითხვა იმდენად საინტერესო იყო, რომ გრძელდებოდა 3—4 საათს და კომისიამ ფრიად მდიდარი მასალა შეკრიბა. სულ დაკითხულ იქნა 30 კაცი.

კომისიამ თბილისში ჩამოიტანა ორთქლმავალის ნაწილები, რომლებიც კატასტროფისთანავე მოხსნილ და დაბეჭდილ იქნენ. ამ ნაწილებს კომისია გამოცდის მთავარ სახელოსნოების საგამოცდო სადგურში და ამით გამოიკვლევს—მუშაობდენ ისინი თუ არა კატასტროფამდე.

კომისია ამჟამად განაგრძობს მუშაობას თბილისში. გუშინ მას ჰქონდა პირველი სხდომა, რომელიც გაგრძელდა დღის 3 საათიდან ღამის 12 საათამდე. სხდომაზე ვრცელი ინფორმაცია გაუკეთა კომისიას ამხ. ფ. კაზანცევმა თავის მუხრუჭების სისტემის შესახებ.

განზრახულია რკინის გზის საავადმყოფოში მოთავსებულ პირების დაკითხვა, რის შემდეგ დამუშავებულ იქნება მთელი შეკრებილი მასალა.

კატასტროფის მიზეზების გამოკვლევის საკითხი იმდენად სერიოზულ ხასიათს ღებულობს, რომ შესაძლებელია კომისიამ მხოლოდ დღეს დაამთავროს მუშაობა და გამოარკვიოს კატასტროფის მიზეზები.

სას.-სამ. პროდუქტები

ხილი

ხილის ბაზარზე მყიდველების სიმცირის გამო, თბილისის ვაჭრობის საბიო ამხ-გობამ გორის სამაზრო აღმასკომთან ერთად გადაწყვიტა შეიყიდოს გორის მაზრის მეხილეობის რაიონში ხილის წლევანდელი მოსავალი.

უკვე გამომუშავებულია დასამზადებელი ოპერაციის გეგმა, რომლის მიხედვით ამ სეზონში შეიყიდულ იქნება 50 ათასი ფუთი ხილი, უმთავრესად ვაშლი. ხილი სარეალიზაციოთ გაგზავნილი იქნება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. ნოემბრის პირველ რიცხვებში უკვე გაიგზავნა დამზადებული ხილის პირველი პარტია.

თხილი და ნიგოზი

გალის და კოდორის მაზრებში დამთავრდა თხილისა და ნიგოზის წლევანდელი მოსავლის დამზადება, რომელსაც აწარმოებდენ კოოპერატიული ორგანიზაციები და კერძო პირებიც. აფხაზეთის კოოპერატივთა კავშირმა დაამზადა —8 ათასი ფუთი თხილი, ხოლო კერძო ვაჭრებმა 30 ათასი ფუთი. აფხაზეთის კოოპერატ. კავშირმა დაამზადა აგრეთვე 2.500 ფუთი ხმელი აბრეშუმის პარკი, რომელიც სარეალიზაციოდ გაიგზავნა საზღვარგარეთ.

საექიმო გამოკვლევა

მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა ჩატარებულიყო მთელს ამიერ- კავკასიაში წარმოება - დაწესებულებაში მომუშავე ახალგაზრდობის საექიმო გამოკვლევა. ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის ცნობით, ჯერ - ჯერობით ეს გამოკვლევა ჩატარებულა სომხეთში, ა.-კ. რკინის გზებზე, ბაქოში და კასპიის ზღვაზე.

საქართველოში და აზერბეიჯანის ზოგიერთ მაზრებში ეს გამოკვლევა ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით, შეუმოწმებიათ 5017 ახალგაზრდა მუშაკი. მათ შორის 4758 ვაჟი და 259 ქალი. საექიმო შემოწმებით ჯანსაღათ აღმოჩენილა 2182 ახალგაზრდა, ე. ი. 43 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 2835 ახალგაზრდა კი დაავადებული ყოფილა ფილტვების სისუსტითა და სისხლის ნაკლულევანებით.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მიიღოს საექიმო ზომები დაავადებულ ახალგაზრდათა გასაჯანსაღებლად მათი დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში გაგზავნის სახით. გასულ წელში ზემოხსენებულ ახალგაზრდობიდან გაგზავნილა დასასვენებელ სახლებში 1623 კაცი, ამბულატორიული მკურნალობა მიუღია 890 ახალგაზრდას, ხოლო კურორტებზე გაგზავნილა 407 ახალგაზრდა. მომავალ წელში განზრახულია გადიდდეს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში გადასაგზავნ ახალგაზრდათა რიცხვი.

სას.-სამ. მანქანები

ა.-კ. სას.-სმეურნეო მანქანების სავაჭრო სააქციო საზოგადოებას მიმდინარე 1926-27 წელში განზრახული ჰქონდა უცხოეთიდან შემოეზიდა ამიერ-კავკასიაში 4.600.000 მანეთის მანქანები და იარაღები, ხოლო საბჭოთა რესპუბლიკებიდან — 1.000.000 მანეთის იარაღები.

მანქანების სავაჭრო საზოგადოებამ დაამუშავა მანქანების შემოზიდვის რეალური გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია საზღვარ-გარეთიდან 2.102.000 მანეთის მანქანებისა და იარაღების შემოზიდვა. საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოიზიდება 700.000 მანეთის სასოფლო - სამეურნეო იარაღები. უკანასკნელის შემცირება გამოწვეულია სასოფლო - სამეურნეო მანქანების სააქციო საზოგადოების საწარმოო გეგმის შემოკლებით, რადგან საბჭოთა კავშირში დამზადებული სხვადასხვა ტიპის იარაღები ხშირად შეუფერებელია ადგილობრივ პირობებისათვის. უკანასკნელის დამზადება იწარმოებს ადგილობრივ. შემოსაზიდ მანქანების დამზადების საბოლოო რაოდენობის გამოკვლევის შემდეგ, ა.-კ. სას.-სამეურნეო მანქანების სავაჭრო სააქციო საზოგადოება გაანაწილებს მანქანებს ა.-კ. რესპუბლიკებს შორის მათი მოთხოვნილების მიხედვით.

ელექტროფიკაცია

საგეგმო კომისიის მიერ ს. მ. ფ. ს. მოითხოვა ანგარიშების წარმოება წარსულ საბიუჯეტო 1926-27 წ. განმავლობაში ელექტროფიკაციაზე დახარჯულ თანხების შესახებ. ს. მ. ფ. ს. მიერ შემუშავებულია დაწვრილებითი ანგარიში, თუ სად რომელ ჰიდროსადგურზე რამდენი თანხაა დახარჯული წარსულ წლის განმავლობაში.

შედგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის აშენებისათვის წარსული საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახარჯულა: თბილისის აღმასკომის თანხებიდან 1.184.544 მან. 78 კაპ. სესხი ს. ს. რ. კავშირისაგან —2.588.125 მანეთი; ელექტრობანკიდან მიღებული კრედიტი 1.600.000 მან. ჩემოს თანხებიდან 77.800 მან. სულ ზაჰესის აშენებისათვის წლის განმავლობაში დახარჯულა 5.450.465 მან. 78 კაპ.

აჭარის ჰიდროელსადგურზე სახელმწიფოს ბიუჯეტით დახარჯულა 300.000 მ. ადგილობრივი თანხებიდან 110.000 მან. ბანკის კრედიტი — 203.000 მან. სულ 613.000 მან.

აბაშის ჰიდროელსადგურზე წლის განმავლობაში დახარჯულა 315.000 მან.

ახალი არტელები

ს. მ. ფ. ს. სარეგისტრაციო კომისიის მიერ აღრიცხულია და დამტკიცებულია შემდეგი ახალი არტელები.

აღმშენებელთა არტელი „მარდი“ ქალაქ ხაშურში. თბილისის სატრიკოტაჟო მუშათა არტელი „ტიფტრიკოტაჟი“ გარდაქმნილია და ეწოდა „რეკორდ“.

თამბაქოს ტრესტის პროდუქციის რეალიზაციის შრომის არტელი სახელშეცვლილია და ეწოდა თამბტრესტის მუშაკთა შრომის არტელი „გლარჯი“.

შუშეულობის წარმოება

ს. მ. ფ. საბჭოში მიღებულ ცნობებით საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ გადადებულია 5 ათასი მანეთი საქართველოში შუშეულობის წარმოების დასაწყებათ.

შუშეულობის ქარხნის გახსნა განზრახულია მლაშეში, სად. ხარაგოულსა და ძირულას შორის. საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში ეს ქარხანა იქნება პირველი ქარხანა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბორჯომის ქარხანას, სადაც ამზადებენ მხოლოდ ბორჯომის ბოთლებს.

გადადებული თანხით გადაწყვეტილია ჩატარდეს მლაშეში არსებულ ნედლი მასალის ანალიზები და შუშეულობის საცდელი ჩამოსხმა.

აღნიშნულ ქარხანას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი მეღვინეობისათვის. ყოველწლიურად მარტო საქართველოსათვის საჭიროა 30 მილიონი საღვინე ბოთლი, ხოლო ამიერ-კავკასიისათვის 45 მილიონი.

ქარხნის პროექტის შედგენა მინდობილი აქვს „პრომსილიკატს“.

ავსტრიელი ინჟინრის ჩამოსვლა

გუშინ ვენიდან თბილისში ჩამოვიდა, ვენის ავეჯეულობის ქარხნებში მომუშავე - სპეციალისტი ინჟ. როლანდ ფელზენი.

ინჟ. ფელზენი მოწვეულია ავსტრიიდან საქ. სატყეო ტრესტის მიერ მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხანაში მუშაობის ხელმძღვანელათ. მასვე მინდობილი ექნება უხელმძღვანელოს ქარხნის მუშების გამოცდებს და მომზადებას.

როგორც ვიცით, ქარხანაში პირველ ხანებში იმუშავებს 300 მუშა. აქედან ამორჩეულ იქნებიან უფრო მომზადებულნი და იწარმოებს მათი დახელოვნება ავეჯეულობის დამზადების საქმეში.

ინჟ. ფელზენი ამ დღეებში გაემგზავრება მარელისში.

საქონლის გატანა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ცნობით ოქტომბერში საზღვარგარეთ (აღმოსავლეთსა და დასავლეთ ევროპაში) გატანილი იქნა 148,390 ტონა საქონელი 9,499,000 მანეთად ღირებული. დასავლეთის ქვეყნებში გატანილია 140,718 ტონა საქონელი, 5982 ათასი მანეთის, ხოლო სპარსეთსა და ოსმალეთში გატანილია 7,649 ტონა, 3517 ათასი მანეთის; სპარსეთში—5565 ტონა, 3106 ათასი მანეთის და ოსმალეთში—2114 ტონა, 410 ათასი მანეთის. დასავლეთში უმთავრესად გადატანილია ხე-ტყის მასალა, ძირ-ტკბილა, ჯავარი, პარკი, ფროზონი, ნავთის პროდუქტები, შავი ქვა, ხალიჩები.

აღმოსავლეთში კი შაქარი, რკინა, ნავთის პროდუქტები, ფართლეულობა და ასხვა.

საბინაო მშენებლობა

ახალი სახლები

ამ.-კავკასიის საგეგმო კომისიამ აუცილებლად აღიარა, რათა მომავალში აგებული იქნეს მხოლოდ ცეცხლგამძლე შენობები. ამ მიზნით სახელმწიფო თანხებიდან გადაიდო 35.000 მანეთი, გრძელვადიან სესხის სახით კი გაიცემა 300,000 მან. ცეცხლის გამძლე სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით პირველ რიგში ყურადღება მიექცევა ცეცხლის გამძლე აგურების დამამზადებელ ქარხნების მოწყობის საქმეს. განსაკუთრებით საქართველოში ამ მიზნით გაფართოებული იქნება ცეცხლის გამძლე აგურის წარმოება შროშაში (გორის მაზრა), სადაც საუკეთესო პირობებია ასეთი ქარხნის მოსაწყობათ.

მიწისძვრის გამძლე შენობები

ა.-კავკასიის საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო ა.-კავკასიაში მიწისძვრის გამძლე შენობების აგება ისეთ რაიონებში, რომლებსაც სხვა რაიონებთან შედარებით მეტი საშიშროება მოელით მიწისძვრისაგან. საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა საცდი შენობები პირველ რიგში ააგოს ლენინაკანში, რისთვისაც განსაკუთრებულ თანხებიდან უკვე გადადებულია 100 ათასი მანეთი დამატებით. მიწისძვრის გამძლე შენობების აგება ევროპაში მერყევ ნიადაგის მქონე ადგილებზე დიდიხანია სწარმოებს, რითაც საგრძნობლად შემცირებულია როგორც ადამიანის მსხვერპლი, ისე ნივთიერი ზარალი.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

საბინაო კრიზისი თბილისში დაიწყო ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომამდე ომის დროს კი ბინის სივიწროვემ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ბინის საკითხი თბილისში დღესაც გადაუჭრელია, კრიზისი ყოველ დღე მწვავდება, რადგან საბინაო მშენებლობა ვერ უთანასწორდება ქალაქის მცხოვრებთა ბუნებრივ და მექანიკურ ზრდას.

თბილისის მცხოვრებთა რიცხვი, მაგალითად, 1923 და 24 წლებში გაიზარდა 29.965 სულით, ე. ი. 6,2 პროც-ით, მაშინ როდესაც საბინაო მშენებლობა სრულიად მოდუნებული იყო.

საბინაო კრიზის ადგილი აქვს არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქებში.

საბინაო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს საბინაო-საამშენებლო კოოპერაცია ახალი სახლების აგების გზით. ამ ჟამად თბილისში არსებობს ოცამდე კოოპერატიული ამხანაგობა. დღემდე თბილისში აშენებულია 66 ბინა, პროვინციაში კი—9.

მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე მთელს რესპუბლიკაში მუშათა საბინაო მშენებლობაზე შეგროვილია 1.050. 833 მანეთი.

საბინაო-საამშენებლო კოოპერაციის მიერ აგებული ბინები ყველაფრით შეესაბამება სანიტარიის და ჰიგიენის მოთხოვნილებებს. ბინები მორთულია სამზარეულოთი, ფეხის ადგილით, წყალსადენით და კანალიზაციით.

ამნაირად აგებული ოროთახიანი ბინა დაახლოვებით ჯდება ჩვენს სინამდვილეში 5000—6000 მანეთი, ხოლო სამოთახიანი ბინა 7—8 ათასი მანეთი. მუშა-მოსამსახურეებს სესხი ბინების ასაგებად ეძლევათ 50 წლის ვადით; მაშასადამე მუშას ბინის ასაგებად აღებული სესხის დასაფარავად წლიურად მოუხდება 108-160 მანეთის შეტანა, ანუ თვეში 9 მანეთიდან 13 მან. 50 კაპეიკამდე.

ამას გარდა, ბინას აქვს სხვა ხარჯებიც (ნაგვის გადაყრა, განათება, შეშზოვე და სხვა), საერთოდ ბინის ხარჯი მუშისათვის თვეურად 19—25 მანეთში გამოიხატება, რაც საკმაოდ საშიშმია მუშის ბიუჯეტისათვის. ამიტომ მიღებულია ზომები მუშათა ბინების მშენებლობის მაქსიმალურად გასაიაფებლად.

მუშათა ცხოვრება

შრომის მძიმე პირობებში ვიმყოფებით

ბათომის პირველი უბნის რკინისგზის მტვირთველ მუშებისათვის არ არის დაცული არც ერთ სადგურში 8 საათის სამუშაო დღე; 2) ჯამაგირები კოლექტიური ხელშეკრულების ძალით უნდა რიგდებოდეს თვის 5-ში და 20-ში, ნამდვილად კი რიგდება 15 და 20 დღით დაგვიანებით; 3) შვებულებაში გაშვებული მუშის ადგილზე მაგიერს არ ღებულობენ და მათი სამუშაოები აწვება დარჩენილ მუშებს; 4) დაზღვევის სალაროში „ზაკპოგრუზს“ არ შეაქვს თავის დროზე პროცენტები; ამის გამო „[illegible]“ გამგეები გულგრილად ეკიდებიან საექიმო დახმარებაზე; 5) არაა დაცული შრომის ჰიგიენა სამუშაო საწყობების მახლობლად, რაც ცუდ გავლენას ახდენს მუშათა ჯანმრთელობაზე; 6) სამუშაო ადგილებზე უნდა იყოს გადადუღებული წყალი სასმელად, მაგრამ ამას ვინ სჩივის, როცა გადაუდუღარიც არ არის და მუშები სხვის ეზოში დადიან წყლის დასალევად; 7) მუშაობის გათავების შემდეგ მუშებს უნდა ქონდეთ ხელის საბანი საპნით და ტილოებით, მაგრამ ჩვენ არც ეს გვაქვს; 8) უნდა იყოს შკაფები, სადაც უნდა ინახებოდეს მუშების სპეცტანსაცმელები და აგრეთვე სახლში წასასვლელი ტანისამოსები; არც ეს არის; 9) ძველად საქონლით დატვირთულ რონოდების მცველებს ქონდათ სადარაჯო (ბუდკა), სადაც წვიმების დროს ქონდათ საშუალება მორიგეობით შეფარებოდენ, დღეს კი ესეც არა გვაქვს.

საჭიროა ჩვენ აუტანელ მდგომარეობას მიექცეს ყურადღება და იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

მტვირთველი მუშა.

მოგვაქციეთ ყურადღება

ქართულ მუშათა ფაკულტეტს აქვს 2 საცხოვრებელი, რომელიც მდებარეობს სამასალო ქუჩაზე. ეს შენობა უწინ საწყობად იყო და ეხლა იქ მუშფაკელები ვცხოვრობთ.. ეს შენობა ინგრევა. მას კედლები დაზიანებული აქვს. მოსალოდნელია ახლო მომავალში დაინგრეს კიდეც და მშენელები ქვეშ მოიყოლიოს. ამ მხრივ დიდი ხიფათი მოგველის.

ამას გარდა თითო ოთახში ვცხოვრობთ 20—25 კაცი, რაც ჰიგიენური მოსაზრებით დაუშვებელია. ამ საცხოვრებელში დღეში 5—6 კაცი ხდება ავად. თითოეულ მშენელზე ყოველწლიურად იხარჯება 300 მან.

ეს ხარჯები ფუჭად ჩაივლის, თუ კი რამე საშუალება არ მოგვეცა განათლების კომისარიატმა სათანადო საცხოვრებელი ბინის მოცემით.

დანგრეულ შენობაში შეუძლებელია ცხოვრება.

მუშფაკელი—ბ. აბულაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

ოქტომბრის რევოლუციის 9 წლის თავზე 7 ნოემბერს სახელ. უნივერსიტ. რედკოლეგიამ გამოუშვა სპეციალური კედლის გაზეთი „ხმა“-ს სახელწოდებით, რაც მანამდის არ იყო.

— აქ არსდება მოჭადრაკეთა წრე. უკვე მოხდა კურსკომების არჩევნები. პროფკომების გადარჩევა დაიწყება ამ დღეებში. ღარიბ სტუდენტებს ეძლევათ უფასო სადილი.

მუშკორი — გოგუბაშვილი.

ერთი თანამშრომელი უნდა მოგვიმატოთ

თბილისის სახელ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკ. ფაკულტეტთან არსებობს მასალათა გამოცდის და მიღების ლაბორატორია, რომელიც ემსახურება მთელ ამიერ - კავკასიას, აღნიშნული ლაბორატორიის გამგედ ითვლება ინჟინერი ა. ჩიქოვანი, რომელიც მასთან ერთად კითხულობს ლექციებს პოლიტეხ. ფაკულტეტზე. მას იცნობენ ჩვენი მუშა - მოსამსახურეები, როგორც „ზაჰესის“ ტეხნიკური განყოფილების გამგის თანაშემწეს. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ ლაბორატორიის მოწყობაში. ლაბორატორიაში მუშაობა მნახველებზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. სტუდენტებისათვის სავალდებულოა ამ საგნის ჩაბარება. აქ მხოლოდ ერთი თანამშრომელი, მცდელი, (ლაბორანტი) მუშაობს; იგი ვერ აუდის ამდენ სტუდენტებს.

კარგი იქნებოდა, რომ ერთი მცდელით გაედიდებინათ შტატი. იმედია, მიაქცევენ ყურადღებას ამას და გაადიდებენ შტატს ერთი კაცით. ეს დიდ ხარჯს არ გამოიწვევს.

მუშკორი — გოგუბაშვილი.

კულტმუშაკთა კონფერენცია

8 ნოემბერს მუშათა ცენტრალურ კლუბში საქართველოს პროფკავშირთა კულტგანყოფილების თაოსნობით შესდგა თბილისის ყველა კლუბების სამხატვრო წრეების ხელმძღვანელთა კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო 80-ზე მეტი კულტმუშაკი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება „ცოცხალი გაზეთის“ წრეების მომავალი მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება დრამატიულ წრეების მუშაობის შესახებ, 3) მოხსენება მუსიკალური წრეების და მომღერალთა გუნდების მუშაობის შესახებ. 4) მოხსენება ყველა სამხატვრო წრების მუშაობის შესახებ.

„ცოცხალი გაზეთის“ წრეების მომავალ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ე. კუწძერმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო მუშ. კლუბებში არსებულ „ცოცხალი გაზეთის“ წრეების მომავალ მუშაობას. მან აღნიშნა, რომ მუშათა კლუბებში „ცოცხალი გაზეთის“ წრეების დაარსება აუცილებლობას წარმოადგენს ამჟამად, რადგანაც იგი გვაძლევს „ცოცხალ ცხოვრების“ სინამდვილეს და ეწევა აგიტაციას საჭირბოროტო საკითხების მოგვარების საქმეში. „ცოცხალი გაზეთი“ დაარსდა 1921 წლიდან, მაგრამ მან ვერ მოგვცა ნამდვილი სახე. იგი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს სავსებით მასის კულტურულ მოთხოვნილებას და სხვ. ზოგიერთი „ცოცხალი გაზეთის“ წრეების მუშაობა მკვდარია. ისინი ეკიდებიან წვრილმან საკითხებს. „ცოცხალი გაზეთის“ წრემ უნდა აღნიშნოს ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულების მუშაობის ნაკლები, შეეხოს საკლუბო მუშაობის საკითხებს და სხ.

დრამატიულ წრეების მომავალ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. შენტოვმა. მომხსენებელმა აღნიშნა დრამწრეების მუშაობის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეები. იგი შეეხო აგრეთვე დრამწრეების მუშაობის წვრილმან მხარეებს, დახასიათა პიესების დარგების ფორმები და მასის მოთხოვნილება შინაარსის მხრივ.

მომხსენებლებს მისცეს მრავალი შეკითხვები მოხსენებამ დიდი ინტერესი და კამათი გამოიწვია. კამათში მონაწილეობა მიიღო 29 კულტმუშაკმა.

კამათში მონაწილე ამხანაგები ნაწილობრივ არ ეთანხმება მომხსენებლების მიერ წამოყენებულ გეგმებს წრეების მომავალი მუშაობის შესახებ.

„ცოცხალი გაზეთის“ მუშაობა ახალი მოვლენაა და არც გვაქვს სამისო მასალები, რომ მის უარგისობა- უვარგისობაზე ვიმსჯელოთ.

მოკამათეებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ მოხსენებები გაითქვიფა ერთმანეთში და ამით კონფერენციამაც ვერაფერი გაიგო.

კამათი გაგრძელდა მეორე დღესაც.

9 ნოემბერს მუსიკალური წრეებისა და მომღერალთა გუნდების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ნაზარიანი. მომხსენებელმა გასაგები ენით განმარტა მუსიკალური წრეების და მომღერალთა გუნდების ნაკლი და მოუწოდა წრეების ხელმძღვანელთა მის გამოსწორებისაკენ. ამხ. ნაზარიანის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო 5 კაცმა.

10 ნოემბერს ყველა სამხატვრო წრეების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების გამგე ამხ. მ. მხეტაროვმა. ამხ. მხეტაროვი შეეხო დრამწრეების მიერ წარმოებულ თეატრულ მუშაობის მუშურად გადასვლას და „ცოცხალ გაზეთის“ წრეების მუშაობის გაძლიერებას.

მოხსენების ირგვლივ მოკამათეთა ერთი ნაწილი უარყოფს ზოგიერთ შეხედულებებს და დაკვირვებით წესით საკლუბო მუშაობაზე გადასვლას.

საერთოდ კი ყველა მოხსენებების თეზისები 70 პროც. მაინც გაუგებრობად მიაჩნია კონფერენციას. მომხსენებელთა პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად, რეზოლიუციის გამოსატანად და მოხსენების შესაფასებლად კონფერენციამ გამოჰყო კომისია 7 კაცის შემადგენლობით.

მუშკორი რადიუმი.

ჩვენი შემფასკომის მუშაობიდან

რკინისგზის საავადმყოფოში მრავალი კომისიები არსებობს, როგორიცაა მაგ. შრომის დაცვის, მომჭირნეობის, საწარმოო კომისია და სხ. ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის არსებობას, თუ კი მისი მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

1925 წლის ნოემბრის თვიდან 6 თვის განმავლობაში შემფასკომი შემდეგ მუშაობას აწარმოებდა: საანგარიშო ხნის განმავლობაში კომისიას ქონდა 10 სხდომა, სადაც გაირჩა 39 საკითხი.

გარჩეულ საკითხებიდან თანრიგის მომატებას ეხებოდა 9 საკითხი, შვებულებას 8 საკითხი, ხოლო 12 სხვადასხვა საკითხი. აღნიშნული საკითხების მთელი 90 პროცენტი დამთავრდა მუშათა სასარგებლოდ. შრომის ნაყოფიერების ზრდის და წარმოების აწევის მიზნით კომისია, როგორც მუშათა მხარის, ისე ადმინისტრაციის პრეტენზიებს მიუდგომლად იცავს. საერთოთ ჩვენი შემფასკომის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

მუშკორი მებრძოლი.

აქციები

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა საკითხი ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკის აქციების განაწილების შესახებ ცალკე რესპუბლიკების სასოფლო - სამეურნეო ბანკებს შორის.

საგეგმო კომისიამ მიზანშეწონილად სცნო ეს აქციები განაწილებული იქნეს იმ ეკონომიური კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც გამოანგარიშებული სოფლის მეურნეობის ცალკე დარგების საჭიროებათა საფუძველზე.

ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის 1926-27 წლის საფინანსო - საოპერაციო გეგმის მიხედვით, ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობისათვის გადადებული თანხები განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს მიეცემა 41 პროც., აზერბეიჯანს—39 პროც. და სომხეთს—20 პროც.

რკინისგზეზე

სამგზავრო ფასის გადიდება

15 ნოემბრიდან სამგზავრო ბილეთების ფასი ყველა მატარებლებზე, გარდა საგარეუბნო მატარებლებისა (მანძილი უდრის—70 ვერსს) გამოანგარიშებული იქნება ახალი ცხრილის მიხედვით.

სამგზავრო ფასი გამოანგარიშებული იქნება ა. წ. 1 თებერვლამდე არსებულ ტარიფით, ხოლო მას მიემატება პროცენტების მანძილის (კილომეტრების) მიხედვით შემდეგ ნაირად:

ერთიდან—160 კილომეტრამდე—40 პროცენტი, 161-დან—180 კილომეტრამდე—50 პროც., 181-დან—300 კილომეტრამდე—40 პროც., 301-დან—400 კილომეტრამდე—40 პროც., 401-დან—3009 კილომეტრამდე—30 პროც. და 3010 კილომეტრზე მეტ მანძილის გავლისათვის—30 პროცენტი.

ამ გვარად ბილეთების ფასის გადიდებისას დანარიცხები: წითელ ჯვარის სასარგებლოთ, პლაცკარტის ფასი და სხვა რჩება ძველებური.

თათბირი

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, ინჟ. შახბუდაგოვის თავმჯდომარეობით შესდგება, ა.-კ. რკ. გზების სამმართველოს მიერ შექმნილ კომისიის თათბირი, გულენკოს შპალების გამძლეობის გამოსაკვლევად.

კომისიაში მიიღებენ მონაწილეობას გზათა მიმოსვლის კომისრის ა.-კ. რწმუნებულის სამმართველოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლები და სპეციალისტები: პროფ. ქურდიანი, ვინოგრადოვ-ნიკიტინი და ქიმიკოსი—ზავრიევი.

10.000 მანეთი

ა.-კ. რკ. გზ: გამგეობამ, 19126-27 წლისათვის გადასდო 10.000 მანეთი რკინის გზის ხაზების ნაპირებზე მცენარეების დასარგველად, რათა გამაგრებულ იქნეს ხაზის ნაპირები.

კომპენსაცია

ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ გადასდო 9.000 მან., 1925-26 წელში დაურიგებელ სპეცტანსაცმლის მაგიერ მუშების კომპენსაციით დასაკმაყოფილებლად.

ბაიანდურის აღდგენა

ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ გადასწყვიტა აღადგინოს მიწისძვრისაგან დანგრეული სადგ. ბაიანდური.

რკ.-გზის ხიდები

სადგურ ქსანთან ამჟამად აგებენ ახალ რკინის გზის ხიდს. ხიდის ასაგები სამუშაოები უკვე მთავრდება. ხიდი აგებულ იქნება ძირულის ხიდის მსგავსად დატოვებულ საფუძვლებზე და სიგრძე ექნება 30 საჟენი.

დაწყებულია აგრეთვე ახალი ხიდის აგება მდ. კაცხურის-ხევზე. ხიდს ექნება 35 საჟენი სიგრძე და აგებული იქნება ძირულის ხიდის მსგავსად.

ოზურგეთის ხიდი

ოზურგეთის გზაზე, მდ. კაცხურის-ხევზე შენდება რკინის გზის ხიდი, ქსანის ხიდის მსგავსად მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველის თაღები გაკეთებულ იქნებიან ქვისგან და არა ბეტონისაგან.

ა.-კ. რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა. მომავალში ააგოს ხოლმე ხიდები ქვისა და ბეტონის თაღებით.

შავი ზღვის რკინისგზა

რკინის გზის სადგური მოეწყობა ქ. ზუგდიდის ახლო

შავი ზღვის რკინის გზის ხაზი დაცილებულია ქალ. ზუგდიდიდან 5 ვერსის მანძილზე. ეს გარემოება კი აფერხებდა ქალაქის კავშირს რკინის გზასთან. ამის გამო, ზუგდიდის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა გზათა სახალხო კომისარიატის წინაშე რათა დაახლოვებული ყოფილიყო რკინის გზის ხაზი ზუგდიდთან 2 ნახ. ვერსით. უკანასკნელად მიღებული ცნობით, საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა ზუგდიდის აღმასკომის შუამდგომლობა შავი ზღვის რკინის გზის ხაზის ქალაქთან დაახლოვების შესახებ.

ახლო მომავალში იწარმოებს მუშაობა ხაზის დასაახლოვებლად ქალ. ზუგდიდთან 2 ნახ. ვერსით.

ქრონიკა

ა.-კ. პროფსაბჭოში

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მოლარედ დაინიშნა ა/კ. პროფსაბჭოს პლენუმის წევრი ამხ. პოდოლსკი.

ამხ. იზმაილოვის მაგიერად, რომელიც გავიდა პრეზიდიუმის წევრთა კანდიდატების სიიდან, ა/კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატათ დამტკიცებულია ამხ. რაგიმოვი.

ა/კ. პროფსაბჭოს წარმომადგენლად ა.-კ. საგეგმო კომისიის სატრანსპორტო-საამშენებლო სექციაში დანიშნული იქნა საქართველოს საამშენებლო დარგის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე ამხ. ალლაძე.

ავიაქიმის კონფერენციები

საქ. ავიაქიმის საბჭო ახლო ხანში იწყებს სამაზრო და საქალაქო კონფერენციების ჩატარების კამპანიას. 18 ნოემბრიდან დაიწყება ყველა მაზრებში კონფერენციების მოწვევა. ამ დღისათვის ქ. ქუთაისში გაიმართება ქუთაისის საქალაქო კონფერენცია. 19 ნოემბერს გაიმართება ბათომის ავიაქიმის კონფერენცია.

გარდა ამისა, ქალ. თბილისში ჩატარებულ იქნება რამოდენიმე სარაიონო კონფერენცია. რაიონული კონფერენციები თბილისში გაგრძელდება 18-დან 23 ნოემბრამდე; 23-ში დანიშნულია თბილისის ავიაქიმის კონფერენცია.

სნეულებანი

გემო-კვების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა სია იმ სნეულებათა, რომლებიც დაავადებულნი არ შეიძლება დაშვებული იქნენ სამუშაოდ ან და დროებით მოხსნილი უნდა იქნენ სამუშაოდან გემო-კვების წარმოებებში.

სიაში ჩამოთვლილია შემდეგი სნეულებანი: თეთრა, ტუბერკულოზი, სიფილისი, ჩირქიანი სურდო, ჩირქიანი ბრონხიტი, სუსუნატი, რბილი შანკირი, კანის სხვადასხვა სნეულებანი და სხვა.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ მარგანეცი. ფოთში მოვიდა ორი საზღვარგარეთელი გემი შავიქვის გასაზიდავად, სწარმოებს მადნის გაცხოველებული დატვირთვა.

სააქციო საზ.-ბა „საქართველოს მარგანეცი“ მოითხოვს სამიმოსვლო მატარებლების რიცხვის გადიდებას.

◆ ხალიჩები. ინგლისურმა ფირმამ „ქუვიამ“ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოსაგან შეიძინა 11.000 ცალი კავკასიური ხალიჩა.

◆ კაკალი. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო მარსელში გზავნის 10 ტონა კაკალს.

◆ საზ-ბა „რუსავტორგთან“ ერთად სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ დაამზადა დიდძალი თევზის წება.

◆ აბრეშუმის პარკი. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ იტალიაში გაგზავნა 12 ათასი ფუთი ხმელი პარკი.

განათლების კომისარიატში

◆ მუშფაკებში საბავშვო სახლებიდან განათლების კომისარიატმა გადაიყვანა 10 მოზრდილი ბავშვი.

◆ სიღნაღის საბავშვო სახლის დახურვის გამო კოჯორის საბავშვო სახლებში გადმოყვანილი იქნა 15 ბავშვი.

მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატში

◆ ტაბახმელის საშრატე სადგურმა გასულ თვეში დაამზადა 1266 ლიტრი შრატი. ამ თვეში დაამზადებს 3000 ლიტრამდე.

◆ ღორის ჭირის წინააღმდეგ. კომისარიატმა გააფართოვა ოსიაურის საშრატე სადგური, სადაც მზადდება ღორის ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

◆ ვაზი. სენაკის აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა კომისარიატის წინაშე ვაზიაის სახ. შამულიდან 40 ათასი ძირი დამყნილ ცოცხ კაურის დათმობის შესახებ.

დამზღვევ სალაროში

◆ დახმარება. დაზღვეულ ავადმყოფებს გასულ თვეში დამზღვევმა სალარომ გაცდენილ დღეების ასანაზღაურებლად მისცა 80,382 მან.

◆ სამარხი ფული. გარდაცვლილ წევრების ოჯახებს სალარომ გასულ თვეში მისცა 4732 მან.

◆ დახმარება უმუშევრებს. სალარომ ოქტომბერში უმუშევრებზე დახმარების სახით გასცა 24877 მანეთი.

სხვადასხვა

◆ სოცდაზღვევის სამმართველოს ცნობით სოცდაზღვევის კამპანია მთელ საქართველოში დაიწყება თებერვლის პირველ რიცხვებში.

ახალი წიგნები

◆ ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო პროფ. გიორგი ჩუბინაშვილის წიგნი „რამოდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“. წიგნი გამოცემულია ხელისმომწერთათვის.

◆ „ჩვენი მეგობარი“. რედაქციამ მიიღო აჭარისტანის პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ წერა - კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებისათვის გამოცემული სახელმძღვანელო „ჩვენი მეგობარი“.

◆ „საქ. სახალხო მეურნეობა“. რედაქციამ მიიღო საგეგმო კომისიის მიერ გამოცემული „საქართველოს სახალხო მეურნეობა“ № 9. (კონიუნქტურული მიმოხილვა).

◆ „საქართველოს ეკონომისტი“ გამოვიდა და იყიდება ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ № 2.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულ ბიბლიოგრაფიაში ტრისტანისა და იზოლდის შესახებ შეიპარა შემდეგი კორექტურული შეცდომები.

სწერია: „ტრისტონისა და იზოლტასი“: უნდა იყოს: „ტრისტანისა და იზოლდასი“; სწერია: „გულგრილადაა“ (1 სვეტში), უნდა იყოს: „ვულგარულადაა“; სწერია: „მიზანს“ (2 სვეტში), უნდა იყოს: „მიხანს“; სწერია: Bloude“ უნდა იყოს: „Blond“; სწერია: „houte“, უნდა იყოს: „honte“.

შემთხვევები

თავდამსხმელთა დაპატიმრება

საგარეჯოს მილიციამ შეიპყრო ვარლამ ჩხველაიშვილი, თედო ხატიაშვილ, გაბო ნაცვლიშვილი და დიანოზ ხომასურიძე, რომლებსაც ბრალდებათ 22 ოქტომბერს მოქ. პარტაგაზე თავდასხმა გაძარცვის მიზნით.

თავდასხმა

თიანეთის ფერდებში მშრალ-ხევის ზევით ბაღებთან ქ. თბილისიდან მიმავალ მიხეილ ხელაძეს თავს დაესხა ორი უცნობი შეიარაღებული ბოროტმოქმედი და სიკვდილის მუქარის ქვეშ წაართვეს სხვადასხვა ნივთები და 80 მ. ფულად.

შეპყრობა

◆ წალკის თემ-მილიციამ დააპატიმრა კირიად ვოგჩიევი, მარკ თოსუნოვი და პანტელეი ჩანჩიევი, რომლებმაც 31 ოქტომბერს გაქურდეს წალკაში არონ ინსენ-ოღლის სავაჭრო.

რონოდის გადავარდნა

16 ნოემბერს, ღამის 2 საათზე ავჭალაში თბილისის მხრიდან შესავალ ისრებზე ლიანდაგიდან გადავარდა მატ. № 22-ს ბოლო რონოდა. მოძრაობა შეწყვეტილი იქნა. თბილისიდან გაგზავნილ იქნა დამხმარე მატარებელი. რონოდა ამოიღეს დილის 7 საათზე და 70 წუთზე. მოძრაობა აღდგენილია.

ქალის მოტაცება

◆ქუთაისის მაზრის სოფ. კვალიშორის მცხოვრებმა ა. ვარდანიძემ თავის ძმების და მეგობრების დახმარებით მოიტაცა ნინო რაჟამაძე 16 წლის და გააუპატიურა ის. დაპატიმრებული არიან მოტაცების ყველა მონაწილენი.

ხანძარი

გუშინ, საღამოს, მალაკნის ქუჩაზე მდებარე სახლ № 50-ს, გაუჩნდა ცეცხლი. გამოირკვა, რომ სახლის მესამე სართულის საერთო დერეფანში იდგა უვარგისი ქაღალდით სავსე კალათი, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა პაპიროსის ნამწვისაგან. აქედან ცეცხლი მოედო მესამე სართულის ორ ოთახს. ცეცხლი 15 წუთის განმავლობაში ჩააქრო ცეცხლის მქრობელთა რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

გუშინ, საღამოს, ცეცხლი გაუჩნდა აგრეთვე კოოპერატიული ამხანაგობის სახლს (ბაქოს ქ. № 2). სახლის ჭერებზე შეწყობილი იყო თივა. ერთ-ერთმა მდგმურმა შეამჩნია, რომ თივა იწოდა. სასწრაფოთ აცნობეს ცეცხლისმქრობელთა რაზმს, მაგრამ რაზმის მოსვლამდი დაიწვა ნაწილობრივათ ზედა სახურავი. ხანძარი ჩააქრო ცეცხლისმქრობელთა რაზმმა. ზარალი დიდია.

დაიწვა კინო

14 ნოემბერს დუშეთის კინო-თეატრში გაჩნდა ცეცხლი. დაიწვა კინო-აპარატი და სურათი „არსენა ყაჩაღი“. ზარალი 5.000 მანეთს უდრის.

◆ გამოტყუება. თავისუფლების მოედანზე ერზაკ არუთინოვს ვილაცა ბოროტმოქმედმა გამოსტყუა ერთი ტომარა პაპიროსები 75 მანეთის და მიიმალა.

◆ შეპყრობა. 14 ნოემბერს ქურდობისათვის შეიპყრეს სურენა კაზარიანი.

◆ კედლის გამონგრევის საშუალებით მალაკნის ქ. № 50 გაქურდეს გიორგი ხარიტონაშვილის ღვინის სარდაფი. ეჭვით შეიპყრეს სურენ ყაზაროვი.

◆ თავდასხმა. 14 ნოემბერს ღამის 10 ს. კომუნალური ქ. შესახვევში უცნობი ბოროტმოქმედი თავს დაესხა ჯაფარ კასიმ-ოღლის და გაძარცვა.

◆ მე-80 შრომის სკოლის საწყობიდან (საბჭოს ქ. № 100) მოიპარეს სახაზინო ნივთები. ქურდი იოსებ თვაური დაპატიმრებულია.

◆ საზ-ბა „მკერავის“ მაღაზიის ვიტრინიდან 15 ნოემბერს მინის გამომტვრევის საშუალებით მოიპარეს ორი პალტო.

◆ მოზიარე. გრიგოლ კეჩხუაშვილის მაღაზიაში დახლიდან მოიპარეს 150 მან. ქურდი ასტვაცატურ ერემიმოვი შეიპყრეს.

◆ ყოფ. სამხედრო ტაძრის ეზოში ფოტოგრაფ მამიკონს მოპარეს პალტო.

◆ ქურდი ქალი. კირკის ქ. № 23 ლიუბა ცანავას მასთან მცხოვრებმა კილაძისამ მოპარა ტანისამოსი.

◆ ქურდობა. 15 ნოემ. სიმონოვის ქ. № 4 გაქურდეს გიორგი ჯაფარაშვილის სარდაფი.

◆ თაფლის მოყვარული. სოფ. ზარმაქსიზში აბრამ კარსიევს ისიდორე აიდანოვმა მოპარა 10 გირ. თაფლი. ქურდი შეიპყრეს.

◆ ლენინის ქ. № 33 ელენე იმერლიშვილს ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

◆ დაუკეტავ ბინიდან (ბარდახის ქ.) მიხეილ ბასიაშვილს მოპარეს სხვადასხვა ნივთები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით წითელი გორის ქ. № 26 შურა აბოვიანცის ბინიდან მოიპარეს 160 მ. ნივთები.

◆ ავტომობილის ქვეშ. სწრაფი დახმარების ბის ამბულატორიაში გუშინ მოიყვანეს 13 წლის ახალგაზრდა კონსტანტინე პუტერი, რომელსაც ავტომობილი დასჯახებია და მოუტეხია ფეხი.

◆ დაშავება. ქუჩაში ფეხის აცდენით წაქცეულმა მოწაფემ გუსტავ მხტისლავსკიმ გაიტეხა გვერდის ნეკნები და მიიღო სახის დაშავება. დაზარალებულს აღმოუჩინეს სასწრაფო დახმარება.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

საღამო ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

მისი სიკვდილის 2 წლის თავზე ის კიდევ ცოცხალია ჩვენს მეხსიერებაში. და არა იმდენად ეკრანზე (კინო-სურათი „მამის მკვლელი" განსვენებულ მსახიობის მონაწილეობით), რამდენადაც მან მუსიკაში მოგვაგონა თავისი თავი, რადგან ყოვლად შეუძლებელია დაივიწყო ის—მალხაზი „დაისში", რაული „ჰუგენოტებში". ვანო სარაჯიშვილის შესრულებაში იმდენად ხალისი იყო ვოკალური შემოქმედება, იმდენი აღგზნება, იმდენი მუსიკა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გუშინდელი საღამო სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიხსნა მხატვარ სამხატვრო კომიტეტის წევრის, მსახიობ დადიანის მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვით, რომელშიაც განსვენებული მსახიობის მოღვაწეობა დახასიათა მხატვრული თვალსაზრისით. მსახიობის წინადადებით მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ მსახიობს.

შემდეგ დადგმული იქნა მესამე მოქმედება ოპერა „დაისიდან" მაზოვეცკაიას, ქუმსიაშვილის და ვენაძის მონაწილეობით და მეოთხე აქტი ოპერა „ჰუგენოტები"-დან ბოგოლეპოვას, შარაშიძის, ვიტინგის და ვენაძის მონაწილეობით. ყველა შემსრულებლები გამსჭვალული იყვნენ საღამოს განსაკუთრებული მნიშვნელობით, ყველანი კარგათ მღეროდნენ. სამწუხაროა მხოლოდ, რომ პარტიას დუეტში ვიტინგი მღეროდა არა შესაფერი ტონით, ეს რამდენიმეთ აფუჭებს შთაბეჭდილებას. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო სკიბიცკაიამ, ქუმსიაშვილმა და კანცბურგმა.

ვ. ბ.

დისპუტი „ზაგმუკ"-ზე

15 ნოემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა დისპუტი რუსთაველის თეატრში „ზაგმუკ"-ის დადგმის შესახებ. განათლების სახ. კომისარიატის სამხატვრო განყოფილების სახელით დისპუტი გახსნა ამხ. შ. დუდუჩავამ, რომელმაც დისპუტს წაუმძღვარა შესავალი სიტყვა.

ქართული თეატრი, ორატორის თქმით, ამ უკანასკნელ წლებში განიცდის განახლებას, აღორძინებას.

თეატრის აღორძინება კი გულისხმობს მხატვრული მთლიანობის მიღწევას თეატრალურ ხელოვნებაში. მხატვრული მთლიანობა ნიშნავს ურთიერთ გაგების და განუწყვეტელ კავშირს მაყურებლის და იმის შორის, რაც ხდება სცენაზე, ე. ი. ერთობას ავტორის, რეჟისორის, მსახიობის და მაყურებელს შორის. თუ არ არსებობს ეს ურთიერთობა ამ ელემენტებს შორის, დარღვეულია მხატვრული მთლიანობის პრინციპი. თანამედროვე მაყურებელი გაიზარდა; მას არ აინტერესებს თეატრი, როგორც მხოლოდ მარტო სანახაობა. ახალი თეატრიდან ის არის, რომ გაჩნდა ახალი მაყურებელი და თეატრიც მოწოდებულია თავისი მუშაობა შეუთანხმოს თანამედროვე მაყურებელს გემოვნებას და მოთხოვნილებებს. თეატრი, რომელიც მაყურებელს ვერ იცნობს, ვერ იცნობს თავის აუდიტორიას, კრიზისს განიცდის. ამიტომ თეატრის გამარჯვებისათვის წინასწარ პირობას წარმოადგენს შეისწავლოს თავისი მაყურებელი, გამოიმუშაოს შესაფერისი მიდგომა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი კრიზისის დაძლევა. ეს დისპუტიც არის საშუალება და ცდა მაყურებლის შესასწავლად.

რას წარმოადგენს „ზაგმუკი" თანამედროვე მაყურებლის თვალსაზრისით?

იდეოლოგიურად პიესა სავსებით მისაღებია, მაგრამ მიღწეულია თუ არა რუსთაველის თეატრის დადგმით მხატვრული მთლიანობა? რუსთაველის თეატრმა „ზაგმუკის" ორიგინალური დადგმით აუცილებლად მიაღწია ერთს უდიდეს გამარჯვებას. ქართულ თეატრმა „ზაგმუკ"-ი დადგა პირობით ფორმებში და ამით სავსებით დაიცვა მხატვრული მთლიანობა. მაყურებლის ყურადღება მიიქცია არა წვრილმანებს, დეტალებს, არამედ ძირითადს, არსებითს—იდეურს და ამით სრული მხატვრული ილიუზია შექმნა უძველეს ეპოქაზე, რომელიც მისაწვდომი და გასაგები გახდა თანამედროვე მაყურებლისათვის.

ამხ. შ. დუდუჩავას სიტყვის შემდეგ „ზაგმუკ"-ის დადგმის შესახებ მოხსენება გააკეთა თვით პიესის დამდგმელმა რეჟ. ახმეტელმა. რომ ასეთ დისპუტს, აღნიშნა მომხსენებელმა, მეტ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, რომ აღორძინების გზაზე შემდგარი ქართული თეატრი ვერ პოულობს ღირსეულ შეფასებას და მისი მუშაობა უკვალოდ იკარგება თეატრის ისტორიისათვის.

თანამედროვე ქართული თეატრი მომხსენებლის აზრით, წარმოადგენს ძიების თეატრს,—იგი ეძებს თავისებურს ეროვნულს სახეს საკუთარი განცდებით, ემოციებით, ტემპერამენტით.

ამიტომ არის რომ იგი არ შეჩერებულა ერთ განსაზღვრულ მიმდინარეობაზე და ახალ გზას ეძებდა, როგორც რეალისტურ ნატურალისტურ, ისე ექსპრესიონისტურ და სიმბოლისტურ დადგმებში.

ყველა ახალ პიესას, ახალ დადგმას თანამედროვე ქართული თეატრის ხელმძღვანელნი უყურებენ ორი თვალსაზრისით: პირველი,—რა მასალას იძლევა შემოქმედებისათვის პიესა მსახიობს და მეორე, — რას წარმოადგენს ესა თუ ის პიესა, როგორც მასალა, თეატრული ფორმების გამოსამუშავებლად.

ეს ორი მთავარი დებულება უდევს საფუძვლად ქართული თეატრის დღევანდელ ძიებას.

ასე მიუდგენით ჩვენ „ზაგმუკ"-ის დადგმასაც. „ზაგმუკი", რომელიც იდეოლოგიურად მისაღებია, სუსტია, როგორც ლიტერატურული სცენიური ნაწარმოები: პიესას არა აქვს ერთი ცენტრი, რომლისკენაც უნდა იქნეს მიპყრობილი რეჟისორის, მსახიობების და მაყურებლების ყურადღება. ერთ და იმავ დროს პიესაში ხდება ორი რევოლუცია: ეროვნული და სოციალური; აქვე ჩაქსოვილი სიყვარულის ინტრიგა, ერთ მოვლენას პიესაში კავშირი არა აქვს მეორე მოვლენასთან, ამას ერთვის ისიც, რომ პიესა დატვირთულია წვრილმანებით, მეორე ხარისხოვანი ამბებით. პირველ ყოვლისა, საჭირო იყო პიესის გაწმენდა ამ წვრილმანებიდან, მეორეხარისხოვანი მოვლენებიდან და პიესის საერთო მამოძრავებელი ძალის გამოძებნა. ცხადია, აქ მხატვარს — რეჟისორს არ გამოადგებოდა ხელმძღვანელობა რეალისტურ ნატურალისტური პრინციპით, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დეტალებს, ეპიზოდებს და შემთხვევით მოვლენებს. უძველესი ეპოქის ისტორიული სისწორით და სინამდვილით აღდგენა მთელი თავისი დეტალებით, მრავალმხრივი მოძრაობით მიუღწეველიც არის, რადგან უძველესი მხატვრობა, რომლითაც ხელმძღვანელობს რეჟისორი და მხატვარი ასეთი დადგმების დროს, მოცემულია სტატიურ და არა დინამიურ ფორმებში. ამიტომ, მხატვრული ილიუზიის შესაქმნელად მიზანშეწონილია გამოყენება დადგმის პირობითი პრინციპის, რომელიც პიესაში ეძებს მთავარს, ძირითად ძალას. სწორედ ამ მთავარ ძალად „ზაგმუკ"-ში ცნობილი იქნა გაზაფხულის დღესასწაული აღმოსავლეთის უძველეს ქვეყანაში. ყურადღების მთავარ ცენტრად, მთავარ მომენტად აღებულია მზის შებრუნების დღესასწაული, დღესასწაული, რომლის დროსაც ხდება რევოლუცია. აქ საჭიროა არა ისახვა იმისა, თუ რას აკეთებს კერძოდ ესა თუ ის მომქმედი პირი, არამედ საერთო მასიური მხიარულების, საერთო ხმაურის, სიცილისა და საზეიმო განცდების გადმოცემა, რადგან „ზაგმუკ"-ში მთავარი არის აღმოსავლეთის ხალხის პოეტური განცდა, მისი საერთო წარმოდგენა, განწყობილება. სწორედ ამ მიზნით, — აღმოსავლეთის ბაზარიც არ არის დანაწილებული, ნაწილებად გამოყოფილი, არამედ მოცემულია ბაზრის მოძრაობის საერთო გამა. როგორც ბაზრის სცენაში, ისე „ზაგმუკ"-ის ყველა სცენებში თავიდან ბოლომდე ეს პრინციპია გატარებული.

მოხსენების გარშემო გაიმართა დისპუტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ქეიშვილმა, ჭუმბაძემ, სერგო ამაღლობელმა და ესაკიამ. დისპუტი, რომელიც მონაწილედ ჩაწერილია 15 ორატორი, გადაიდო შემდეგი ორშაბათისათვის.

ვ. წ.

ხელოვნების ქრონიკა

ახალი პრემიერა. 25 ნოემბერს რუსთაველის თეატრში დაიდგმება შიუკაშვილის ახალი კომედია „ამერიკელი ძია".

პროლეტარულ მწერალთა შორის. ხვალ, ხუთშაბათს 18 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა გამგეობის ქართულ სექციის სხდომა.

— **სახელმწიფო ოპერის თეატრში.** დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამის წარმოდგენაა. მიდის „ზოიას ბინა".

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში სომხური დრამის წარმოდგენა.

— **პლეხანოვის სახ. კლუბში.** პლეხან. სახელობის კლუბთან არსებულ დრამწრე ამზადებს შილლერის ტრაგედიის „ვერაგობა და სიყვარული".

— **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს იდგმება ტრ. რამიშვილის კომედია „გაბერების ტალკვესი".

— **ოპერა „დაისიდან".** „მუსპრეწვმა" გამოსცა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან" მარონ არია.

— **ბათუმის აკადემიური დრამა.** ბათუმის აკადემიური დრამის სეზონი გაიხსნება 5 დეკემბერს ა. შიუკაშვილის ახალი პიესით „ამერიკელი ძიით".

— **კინო-ექსპედიციის გამგზავრება.** ზაქათალში გაემგზავრება კინო-ექსპედიცია სურათ „ლეკვებ და გოდერძის" გადასაღებად.

— **„სამანიშვილის დედინაცვალი".** რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა სავსებით დაასრულა კინო-სურათი „სამანიშვილის დედინაცვალი", რომელიც ამ ახლო ხანს იქნება ნაჩვენები.

— **„მაზეპა".** უახლოეს ხანს საოპერო თეატრში წავა ოპერა „მაზეპა" ეისენვალდის დადგმით.

სასამართლო

დახვრეტა ბანდიტობისათვის

15 ნოემბერს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სპეციალურმა სესიამ ამხ. ი. ბერიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: მურთეზოვის და ჯავადოვის და პროკურორ ჯანჯღავას მონაწილეობით ყარაიაზში გაარჩია ბანდიტების: ადილ გიულ მალი - ოღლის და ფარმაზ ჰასან - ოღლის საქმე.

ბრალდებულები არიან სოღანლუღის (თბილისის მაზრა) მცხოვრებნი.

ჰასან - ოღლის და ადილ მალი-ოღლის ბრალდებათ თავისი თანასოფლელის ნადირ ჰასან-ოღლის მოკვლა გაძარცვის მიზნით.

ფარმაზ ჰასან-ოღლიმ წინასწარ იცოდა, რომ გარდაცვლილი აპირებდა დაქორწინებას. ჰასან-ოღლიმ ადილ ოღლისთან შეთანხმებით გადასწყვიტა გაეძარცვა ნადირ ჰასან-ოღლი. არ გასულა დიდი ხანი, რომ თავიანთი განზრახვა მათ სისრულეში მოიყვანეს. 1925 წ. 14 აპრილს, სოღანლუღის გზაზე ბრალდებულები თავს დაესხნენ თბილისში მიმავალ ნადირ - ოღლის. გატაცეს იგი და ხმლით და ხანჯლით მიაყენეს 14 ჭრილობა. ამ ჭრილობისაგან ნადირ ჰასან-ოღლი გარდაიცვალა. ყაჩაღებმა ნადირ-ოღლის წაართვეს 30 მანეთი და გახადეს ტანისცმელი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფ. სოღანლუღის მახლობლად ალი მამედ-ქიარომ - ოღლი შემთხვევით წააწყდა მოკლულის ადამიანის გვამს. იგი აღმოჩნდა ნადირ ჰასან-ოღლი. არ გასულა დიდი ხანი, რომ ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებული ადილ მალი-ოღლი გამოტყდა დანაშაულში.

სასამართლოში მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა, რომ ბრალდებულებმა მკვლელობა ჩაიდინეს გაძარცვის მიზნით.

როდესაც გამასწორებელ სახლიდან ბრალდებულები ყარაიაზში მიჰყავდათ გასასამართლებლად, გზაში მათ მცველს ყელში ხელი წაუჭირეს და შესძლეს გაქცევა. ფარმაზ ჰასან - ოღლი იმ დღესვე შეიპყრეს, ხოლო ადილ-მალი-ოღლი მიიმალა.

სასამართლომ სცნო, რომ ფარმაზ ჰასან-ოღლიმ და ადილ გიულ მალი-ოღლიმ მკვლელობა ჩაიდინეს გაძარცვის მიზნით და აგრეთვე მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ბრალდებულები არიან სოციალურად საშიში ელემენტები, მიუსაჯა მათ უმაღლესი სასჯელი — დახვრეტა და ქონების კონფისკაცია.

კოოპერატიულ ფულების მოყვარულნი

(შალამბერიძის და სხვათა საქმე)

გუშინ დასრულდა მოწმეების დაკითხვა. მოწმეები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ კოოპერატივის თანამშრომლები სრულ გულგრილობას და დაუდევრობას იჩენდნენ მიმდინარე მუშაობის დროს.

ექსპერტებს მიეცათ მთელი რიგი კითხვები. დღეს გაიმართება მხარეების კამათი.

ბოროტმოქმედება სამხედრო კოოპერატივში

(პოპოვის და კოვალოვას საქმე).

გუშინ, საღამოს 7 საათზე ახალ ცენტრალურ მუშათა კლუბში ამხ. თენიეშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ბარამიძის მონაწილეობით დაიწყო ანდრო პოპოვის და სოფიო კოვალოვას საზოგადოებრივ-საჩვენებელი გასამართლება.

პოპოვს ბრალდება საქონლის მოპარვა სამხედრო კოოპერატივ „მეომარში" ნოქრად ყოფნის დროს, ხოლო კოვალოვას კი კოოპერატიულ საქონლის მითვისება.

კოვალოვას ქალი ხშირად დადიოდა აღნიშნულ კოოპერატივში და პოპოვთან შეთანხმებით გამოჰქონდა პირველ საჭიროების პროდუქტები და შემცირებულ საფასურს იხდიდა. კოოპერატივიდან გატანილ საქონელს კოვალოვა ჰყიდდა და აღებული თანხის ნახევარს უნაწილებდა პოპოვს.

მაღაზიის გამგემ შეამჩნია, რომ პოპოვი რაღაც კომბინაციებს აკეთებდა.

ერთ დღეს, კოვალოვის ქალი შევიდა მაღაზიაში, იყიდა 2 მან. და 16 კაპ. საქონელი და კალათა კი გავსებული გაჰქონდა საქონლით. გამგემ საჩქაროდ მოახდინა ნაყიდი საქონლის შემოწმება და იგი აღმოჩნდა 10 მანეთის ღირებულების. ამის გამო პოპოვი და კოვალოვი დააპატიმრეს.

ბრალდებულმა პოპოვმა თავი სცნო დამნაშავედ და განაცხადა, რომ მას საქონელი გამოჰქონდა კოოპერატივიდან და გასასყიდად აძლევდა კოვალოვას.

კოვალოვას ქალმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

სასამართლომ დაჰკითხა მოწმეებს, რომელთა ჩვენებიდან გამოირკვა, რომ უკანასკნელი რევიზიის მიხედვით კოოპერატივს აკლია 3.200 მანეთის საქონელი. საქმეში ახალ გარემოებათა აღმოჩენის გამო სასამართლომ დააკმაყოფილა მხარეების შუამდგომლობა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გადაცემის შესახებ.

გამფლანგველი ხაზინადარი

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით ტყავტრესტის სალაროს დანაკლისი თანხა უდრის — 3.820 მანეთს. გარდა ამისა, ხაზინადრის მიერ მითვისებულია 700 მანეთი მარკის ფული.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

ქალაქის მოსახლეობა

საქ. ცაკის მიერ დამტკიცებულ ქალაქთა სიაში შედის სულ 24 ქალაქი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტატისტიკო განყოფილებამ შეკრიბა და დაამუშავა ცნობები რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობის შესახებ.

ცნობები შეკრებილია 1922 წლის აღწერის მასალებით.

სულ რესპუბლიკის ყველა ქალაქებში სცხოვრობს 525.045 მოსახლე. აქედან თბილისში —298.000 მოსახლეა, ბათუმში — 60.810, ქუთაისში — 42.000, სოხუმში — 17.426, ფოთში — 11.358, ახალციხეში — 10.153, ხონში — 9.343, გორში — 9.236, თელავში — 9.176 ხაშურში — 7.018, სამტრედიაში —6.423, ოზურგეთში 5.626, შაუმიანში — 5.112, ზესტაფონში — 4.902, ლიუქსემბურგში 4.591, ცხინვალში — 4.543, ზუგდიდში —4.525, სენაკში — 4.519, სიღნაღში— 4.192, ბორჯომში — 3.913, ჭიათურაში —3.243, ახალქალაქში — 2.737, ონში— 2.696, დუშეთში — 1.503.

სახანძრო იარაღები

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატთან არსებული სახანძრო ინსპექცია ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირში არსებულ სახანძრო იარაღ - მანქანების დამამზადებელ ფირმებთან რესპუბლიკის პროვინციებისათვის საჭირო სახანძრო იარაღ - მანქანების შესაძენათ.

ამ მიზნით ახლო ხანში ქალაქის ერთერთ მოედანზე მოეწყობა ყველა ფირმების მიერ წარმოდგენილ სახანძრო იარაღების გამოცდა. გამოცდაზე მონაწილეობას მიიღებენ უმთავრესად შემდეგი ფირმები: ვზოკ, (სახანძრო იარაღ-მანქანების დამამზადებელი სახელმწიფო ქარხანა), „მაშინოტრესტი" და „მაშინოსტროი".

„ჯანყი" ეკლესიაში

სასახლის ქუჩაზე (№ 7), არსებულ ეკლესიას ამჟამად განაგებს თავისუფალი ეკლესიის დამაარსებელი არხიმანდრიტი ბენიკი. მას შემდეგ, რაც ბენიკმა დაიწყო აღნიშნულ ეკლესიაში მუშაობა, იქიდან გამოდევნილი იქნა ძველი ეკლესიის თაყვანისმცემლები და იმათ შორის მათი ხელმძღვანელი მღვდელი სააკ სააკიანცი.

„წმიდა მამა" სააკიანცი ამ გარემოებით დიდათ დაწყენილი იყო, რადგან მოაკლდა „შემოსავალი". დაიწყო ძველი ეკლესიის მორწმუნეთა შორის აგიტაცია არხიმანდრიტ ბენიკის წინააღმდეგ.

ამა დღის 7 ნოემბერს, ძველი ეკლესიის მიმდევრებმა მღვდელ სააკიანცის ხელმძღვანელობით, კამოიჭრეს ეკლესიაში, ბენიკის წირვის დროს, განზრახ ატეხეს აურ-ზაური და ბენიკს არ მისცეს საშუალება გაეგრძო წირვა. გამოირკვა, რომ ამ აურ-ზაურში გარდა მღვდელ სააკიანცისა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სააკიანცის ცოლი ანნა, ლიბარეტ ლიბარიტი, ხეჩუმოვი ვახტანგ, აგბაშევი ვასილ და გრიგორიანი ხარქის.

ყველა ზემოხსენებულნი პირები ამჟამად დაპატიმრებულნი არიან და ამ ახლო ხანში წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ბოროტმოქმედებათა აღრიცხვა

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილების მიერ დამუშავებულ სტატისტიკური ცნობით 1925—26 საოპერაციო წლის განმავლობაში, ანუ 1925 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდე რესპუბლიკაში ადგილი ჰქონია 12.609 ბოროტმოქმედებას. აქედან მხოლოდ თბილისში აღრიცხულია 6.633 ბოროტმოქმედება.

ყველა ამ შემთხვევებიდან მილიციის ორგანოების მიერ დასრულებულია 11.642 საქმე. ამ უკანასკნელი რიცხვიდან გახსნილია 9.497 ბოროტმოქმედება, ანუ 81,6 პროც. მთელი დანაშაულობისა.

მომხდარ ბოროტმოქმედებათაგან უფრო მასიურია ქურდობა უბრალო და კვალიფიციური (5.818 შემთხვევა), შემდეგ მიდის დასახიჩრება და ფიზიკური შეურაცყოფა—1.024, მკვლელობა—590. გაუპატიურებას ადგილი ჰქონია 444 ხოლო თაღლითობას და ფალსიფიკაციას—590.

ყოველ ათის სულზე მოდის 4 ბოროტმოქმედება. სულ წარსული წლის განმავლობაში მილიციას დაუპატიმრებია 6867 მოქალაქე; მათ შორის მარტო თბილისში—4.592.

მეცნიერება და ტეხნიკა

ინგლისელი ასტრონომები მზის შესახებ

კემბრიჯის უნივერსიტეტის ასტრონომიის პროფესორის ედდინგტონის გამოანგარიშებით მზის შინაგანი თბილება უდრის 70.000.000 გრადუსს. ფარენგეიტით (ფარენგეიტის თერმომეტრში თოვლის დნობის წერტილი აღინიშნება—32 გრად., დუღილის წერტილი—212 გრ.). ცენტრიდან დაშორების მიხედვით ტემპერატურა კლებულობს და მზის ზედაპირზე უკვე 10.000.000 გრადუსს უდრის). ედდინგტონის აზრით, ტემპერატურების ასეთი შეფარდება აუცილებელია, რათა მზის თანამედროვე სიდიდე არ შეიცვალოს და მის ზედაპირთან ახლო მყოფი მასა არ ჩაიქცეს ცენტრისაკენ, მიმზიდველობის კანონის ზეგავლენით.

ედდინგტონი ამტკიცებს, რომ ის ენერგია, რომელსაც მზე შეიცავს, საკმაო იქნება მზის მთელი არსებობის დროისათვის. მზის ენერგიის რა ნაწილი შეიძლება გადაიქცეს სხივოსნურ ენერგიათ, გამოურკვეველია, მაგრამ თუ იგი მთლიანად გადაიქცა ასეთ ენერგიათ, მზეს შეუძლია განუწყვეტელივ ათბოს და ანათოს 15.000.000.000.000 წლის განმავლობაში. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, მზის მიერ დახარჯული ენერგია, მასათ გადაქცეული, აიწონიდა 170.000.000.000.000 ტონას (ტონა—62 ფუთი) და თუ ენერგიის ეს ხარჯვა არ შეწყდა, 15.000.000.000.000 წლის შემდეგ მზისგან არაფერი არ დარჩება.

პროფ. ედდინგტონი თვლის, რომ მზის ენერგიის წყაროს წარმოადგენს დადებითი და უარყოფითი ელექტრონებით დატენილი პროტონების და ელექტრონების (რომლებიდანაც მზის ატომები შესდგება) დაჯახება. თითეული დაჯახების დროსო, ამბობს პროფესორი, ელექტრონული დატენილობანი სპობენ ერთმანეთს და რჩება მხოლოდ ერთგვარი რყევა, ეთერის მოძრაობა, რომელიც ვითარდება ელექტრომაგნიტურ ტალღების მსგავსად და ენერგია მიაქვს სივრცეში.

70.000.000 გრადუსის (ფარენგეიტით) პირობებში, ენერგია ასეთი დიდი რაოდენობით თავისუფლდება, რომ პროფესორი კითხულობს: „შეიძლება თუ არა ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ ენერგია 70.000.000 გრადუსის პირობებში, ისევე თავისუფლად გამოიყოფა მისიდან, როგორც ორთქლი წყალიდან 212 გრადუსის (დუღილის წერტილი ფარენგეიტით) პირობებში. ასეთი ანალოგია უცნაურათ მოეჩვენება ფიზიკოსებს, მაგრამ სავსებით ეთანხმება ასტრონომების დაკვირვებებს.

ეხება რა პროფ. ედდინგტონის მიერ წამოყენებულ დებულებებს, მეორე ცნობილი ასტრონომი, პროფ. ჯინსი აცხადებს, რომ თვით პროცესი მატერიის გადაქცევისა ენერგიათ, აუარებელ სითბოს ანთავისუფლებს. ამრიგად, „როგორც კი ასტრონომიული ცენტრის ტემპერატურა მიაღწევს 70.000.000 გრადუსამდე, განთავისუფლებული სითბო ასეთივე ტემპერატურას იწვევს ცენტრის ახლო მდებარე ფენებში და ასე დაუსრულებლად. მაღალი ტემპერატურა, ასეთ შემთხვევაში, მთელ ვარსკვლავში უნდა გავრცელდეს აფეთქებათა საშუალებით და მთელი ეს პროცესი შეიძლება უფრო თოფის წამლის საწყობის აფეთქებას შევადაროთ, ვიდრე ორთქლის გამოყოფას წყალიდან.

ტიფი ვრცელდება კანიდანაც

ინგლისური გაზეთების ცნობით, იაპონელმა პროფესორმა ხატომ აღმოაჩინა, რომ ტიფის ბაცილები ადამიანის ორგანიზმში იჭრებიან დაუზიანებელი, სრულიად საღი კანიდანაც. უკანასკნელ დრომდი თვლიდენ, რომ ტიფი ვრცელდება მხოლოდ პირიდან.

ფეხბურთი

საქართველოს ნაკრები გუნდის დაბრუნება

გუშინ ბათომიდან თბილისში დაბრუნდენ საქართველოს ნაკრები გუნდის მოთამაშეები.

ნაკრებმა გუნდმა ბათომში ჩაატარა ერთი შეჯიბრი ბათომის ნაკრებ გუნდთან, რომელშიც შედიოდენ საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები.

შეჯიბრი გაიმართა კვირას, 14 ნოემბერს. უპირატესობა თამაშის ორივე განყოფილებაში საქართველოს ნაკრები გუნდის მხარეზე იყო, თუმცა ეს უკანასკნელი მაინცდამაინც დიდის მონდომებით არ თამაშობდა.

პირველი ტაიმი თავდება 1:1.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა გუნდმა გაიტანა კიდევ ორი ბურთი, ბათომმა კი ერთი და შეჯიბრი დამთავრდა 3: 2 საქართველოს სასარგებლოდ.

ცილობა ამიერ-კავკასიის პირველობაზე

26 ნოემბერს ბაქოში იწყება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცილობა ფეხბურთში ამიერკავკასიის პირველობაზე.

ცილობაზე საქართველოდან მიემგზავრება საქართველოს ნაკრები გუნდი. გამგზავრების წინ გუნდი თბილისში გამართავს ამხანაგურ შეჯიბრს რომელიმე ადგილობრივ გუნდთან.

სპარსელი ფეხბურთელები ბაქოში

19 ნოემბერს ბაქოში ჩამოვა თეირანის (სპარსეთი) ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც იქ ჩაატარებს რამოდენიმე შეჯიბრს ადგილობრივ გუნდებთან.

ბათომი—თბილისი

ბათომის და თბილისის ნაკრები გუნდების ტრადიციული შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე (7 ნოემბრის მატჩი ხელახლა გათამაშება) გაიმართება საქართველოს ნაკრები გუნდის ბაქოდან დაბრუნების შემდეგ.

„ს. პ. ი"

სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან ისევე შესდგა ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მიმდინარე სეზონის პირველობის გათამაშებაში.

ოფიც. განყოფილება

დებულება

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა წითელი მილიციისა

ზოგადი დებულებანი*)

14. საშუალო საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: ინსტრუქტორი, ოცეულის უფროსი, მილიციის საკომანდო შედგენილობის სკოლის ასეულის უფროსი, რაიონის მილიციის უფროსი მაზრაში, ქალ. თბილისისა, ქუთაისისა და ფოთის რაიონების მილიციის უფროსები და მათი თანაშემწეები, მაზრის მარჯვის უფროსი და სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის თანაშემწენი.

15. უფროს საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსები, თბილისის მილიციის უფროსის თანაშემწე, თბილისის მილიციის ინსპექტორი და თბილისის მილიციის სამარქაფო სკოლის უფროსი.

16. უმაღლეს საკომანდო შედგენილობას ეკუთვნიან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი, იგივე რესპუბლიკის მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილებასთან განწესებული მილიციის ინსპექტორი, მილიციის საკომანდო შედგენილობის სკოლის უფროსი და მისი თანაშემწე, ქალაქ თბილისის მილიციის უფროსი.

17. სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის აქტიურ შედგენილობას ეკუთვნიან: ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიულ განყოფილების ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ინსპექტორი, რწმუნებული, დავალებათა აგენტი, მაძებარი ძაღლების საშენის უფროსი, თბილისის ადმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის ქვეგანყოფილების უფროსი და მისი თანაშემწე, მაზრის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამაძიებლო განყოფილების უფროსი, სისხლის სამართლის მილიციის აგენტი, საიდუმლო საგენტურო ნაწილის უფროსი.

18. საადმინისტრაციო - სამეურნეო შედგენილობას ეკუთვნიან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადმინისტრატიული განყოფილების კანცელარიის უფროსი, ცენტრალური სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის საქმის მწარმოებელი, რეგისტრაციისა და დაქტილოსკოპიის გამგე, ფოტოგრაფი, ბოროტმოქმედთა და ბოროტმოქმედებათა რეგისტრატორი სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის კომენდანტი და მისი თანაშემწე, სატუსაღოს მეთვალყურე, ტეხნიკური ინსტრუქტორი მოსამსახურე და მეძებარი ძაღლებისა, საიდუმლო ნაწილის უფროსი, მილიციის სამეურნეო ნაწილის გამგე, მაგიდის უფროსი, სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოს ადიუტანტი, რაიონული მილიციის სამმართველოს საქმის მწარმოებელი, ექსპედიტორი, საწყობის გამგე და იარაღის ოსტატი.

შენიშვნა. ყველა იმ პირზე, ვინც აღნიშნულია მე-11, 17 და 18 მუხლში გავრცელდება სადისციპლინო წესდება.

19. სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედობისათვის მილიციის თანამშრომლები ექვემდებარებიან საერთო სასამართლო ორგანოებს, ხოლო ზოგიერთი სახის ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში მიეცემიან სამხედრო დანაშაულთა დებულების თანახმად, მაგალითად: წინააღმდეგობის გაწევა კანონიერად გაცემული სამსახურებრივი ბრძანებისა და განკარგულების ასრულებისათვის — სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-2 მუხლის თანახმად, უფროსის მიერ სამსახურის გამო კანონიერად გაცემული ბრძანების აუსრულებლობისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-3 მუხლის თანახმად, შეურაცხყოფა ხელქვეითის მიერ თავისი უფროსისა ან უფროსის მიერ თავისი ხელქვეითისა სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-4 მუხლის თანახმად, გაქცევისა და თვითნებობით წასვლისათვის 6 დღე-ღამეზე მეტი ხნით—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-5, 6 და 7 მუხლის თანახმად, სახმარებლად მიცემული სახაზინო იარაღისა, სასროლი მასალისა და საჭურველის გაფლანგვისა, განზრახ გაფუჭებისა და დაკარგვისათვის—სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-10 მუხლის თანახმად.

20. მილიციის თანამშრომლები ექვემდებარებიან: სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-5 მუხლში და მე-10 მუხლის 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული დანაშაულისათვის სახალხო სასამართლოს იმავე დებულების მე-2, 3, 4, 6 და 7 მუხლებში გათვალისწინებული დანაშაულისათვის—ოლქის სასამართლოს; ხოლო ის საქმე, რომლითაც აღნიშნული დანაშაული უმაღლესი საკომანდო შედგენილობის პირთ ჰბრალდებათ,—ექვემდებარება უზენაეს სასამართლოს, სისხლის სამართლის საპროც. კოდექსის 448 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული წესისამებრ.

შენიშვნა 1. უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის მილიციის თანამშრომლის წინააღმდეგ მიღებულ უნდა იქნეს დისციპლინარული ღონისძიება, იგი პასუხისგებაში მიეცემა სადისციპლინო წესდების თანახმად.

შენიშვნა 2. ყველა დანარჩენი დანაშაულებისათვის, გარდა ამ მუხლში აღნიშნულისა, მილიციის თანამშრომლები პასუხისგებაში მიეცემიან სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

(შემდეგი იქნება)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი" № 262.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შენობაში შესდგება ორგკოლეგიის სხდომა, დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგების სავალდებულოა:

1. მაჩკევიჩი (ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), 2. ინსტრუქტორები ა) ჯაფარიძე ალ., ბ) ჯავახია, გ) გობეჯიშვილი, დ) აკოფოვი, ე) ყოჟიკაშვილი, 3. ინფორმსტატი: ა) ვოლხოვსკოი, ბ) მისკინი, გ) ჯავრიშვილი, დ) ენუქიძე, ე) მარტიროსოვი, 4. ლიცინოვი, 5. ჯაფარიძე ვარო (ს. კ. პ. (ბ) ც. კ. ქალთა განყოფილებიდან) ა) ესაიანი, ბ) ჩერქეზიშვილი, გ) დელიბაში, 6. საყვარელიძე (ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპი). 7. ხაცკევიჩი (თბილისის კომიტეტი), 8. ფანცხავა (საქ. პროფ. კავ. საბჭო), 9. მელნიკოვი (ა. კ. საოლქო კომიტეტი), 10 შოგირაძე, 11. ჩალიანი, 12. ჯავახიძე (ა. ლ. კ. კ. (ც. კ.), 13. სიხარულიძე (საქ. დივიზია), 14. პეტროვი (არმიიდან). 15. ქუჩულორია ც. შინ. საქ. სახ. კომის. 16. იმედაძე (ც. კ. აგიტპროპი), 17. თათარიშვილი, მოწვეულია ამხ. მათიკაშვილი (შინ. სახკომიდან.)

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საორგან. განმან. განყ.

— დღეს, ოთხშაბათს, 17 ნოემბერს 5 ნახ. ს. სალიანდაგო ღარგის მე-6 უბანში შესდგება ლენრაიონის დელეგატ ქალების საორგანიზაციო კრება. დასწრება ყველა ახლად არჩეულ დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორებისა სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 17 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება მესამე რაიონის კომუჯრედების მდივნების თათბირი.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღმრიცხავ - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან:

1) ერმ. გიორგის ძე კოკალოშვილს, 2) იობი მათეს ძე ნებლაშვილი, 3) ვასილ ბოლკაძე.

თბილისის კომიტეტის [illegible] პაგანდო განყოფილება [illegible] ამხ. ეფრემ ვაჭაძეს გამოცხადდეს თბილისის კომიტეტში 17 ნოემბერს ამხ. ბუდიცევთან.

ს. კ. პ. (ბ) ცაკის აგიტპროპში ხუთშაბათს 18 ნოემბერს, დღის 2 საათზე მოწვეულია საკლუბო კომისიის სხდომა; დასწრება სავალდებულოა შემდეგ ამხანაგებისათვის:

იმედაძე, მხიტაროვი, მახარაძე, შუშანია, მაჭავარიანი, ჩერქეზიშვილი და გეზა-გოლდი.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 17 ნოემბერს, საღამოს სრულ 5 საათზე პროფსაბჭოს (მუშათა სასახლე) დიდ დარბაზში მოწვეულია მოწინავეთა და კომკავშირელ პედაგოგთა უჯრედების ბიუროს საერთო-საქალაქო თათბირი განათ. სახ. კომ. საბ. გან. განყოფილებასთან ერთად.

სავალდებულოა თბილისის ორგანიზაციის მოწინავეთა ბიუროების ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება დაუგვიანებლად.

საქ. ა. ლ. კ. კ. თბ. კ. მდივანი ხალუქვაძე:

პარასკევს 19 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე მე-5 პროფ. სკოლის ბინაზე (პლეხანოვის გამზირი № 166), შესდგება კომუჯრედის № 24 (ლენრაიონის პედაგოგები) დახურული კრება.

უჯრედის მდივანი ბარსეგოვი.

საქ. კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 17 ნოემბერს, საღამოს 5 ნახევარ საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში შესდგება მეორე რაიონის ქალთა სადელეგატო კრება, ქალორგანიზატორებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა დელეგატ-ქალთა და, აგრეთვე, ქალორგანიზატორთა დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

დღეს, 17 ნოემბერს, დღის სრულ 10 საათზე შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. თბ. კომ. საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

სავალდებულოა თბ. კომ. საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრთა დასწრება დაუგვიანებლად.

უდროვოთ დაკარგული, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის

თინა გეგეშიძის

გარდაცვალების წლის თავი დანიშნულია 21 ნოემბერს ს. დიმში, რასაც აუწყებენ ნათესავ—ნაცნობ—მეგობრებს გულდათუთქული მშობლები ნადია და თორნიკე გეგეშიძეები შვილებითურთ 588

გულდამწვარნი და უნუგეშონი მეუღლე ანნა, ძმები ვლადიმერი და პლატონი ოჯახობით და შვილებითურთ, დები მარიამ ასათიანისა და ოლღა გოგუაძისა მეუღლებითა და შვილებითურთ, დისწულები ელენე და დავით სარაჯიშვილები, მამიდაშვილები: ექიმი შალვა მეუღლითურთ, აზიკო, პელაგია და მარგარიტა ყიფიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ნოემბრის 15-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ივანე ნიკოლოზის ძე ზედგინიძე

ქაშვეთის ეკლესიაში ოთხშაბათს, ნოემბრის 17, საღამოს 6 საათზე დანიშნულია პანაშვიდი, ხუთშაბათს ნოემბრის 18 გადახდილი იქნება წირვა, წირვის შემდეგ—გასვენება ნაძალადევის 3 ნახ. საათზე 587

ღრმად დამწუხრებული დედა მატრონა შენგელიასა (ერთაშვილი) და ბიძა რაჟდენ შენგელია აუწყებენ ნაცნობებს, ნათესავებს და მეგობრებს რომ შაბათს 20 ნოემბერს დღის 2 საათზე სამტრედიაში, დიდუბის ქუჩაზე № 4, საკუთარ ეზოში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ნადეჟდა გიგოს ასული შენგელიას

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო 221

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა ნინო; მამა ვასილი, ძმები: შოთა, არჩილი, ავთანდილი. დები: თამარა ომიანიძისა მეუღლე საშათი, ეთერი, ევგენია, კლეოპატრა და მარგალიტა, ბიძა მალაქია კერესელიძე მეუღლე ქეთოთი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

რაჟდენ ვასილის ძე კერესელიძე

რომლის დასაფლავება მოხდება 18 ნოემბერს, დღითი ხუთშაბათს წმიდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მოხდება დღის 3 საათზე ანდრეევის ქუჩიდან № 78. პანაშვიდი გადახდილი იქნება 17 ნოემბერს საღამოს ექვს საათზე 581

სახელმწიფო დრამა
ნ. 219 3—2

ხუთშაბათს 18 ნოემბერს
ულ. შექსპირის ჰამლეტ
ტრ. 5 მოქ. თარგმანი ივ. მაჩაბლის. მუსიკა პ. ჩაიკოვსკის
ჰამლეტ—ვ. დავითაშვილი
დეკორაციები ირ. გამრეკელის
დადგმა კ. მარჯანიშვილის და ახმეტელის
სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა
ნ. 223

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, აბონემენტის გარეშე
პრემიერა სოფლის პატიოსნება
ბოგოლეპოვას, ვოლჩანეცკაიას, კანცბურგის და ქარცივაძის მონაწილეობით.
2. ჯამბაზები
ბოკოვას, ვიტინგის, გორელოვის, ვენაძის და სხვ. მონაწილეობით.
პარასკევს, 19 ნოემბერს,
ჰოფმანის ზღაპრები

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ნ. 157 0—12

„ქალი გზაჯვარედინზე"
2 სერ. 12 ნაწ ვიქტორ მარგერიტის ცნობილ რომანის „მონიკა ლერბიეს" მიხედვით, ორივე სერია ერთად
ანონსი: ხუთშაბათიდან „ნ ბელუნგ ბი"

ბარბარა ლა-მარი და კონვეი ტირლი სურათში
„თეთრი რჩილი"
ანონსი: ამ დღეებში ივეტტა პოლა ნეგრისთან ერთად

ამერიკული ნაწარმოები
„კანონი და უკანონობა"
ანონსი: ამ დღეებში დოროტტი ვერნონი მერი პიკფორდთან ერთად

„ხ ა ნ უ მ ა" (ქეთო და კოტე)
რეჟისორი ა. რ. წუწუნავა. სურათის დროს უკრავს სიმფონიური ორკესტრი და საზანდარი

ფოთის ადმასკომის სავაჭრო განყოფილება ფოთივაჭ (ყოფ. „ეკო")

ამით აცხადებს მონისიეთა საყურადღებოთ, რომ თუ ა. წ. 30 ნოემბრამდე მათი დავალიანება არ იქნება დაფარული, იმ შემთხვევაში მათ გადახდებათ იძულებითი წესით სასამართლოს საშუალებით და დაერიცხებათ ამით გამოწვეული ყოველივე ხარჯები, კანონიერი პროცენტებით დღიდან ნისიის გაცემისა და მათი გვარები გამოცხადებული იქნება გაზეთში.

ნ. 218 2—1 სავაჭრო განყოფილება.

ექიმი ჩიჩელაშვილი
იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ჭავჭავაძის ქუჩა № 9
მიღება დილის 8—12 საათ. საღამოს 6— 8 საათ. 25—2

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ქ. ცხინვალში
გაზ. „კომუნისტ"-ზე ხელისმოწერა
მიიღება
ამხ. ვასილ ფავლენიშვილთან
საკუთარ ბინაზე ყოველდღე
3—1 მთავარი კანტორა.

ს.შ.უ.ს. სატყეო მრეწველობის ტრესტი „გრუზლესპრომი"
აცნობებს მუშა-მოსამსახურეთ, რომ ტრესტის საწყობებში: ავლაბარში კახეთის ქუჩაზე № 15 და კამოს ქუჩაზე № 8.
არის დიდძალი ხის ნახშირი
1 ტომარა ნახშირი (წონით 3 ფუთამდე)—4 (ოთხი) მანეთი.
საჭიროა, რომ ყველამ მოიმარაგოს ნახშირი ზამთრისთვის.
ნ. 220 3—1

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, დილის 12 საათზე სასახლის ქ. № 3, დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლად. გაიყიდება კომოდები, გარდერობები, ბუფეტები, ხალიჩები, ფარდაგები, საბეჭდი მანქანა და სხვა საოჯახო ნივთები. ნ. 214

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 23 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 ს. სახლში № 6 კომინტერნის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ნიკოლოზ ჩოპინოვის მოძრავ ქონებას: ექვსი რწყვილი ლაქის და ხრომის სხვადასხვა ზომის ტუფლებს და ათი რწყვილი კალაპოტს შეფასებულს 103 მანეთად, ილია ჩიჩელაშვილის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 30 მარტს 1926 წ. თარიღით, № 161 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 584

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი

ამით აცხადებს, რომ ის 20 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 კომინტერნის (სასახლის) ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის 1 სახელმწიფო აბრეშუმის ქარხნის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა აბრეშუმის ქსოვილებს და შარფებს შეფასებულს 18961 მანეთად, „ვსეკობანკის" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 26 მაისის 1926 წ. თარიღით, № 1594 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 582

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 20 ნოემბერს 1926 წ. დღის 1 საათ. სახლში № 25, მუხრანის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მელიქ გაიკაზიანის და ტევოსიანის მოძრავ ქონებას ერთი გაჯის ტაჩკა ცხენით და ყოველი მოწყობილობით შეფასებულს 90 მანეთად, გიურქ სტეფანოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 7 ოქტომბერს 1926 წ. თარიღით, № 3756 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 20 ნოემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 23 მუხრანის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგი იაშვილის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას შეფასებულს 142 მანეთად, 50 კ. თამარა ჯაფარიძე-იაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის ოლქის სასამართლოსაგან 11 ნოემბერს 1926 წ. თარიღით, № 30872 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 585

ქ. თბილისის მე-4 რაიონ. სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 23 ნოემბერს, დღის 11 საათზე ილია ჭავჭავაძის ბინაზე, ალექსანდროვის ქუჩა № 45, პირველი საჯარო ვაჭრობით იგი გაჰყიდის მის, ჭავჭავაძის, შემდეგ ქონებას, შეფასებულს 103 მანეთად: წიგნების თარო, ბუფეტის შკაფი, საწერი მაგიდა სარკით, კედლის საათი, სასადილო მაგიდა და სხვ. 587

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და ხინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი მეზრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში. სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე სამიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59,

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16. 25—5

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 25—1 ქვ. 379

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საბირის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 25—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2 საღამოზე 4—6 საათამდე.

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პროსის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ 4ვა 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდე კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—1

ექ. კ. ტყეშელაშვილი
აბრუნდა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

ქუთაისში
ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7
დაბრუნდა

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. 23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდე სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი ველიამინოვის ქ.) 25—1

დავკარგე უფასო სადილის მიღების მოწმობა ორომსიმ ოსეფოვის სახელზე ჩ. გ. 582

დავკარგე საანგარიშო წიგნაკი კალისტრატე ქიქინაძის სახელზე მიცემული ჭიათურის საზ. „მარგანეცი"-ს მიერ ჩ. გ. 583

დავკარგე საარიცხვო ბარათი ფორმა № 4 მელენტი ეგნატეს ძე ჯავის სახელზე, ჩ. გ. 586

დავკარგე პირადობის წიგნაკი. № 370 ნიკოლოზ იგანეს ძე ბერიძის სახელზე, ჩ. გ. 580

დავკარგე დამხ. სალაროს წიგ. № 444 და კავშირის წიგნაკი № 145 ბესარიონ დაშნიანის სახელზე, ჩ. გ. 588

ადმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.